

აკაევი რეპრესიებს იწყებს A3



"სელფორდი" საქართველოში ბანკს ყიდულობს A6



გამარჯვების "მათემატიკური მოლოდინი" B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 24 მარტი, 2005 წელი. №66 (926)

ფასი 50 თეთრი

## საზოგადოება

### დროზე ადრე გახმაურებული საიდუმლო ინფორმაცია



გუშინ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ოპოზიციონერი კობა დავითაშვილის დახმარებით სწორედ ასეთი ინფორმაცია გახმაურდა.

A7

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარეაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A8

## ამინდი

| | 24/3 | 25/3 | 26/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 6 | 9 |
| ქუთაისი | 3 | 4 | 12 |
| ბათუმი | 2 | 3 | 14 |
| სოხუმი | 2 | 4 | 11 |
| ფოთი | 3 | 4 | 14 |
| თელავი | 2 | 4 | 7 |
| ზუგდიდი | 3 | 5 | 13 |
| გორი | -1 | 1 | 6 |
| ახმეტა | 3 | 4 | 8 |
| ჭიათურა | 0 | 2 | 9 |
| გაგრა | 2 | 3 | 9 |
| სამტრედია | 2 | 5 | 13 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.3983 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.4623 |
| რუბლი | 0.0667 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| უცხოეთი | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | რეკლამა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# რუსეთმა ბაზები უნდა გაიყვანოს

### ამერიკელი სენატორები საქართველოში



*ამერიკელი სენატორების შეხვედრა ქართველ პარლამენტარებთან.*

*საქართველოს მთავრობის პირველ პირებთან რეგიონული უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების განხილვის მიზნით, თბილისს ამერიკელ სენატორთა შვიდკაციანი დელეგაცია ეწვია. გუშინ მათ შეხვედრები გამართეს საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან და კრწანისის სასწავლო ცენტრი მოინახულეს.*

ნინო გომართელი

**"როდესაც ჩვენ ჯორჯ ბუშს ვუთხარით, რომ საქართველოში მივდიოდით და უნდა შევხვედროდით მიხეილ სააკაშვილს, მან გვიპასუხა, რომ ჩვენ იგი აუცილებლად შეგვიყვარდებოდა. ჯორჯ ბუშის წინასწარმეტყველება ახდა. თუკი ვინმეს ეკუთვნის სიტყვა ქარიზმატული, ეს ნამდვილად მიხეილ სააკაშვილია,"** - აღნიშნა პრეზიდენტ

გაგრძელება A2 გვერდზე

# რეგლამენტი - ოფსაიდში

გიორგი ასანიშვილი

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ გუშინ დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, 2004 წლის 1 იანვრიდან საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურება ოთხი ათასი ლარის ოდენობით უნდა განისაზღვროს. გოდაბრელიძის თქმით, თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ პრეზიდენტის ყოველთვიური ხელფასი შვიდი ათასი ლარი ყოფილიყო, მაგრამ თანხის ასეთი გაზრდა (სახელმწიფოს ლიდერის ჯამაგირი დღეისათვის სამი ათასი ლარია) თავად მიხეილ სააკაშვილმა არ ისურვა.

აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტის გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი არ ყოფილა. მისი განხილვა სპონტანურად გადაწყდა. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება საკითხის რიგგარეშე განხილვის თაობაზე უნდა მიიღოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა (რეგლამენტის 133-ე მუხლი), ანუ მინიმუმ 44-მა დეპუტატმა, მაშინ, როდესაც იმ მომენტში სხდომას სულ ათი-თორმეტი პარლამენტარი თუ ესწრებოდა.

გაგრძელება A2 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პარლამენტმა რეგლამენტი იმიტომ დაარღვია, რომ დარბაზში 44 დეპუტატიც კი ვერ შეგროვდა.*




იხილეთ B3 გვერდზე

# მოსკოვი კვლავ ტერორიზმთან ბრძოლით მანიპულირებს

### მოსკოვში საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხზე მსჯელობენ

ნინო გომართელი

*მოსკოვში გუშინ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებებმა სტარტი აიღო. ქართული მხარის 17-კაციან დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე ხელმძღვანელობს. რუსულ მხარეს კი ფედერაციის საგარეო უწყების განსაკუთრებულ საქმეთა ელჩი იგორ სავოლსკი წარმოადგენს.*

სამდღიანი კონსულტაციების მსვლელობისას რუსი და ქართველი დიპლომატები, სამხედრო ბაზების გაყვანის გარდა, ორ ქვეყანას შორის ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერის პერსპექტივებს, სავიზო საკითხებს, ასევე საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვრის დელიმიტაციის საკითხს განიხილავენ.

სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების პოზიცია უცვლელია: **"ბაზების ისეთი გაყვანა, როგორც გერმანიაში იყო, არ მოხდება,"** - განაცხადა ორი დღის წინ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რეალურია თუ არა მოსკოვური დაპირებები?

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*აფხაზეთის პრეზიდენტი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ მოსკოვში მიღწეული შეთანხმებებით კმაყოფილია.*

სერგეი ბაგაფში ჟურნალისტებს მოსკოვში საკუთარი ვიზიტის შესახებ ესაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობაზე გამახვილდა. როგორც ჩანს, ეკონომიკური კავშირების მოგვარების შესახებ მოლაპარაკებებზე, აფხაზეთის ახალმა ხელისუფლებამ, აქცენტის გაკეთება აფხაზეთში რუსული ინვესტიციების მოზიდვის გააქტიურებაზე გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, ბაგაფში ზოგადად რუსულ-აფხაზური ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე საუბარს გაურბის, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი მონდომებით გვამცნობს ინფორმაციას რიგი პროექტების შესახებ, რომელთა რეალიზება, მისი თქმით, უახლოეს მომავალში დაიწყება.

საქმე, უპირველესად, სოხუმის ქიმიური ქარხნის აღდგენას ეხება, რომლის დასაფინანსებლადაც მოსკოვის ხელისუფლება მზად არის. სოხუმის ქიმიური ქარხანა, ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, უფუნქციოდაა და აღჭურვილობის თუ ტექნიკის დიდ ნაწილს უკვე დემონტაჟი გაუკეთდა.

ბაგაფშის თქმით, ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ რუსეთშიც მოხდება.

სკურჩაში (ოჩამჩირის რაიონი), უახლოეს მომავალში, არამადნეული მასალების ქარხნის მშენებლობა დაიწყება. თუმცა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი არ აკონკრეტებს, თუ ვინ არის მზად, ამ პროექტში ფული ჩადოს. მაგრამ ცხადია, რომ ინვესტორი საკმაოდ სერიოზულია, რადგან ანალოგიური პროექტები ბზიფში და ოჩამჩირეშიც განხორციელდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## რეგლამენტი - ოფსაიდში

პირველი გვერდიდან

ძნელი სათქმელია, რა აუცილებლობას წარმოადგენდა პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების საკითხის მაინცადამაინც გუშინ განხილვა, მაგრამ ფაქტი ერთია: რეგლამენტი დაირღვა და ამისთვის პასუხისმგებლობა თავის თავზე სხდომის წამყვანმა მიხეილ მაჭავარიანმა აიღო.

პლენარულ სხდომაზე დეპუტატთა დასწრებისა და უყურადღებობის პრობლემამ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარეც გააღიზიანა. ნინო ბურჯანაძე იმ გარემოებამ აღაშფოთა, რომ ზოგიერთი დეპუტატის მიერ რეგისტრაციის არგავლის გამო, სხდომის გახსნა ნახევარი საათით დაგვიანდა. სპიკერი ეჭვობს, რომ ზოგიერთმა დეპუტატმა რეგისტრაცია შეგნებულად არ გაიარა და ამით პარლამენტის მუშაობის დაწყებას შეუშალა ხელი. იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციას სხდომებისთვის ოფიციალურად აქვს გამოცხადებული ბოიკოტი, იოლი "დასადგენია", რომ "ძირგამომთხრელ საქმიანობას" უმრავლესობის წევრები ეწევიან.

**"თითოეულ დეპუტატს თითო მანდატურს ვერ მივუჩენ. როდესაც სხდომაზე არ მოდიხართ, ეს ერთი უბედურებაა, მაგრამ როდესაც დარბაზში ხართ, ღილაკს თითი როგორ ვერ უნდა დააჭიროთ?!"** - "ქვეშევრდომების" "მოუხერხებლობით" გაოცებულია პარლამენტის თავმჯდომარე.

## აჭარის უმაღლეს საბჭოში დაპირისპირება გრძელდება

აჭარის უმაღლეს საბჭოში კვლავ გრძელდება ხმაურიანი დაპირისპირება. "რესპუბლიკელებისა" და "ნაციონალების" დაპირისპირების მიზეზი რადიო "იმედის" პირდაპირ ეთერში "რესპუბლიკელი" მურმან დუმბაძის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა.

მურმან დუმბაძე აცხადებდა, რომ ასლან აბაშიძე იყო სეპარატისტი, თუმცა - მეურნე. დუმბაძის მიერ გაკეთებული განცხადების აუდიოჩანაწერი უმრავლესობის ფრაქციის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს გუშინ სხდომათა დარბაზში "საზეიმოდ" მოასმენინეს.

მმართველი პარტიის ფრაქციის ლიდერმა კახა მიქელაძემ დუმბაძე აჭარის ყოფილ ლიდერთან ალიანსში დაადანაშაულა, ჟურნალისტებს კი, "მოვლენების არაობიექტურად გაშუქების გამო" მკაცრი შენიშვნები მისცა.

უმრავლესობის განცხადებებს "რესპუბლიკელები" მალევე გამოეხმაურნენ. მურმან დუმბაძემ ლევან ვარშალომიძის მამა გურამ ვარშალომიძე ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ლევან მამალაძის მფარველობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ მამალაძე ბათუმიდან მოსკოვში სწორედ გურამ ვარშალომიძემ გააპარა.

*ინტერ-პრესი*

## აფხაზეთის ძალოვანი უწყებები რუსული კადრებით დაკომპლექტდა

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის განკარგულებით, აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ რუსი გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი დაინიშნა.

ბაგაფშისავე განკარგულებით, აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მეორე მოადგილედ აფხაზეთის ყოფილი კომისარი, გენერალ-მაიორი მერაბ ქიშმარია დამტკიცდა. აფხაზეთის კომისრის მოვალეობის დროებით შესრულება ვალერიან აგუმავას დაევალა.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, რუსი გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროში 2004 წლის გაზაფხულიდან მუშაობს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი გენერალ-ლეიტენანტი საბჭოთა პერიოდში სამხედრო საკითხებში სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის მრჩევლად მუშაობდა.

ადგილობრივ დამკვირვებელთა შეფასებით, აფხაზეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ძალოვან უწყებებში გატარებული საკადრო პოლიტიკით თავისი წინამორბედის ვლადისლავ არძინბას პოლიტიკურ კურსს აგრძელებს და აფხაზეთის ძალოვან უწყებებს რუსეთის პროფესიონალი კადრებით აკომპლექტებს.

ანატოლი ზაიცევის გარდა, ბაგაფშმა აფხაზეთის უშიშროების მინისტრად რუსეთის უშიშროების თანამშრომელი, ეროვნებით აფხაზი იური აშუბა, თავდაცვის მინისტრად ეროვნებით ყაბარდოელი, ასევე რუსეთის გენერალ-ლეიტენანტი სულთან სოსნალიევი და აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ რუსეთის ფლოტის პირველი რანგის კაპიტანი ალექსანდრ ვოინსკი დანიშნა.

*ინტერ-პრესი*

## ეუთოს გამოცდილება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას მოხმარდება

ასეთი განცხადება საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა გუშინ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. როი რივის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ეუთოს მისია აქტიურად მონაწილეობს ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარების პროცესში და მას უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა, ეუთო მზადაა, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებზე აფხაზეთის ხელისუფლებასთანაც აქტიურად ითანამშრომლოს.

სოხუმში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელი როი რივი თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ნუგზარ აშუბას და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შეხვდა.

*ინტერ-პრესი*

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2005-2006 სასწავლო წლისათვის მიიღებს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს პრესტიჟულ სპეციალობაზე:**

**საერთაშორისო ურთიერთობები**

სპეციალიზაციები:

1 საერთაშორისო ურთიერთობები
2 საერთაშორისო ეკონომიკური და ენერგეტიკული პოლიტიკა და დიპლომატია
3 დიპლომატიური და საკონსულო სამსახურის მოხელე
4 რეგიონალური დიპლომატია (აშშ, ევროპა, კავკასია, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა)
5 გამოყენებითი პოლიტოლოგია, პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები

სწავლება წარიმართება საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად ორი მიმართულებით: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, გაძლიერებულად შეისწავლება უცხო ენა.

**საკონტაქტო ტელეფონებია:**
**33-13-79, 33-30-15, 33-49-62, 899-45-50-10, 899-17-64-98.**

### ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



სოხუმში ვნახე ბავშვები, რომელთაც კანფეტი უკვირთ

| | |
|---|---|
| წამყვანები | გაგა გობრონიძე,ქეთევან კორძახია |
| სტუმარი | ნინო ბურძნიშვილი,ქართულ-აფხაზური ინსტიტუტი, პროგრამების მენეჯერი |
| ნინო ბურძნიშვილი | ომის შემდეგ სოხუმის აღსადგენად არაფერი გაკეთებულა. მაღაზიები "მასტერის" დროის მაღაზიებს გავს და ხალხს ძალიან უჭირს. მე შევხვდი 16 წლის ანგას,რომელსაც კანფეტი უკვირს და ცხოვრებაში პამიდორი არ უჭამია. აფხაზებში ქართველთან გაიგივებული „მტრის ხატის ",ასევე, როგორც ქართველებში აფხაზთან გაიგივებული სტერეოტიპების გაფანტვა ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანია. |

## რუსეთმა ბაზები უნდა გაიყვანოს

პირველი გვერდიდან

მიხეილ სააკაშვილთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე დელეგაციის ხელმძღვანელმა, სენატორმა ჰარი რიდიმ.

შეხვედრა საათზე მეტხანს გაგრძელდა და მას პრეზიდენტის გარდა, უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ესწრებოდნენ.

რაც შეეხება შეხვედრაზე გამოკვეთილ თემებს, სენატორის განცხადებით, საუბარი იყო **"საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, ენერგეტიკაზე, მცირე ბიზნესის განვითარებაზე და მილსადენზე."**

ამასთან, დემოკრატთა ლიდერი სენატორი ჰარი რიდი იმედოვნებს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანასთან დაკავშირებით თბილისსა და მოსკოვს შორის მიმდინარე პოლიტიკური მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს და კრემლი ბაზების გაყვანის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**"ჩვენ საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის რამდენიმე ასპექტი განვიხილეთ და დარწმუნებულები ვართ, რომ დაწყებული მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს და მიგვაჩნია, რომ რუსეთმა თავისი ბაზები უნდა გაიყვანოს,"** - განაცხადა მან საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

მისივე თქმით, დელეგაციის წევრებს პარლამენტის თავმჯდომარესთან საუბარი ჰქონდათ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზე, ენერგეტიკის სფეროში არსებულ პრობლემებზე, სამხედრო, ასევე, რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

რაც შეეხება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის და სტრატეგიული ობიექტების პრივატიზებას, სენატორი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ **"ქვეყნის ენერგეტიკის წინსვლისთვის, ყველა ის ნაბიჯი უნდა გადაიდგას, რაც სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება."**

მანამდე კი, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დელეგაციამ კრწანისის სასწავლო ცენტრი მოინახულა.

სენატორებმა ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების საცხოვრებელი ტერიტორია დაათვალიერეს და იმ ქართველი ჯარისკაცების წვრთნის პროცესი შეამოწმეს, რომლებსაც ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციებისთვის ამზადებენ.

კრწანისის ცენტრში მათ მასპინძლობას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი უწევდნენ.

როგორც ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, მან ამერიკელ სენატორებს მადლობა გადაუხადა იმ ქართული ბატალიონების მომზადებისთვის, რომლებიც ამერიკის მთავრობის დახმარებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იწვრთნებიან. მინისტრის თქმით, დამატებითი კონტინგენტის მომზადება საქართველოს საერთაშორისო ოპერაციებში უფრო აქტიურად ჩართვის საშუალებას მისცემს.

**"ქართული ბატალიონი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არის აღჭურვილი, იმ დახმარების შედეგია, რომელსაც ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატებისგან ვიღებთ. ეს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს ახალი ქართული ჯარის შექმნის საფუძველია. ამასთან, შესაძლებლობა მოგვეცემა, უფრო აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა ისეთ ოპერაციებში, როგორიც ერაყშია,"** - განაცხადა ოქრუაშვილმა.

პოლიგონზე ამჟამად მომზადებას გადის ბატალიონი, რომლის წევრებიც ერაყში სამშვიდობო მისიით უნდა გაემგზავრონ.

ამერიკის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სენატორი ჰარი რიდი, დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ლიდერი, სენატორი რიჩარდ დურბინი, სენატორი ბარბარა ბაქსერი, სენატორი ფეთი მარი, სენატორი რობერტ ბენეტი, სენატორი ლამარ ალექსანდერი, სენატორი კენ სალაზარი.

## მოსკოვი კვლავ ტერორიზმთან ბრძოლით მანიპულირებს

პირველი გვერდიდან

თუმცა, რუსეთ-საქართველოს საგარეო უწყებებს შორის კონსულტაციების გახსნისას, განსაკუთრებულ საქმეთა ელჩმა იგორ სავოლსკიმ აღნიშნა, რომ მოსკოვს საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ფუნქციონირების საკითხის გადაჭრის საქმეში სერიოზული წინსვლის იმედი მაინც აქვს.

**"დიდი იმედი მაქვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით წინ სერიოზულ ნაბიჯს გადავდგამთ,"** - თქვა მან.

როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია აღნიშნული, მოლაპარაკებებზე სავოლსკიმ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების თაობაზე ორმხრივი კონსულტაციები, სტამბულში 1999 წელს მიღებული ქართულ-რუსული შეთანხმების შესაბამისად მიმდინარეობს.

**"შეთანხმების შედეგად, ვაზიანის და გუდაუთის სამხედრო ბაზები დაიშალა და ტერიტორიიდან დადგენილ ვადებში იქნა გაყვანილი. რაც შეეხება დარჩენილ ორ სამხედრო ბაზას, ბათუმსა და ახალქალაქში, ჩვენ მივიჩნევდით და ახლაც იმ აზრზე ვართ, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან სწორედ იმ ვადებში იქნება გაყვანილი, რომელსაც ჩვენ ქართული მხარის პოზიციის გათვალისწინებით დავადგენთ,"** - დაამატა მან.

მოსკოვის საგარეო უწყების განსაკუთრებულ საქმეთა ელჩის განცხადებით, ახალი წინადადებები, რომელიც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თბილისში ვიზიტის და საქართველოს ხელისუფლებასთან გამართული შეხვედრების შემდეგ ჩამოყალიბდა, განხილულ იქნება სამხედრო საკითხებში სახელმწიფო დელეგაციების შეხვედრაზე, რომელიც მოსკოვში 23-25 მარტს გაიმართება.

**"ჩვენი აზრით, აღნიშნული წინადადებები სრულად შეესაბამება ქართული მხარის ინტერესებს. მოლაპარაკებათა პროცესის მსვლელობისას, მათი გამჟღავნება არამიზანშეწონილი იქნებოდა,"** - განაცხადა სავოლსკიმ.

საქართველოს პარლამენტის მიერ 10 მარტს მიღებული დადგენილების თანახმად, საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხი 2006 წლის 1 იანვრამდე უნდა გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული ბაზების მოქმედება ბლოკირებული იქნება. მიმდინარე წლის 15 მაისამდე კი მხარეებმა ბაზების გაყვანის კონკრეტულ ვადებთან და პირობებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უნდა გამართონ.

ამასთან, რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების წარმომადგენელმა დაადასტურა ფაქტი, რომ აღნიშნული ბაზების საფუძველზე, შესაძლოა, ერთობლივი, რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი შეიქმნას.

**"მსგავს ანტიტერორისტულ ცენტრს სამხედრო ბაზასთან არაფერი საერთო არ ექნება. ის ორივე ქვეყნის საერთო ინტერესების ფარგლებში იმუშავებს და საერთო ინტერესს მოემსახურება, საერთო მტრის - საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას,"** - აღნიშნა დიპლომატმა.

ამასთან, მისივე თქმით, რუსული მხარე საქართველოს სთავაზობს, რომ მსგავსი ანტიტერორისტული ცენტრი სწორედ სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურის გამოყენებით ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანამდე დაიწყოს.

## რეალურია თუ არა მოსკოვური დაპირებები?

პირველი გვერდიდან

მოსკოვში ასევე მოხერხდა შეთანხმება ციტრუსისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და დამფასოებელი სტრუქტურის შექმნისათვის ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე. პროექტით გათვალისწინებულია, ასევე, მთელ აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღები პუნქტების ქსელის შექმნა. თუ აღნიშნული პროექტი განხორციელდება, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ხალხის გატარების "ათწლეულის პრობლემა" მოგვარდება.

მოსკოვში ასევე განიხილებოდა ყოფილი სანატორიუმის - "უკრაინის" საკითხიც, რომელიც მოსკოვის ხელისუფლებას არენდით ხაჯიმბას პრემიერობის პერიოდში გადაეცა. როგორც გაირკვა, მოსკოველებს შეუძლიათ, გაგრაში თავის საკუთრებაზე არ იდარდონ.

უახლოეს მომავალში, აფხაზეთში მუშაობას დაიწყებს რუსული ფიჭური კავშირგაბმულობა. სავარაუდოდ, ეს იქნება კომპანია "*MTC*". ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკებები სწორედ ამ კომპანიასთან მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის რეალიზების შემთხვევაში, ფიჭური კავშირის ფასი აფხაზეთში საგრძნობლად შემცირდება.



*ასეთ მდგომარეობაში მყოფ საწარმოში ინვესტირებას ძნელია ეკონომიკურად გამართლებული უწოდო.*

ინვესტიციების შესახებ წინადადებებზე გაცილებით სწრაფი რეაგირების და აფხაზეთისა და მოსკოვის ხელისუფლებებს შორის გაცილებით ეფექტური ურთიერთქმედებების მიზნით, მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენლობის მუშაობის მოწესრიგება და სტრუქტურის რეფორმირება გადაწყდა.

**"მოსკოვში ჩვენმა წარმომადგენლობამ, ბოლოს და ბოლოს, რეალური მუშაობა უნდა დაიწყოს,"** - განაცხადა ბაგაფშმა და დააკონკრეტა, რომ შტატში 8-10 ადამიანი იქნება და ყველა მათგანი **"საქმეს გააკეთებს."**

უახლოეს პერიოდში გამოჩნდება, მოსკოვიდან წამოსული ახალი საინვესტიციო შემოთავაზებები რამდენად რეალურია. ძველი ხელისუფლების ყოველი ახალი შემადგენლობის მუშაობა მსხვილი საინვესტიციო პროექტების ანონსირებით იწყებოდა, თუმცა რეალურად მხოლოდ ერთეულები სრულდებოდა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის თქმით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზად არის, შეხვდეს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაგაფშს. თუმცა, მისივე თქმით, ჯერჯერობით არ არის განხილული, თუ მათი შეხვედრისას კონკრეტულად რა საკითხებზე იმსჯელებენ. განსაზღვრული არ არის, აგრეთვე, შეხვედრის ადგილიც. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ ეს შეხვედრა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიმართოს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის განათლების კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა "კონსერვატორების" ინიციატივას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტების პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

"კონსერვატორების" ალტერნატიული პროექტის თანახმად, კოლეჯის სტუდენტებს გამოცდები იმ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა ჩაებარებინათ, რომელიც კანონის ძალაში შესვლამდე სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატთან გაფორმდა.

პარლამენტის განათლების კომიტეტში ჩავარდა კანონპროექტიც, რომლის ინიციატორი თავად უმრავლესობის წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილი იყო. ზურაბიშვილის ალტერნატიული პროექტის მიხედვით, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს მესამე კურსის გამოსაშვები გამოცდები და ზოგადი უნარ-ჩვევები უნდა ჩაებარებინათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** გორის რაიონის სოფელ ზერტში გუშინწინ, ღამით, ყაჩაღობა მოხდა. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული სამი პირი მაზანაშვილების ოჯახს ღამის ორ საათზე დაესხა თავს. ისინი ოჯახის წევრებისგან ფულს და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. 82 წლის ჟორა მაზანაშვილს და მის მოხუცებულ მეუღლეს თავდამსხმელები ერთი საათის განმავლობაში აწამებდნენ. ნიღბიანებმა ორი დღის წინ აღებული საპენსიო დავალიანების თანხა 1500 ლარი გაიტაცეს და მიიმალნენ. მოხუც ცოლქმარს ძველი პიჯაკის ჯიბეში გადანახული 6 ლარიღა დარჩა. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. ვლადიმერ ჯუღელის ბრძანებით, ჟურნალისტებისთვის სამხარეო პოლიციის კარი დაკეტილია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქრთამის აღების ფაქტზე, სამართალდამცველებმა ქუთაისის საპასპორტო სამსახურის მრჩეველი ლერი ვაჭარაძე დააკავეს. უშიშროების თანამშრომლებმა ვაჭარაძე მაშინ აიყვანეს, როცა მას მოქალაქემ ქრთამის სახით 250 აშშ დოლარი გადასცა. დაკავებული აცხადებს, რომ მას აღნიშნული თანხა მისმა ახლობელმა შესანახად მიაბარა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. ამოღებული ფულადი კუპიურები დალუქულია, როგორც ნივთმტკიცება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სამცხე-ჯავახეთის ოპერატიულმა სამმართველომ საბაჟო წესების დარღვევის მუხლით შპს "ბუნებას" ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. შპს "ბუნებას" კუთვნილმა ტვირთმა საბაჟო-გამშვები პუნქტი "ნინოწმინდა" გაყალბებული დეკლარაციით გადმოიარა. მათ სამჯერ მეტი ტვირთი გადმოიტანეს, ვიდრე ეს საბუთებში უჩვენეს. დეკლარაციისა და ტვირთის შესაბამისობის შესამოწმებლად არც მებაჟეებს შეუწუხებიათ თავი. შპს "ბუნებას" ტვირთი, განბაჟების შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ გააჩერა და ექსპერტიზის დასკვნით დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა დადასტურებულია. ფინანსურ პოლიციაში ამ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, სადაც ნინოწმინდის მებაჟეთა პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დაისმება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, დღეს მცხეთის შესასვლელთან სამი შეიარაღებული პირი დააკავეს. აღნიშნული ჯგუფის წევრები "ვოლვოს" მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ. ისინი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გააჩერეს. მათ სხვადასხვა დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი და ნიღბები აღმოაჩნდათ. ამ ფაქტთან დაკავშირებით მცხეთის პოლიცია კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. დაკავებულთა ვინაობა ამ ეტაპზე ზუსტდება. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში განლაგებული, შს სამინისტროს საგუშაგოს პოლიციელები მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მხედრული მამაცობისთვის დაწესებულ ორდენებზე წარადგინა. როგორც განმუხურში ყოფნისას სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა გიგი უგულავამ აღნიშნა, მინისტრმა ასეთი გადაწყვეტილება მათ მიერ 22 მარტის ინციდენტის დროს გამოჩენილი მამაცობის გამო მიიღო. ამ დღეს რუსმა სამშვიდობოებმა მძიმე სამხედრო ტექნიკით ალყა შემოარტყეს განმუხურში განლაგებულ ქართველ პოლიციელთა საგუშაგოს და მათ იარაღის დაყრა მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. ჯილდოებს ვანო მერაბიშვილი მათ პირადად გადასცემს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აკაევი რეპრესიებს იწყებს

*რამდენიმე დღიანი დაძაბულობის შემდეგ, სახელისუფლებო ძალები შეტევაზე გადავიდნენ და ყირგიზეთის დედაქალაქში საპროტესტო აქცია სპეცრაზმის საშუალებით დაარბიეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაპატიმრებული არიან აქციის ორგანიზატორები. აშკარაა - ასკაერ აკაევი დამობაზე წასვლას არ აპირებს.*



*ყირგიზეთში რეპრესიები იწყება*

შუა აზიის ერთ-ერთ ულარიბეს ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაწყებული მასობრივი არეულობა გუშინაც გრძელდებოდა. ოპოზიცია უკვე სრულად აკონტროლებს ქვეყნის სამხრეთ რაიონებს. გუშინდელმა მოვლენებმა კი ნათელი გახადა, რომ დაპირისპირების ცენტრი დღითიდღე დედაქალაქისკენ მიიწევს.

გუშინ ბიშკეკის ცენტრალურ მოედანზე მიმდინარე მიტინგი მილიციის სპეცრაზმელებმა დაარბიეს. სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, ხუთასამდე დემონსტრანტი მთავრობის სასახლისკენ გარღვევას ცდილობდა, როდესაც შენობის გარშემო გამაგრებულ "ომონის" ძალებთან შეტაკება მოუხდა. დაზარალებულთა შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. როგორც იუწყებიან, მილიციამ რამდენიმე ათეული აქტივისტი დააპატიმრა.

რეზინის ხელკეტებითა და ფარებით შეიარაღებულმა "ომონის" მებრძოლებმა მომიტინგეთა ბრბოდან აქციის ორგანიზატორები ძალით გამოიყვანეს, ავტობუსში ჩასხეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

აქცია "ჩვენ გვინდა სიმართლე" მშვიდობიანი სამოქალაქო მოძრაობა "კელ-კელისა" და ბოლოტბეკ მარიპოვის - ასკარ აკაევის ქალიშვილთან დამარცხებული კანდიდატის - მიერ იყო ორგანიზებული. ბიშკეკში გუშინ საინფორმციო ფურცლებსაც ავრცელებდნენ, სადაც ოშსა და ჯალალაბადში მიმდინარე მოვლენები იყო გაშუქებული. რუსული ინტერნეტ-გვერდი "გაზეტა.რუ" იუწყება, რომ დაკავებულთა შორის არიან თავად ბოლოტბეკ მარიპოვი, ცნობილი ყირგიზი კინორეჟისორი ბოლოტ შამშიევი და ოპოზიციური კოალიციის - "დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის" - პრეზიდენტი ედილ ბაისალოვი.

მიტინგის დარბევამდე ცოტა ხნით ადრე ასკარ აკაევმა ნათლად მიანიშნა, რომ ძალის გამოყენებაზე უარს არ იტყოდა. გუშინ დილით ყირგიზეთის პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი გადააყენა დაკავებული პოსტებიდან. საინფორმაციო სააგენტო "როიტერსი" იუწყებოდა, რომ ქვეყნის ძალოვან უწყებებში ძალისმიერი მეთოდების მომხრე პირები იკავებენ თანამდებობებს.

პარალელურად, ვრცელდებოდა ცნობა, რომ ასკარ აკაევი, ამბოხებულ სამხრეთში ოპოზიციასთან მოლაპარაკებების მიზნით, პრემიერ-მინისტრ ნიკოლაი ტანაიევს მიავლენდა, რათა "ვინმესთან კონსტრუქციული დიალოგი წამოეწყო". თუმცა, იქვე, აკაევის პრეს-მდივანი დასძენდა, რომ "კრიმინალურ ჯგუფებთან, ვინც ამჟამად იქ ვითარებას აკონტროლებს" მოლაპარაკებები გამორიცხულია.

მიუხედავად მოლოდინისა, პრემიერ-მინისტრი გუშინ ოშში არ ჩასულა. შესაძლოა, იმის გამოც, რომ ოპოზიცია უარს აცხადებს მოლაპარაკებებზე, რომელშიც ასკარ აკაევი არ იქნება ჩართული. ყირგიზეთის მთავრობაში ანონიმი წყარო კი ირწმუნება, რომ ტანაევი დღეს ჩავა ოშში.

პარალელურად, გავრცელებული ცნობებით, ქვეყნის სამხრეთიდან დედაქალაქისკენ ოპოზიციის მომხრეებით სავსე ავტობუსების კოლონა დაიძრა. "ინტერფაქსი" ავრცელებს ცნობას, რომ ავტობუსებში ოშის, ჯალალაბადისა და სამხრეთის სხვა ქალაქების წარმომადგენლები იმყოფებიან.

*24 საათი*

# მუსოლინის არჩევნებში მონაწილეობის ნება დართეს

იტალიის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დიქტატორი ბენიტო მუსოლინის შვილიშვილს, ალესანდრას, რეგიონულ არჩევნებში მონაწილეობის ნება დართო, - იუწყება საინფორმაციო სააგენტო "როიტერი". ალესანდრა მუსოლინის პარტია "სოციალური ალტერნატივა" აღნიშნულ არჩევნებში კონკურენციას გაუწევს "ეროვნულ ალიანსს" ლაციოს ოლქში, რომლის გუბერნატორიც "ალიანსის" წევრი ფრანჩესკო სტორაცეა. ადგილობრივი მიმომხილველების აზრით, მუსოლინის პარტიის გამარჯვების შემთხვევაში სოტრაცე თანამდებობას დაკარგავს. "ეროვნული ალიანსი" პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის მემარჯვენე-ცენტრისტულ კოალიციაში სიდიდით მეორე პარტიაა. პარტია იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯანფრანკო ფინიმ შექმნა "იტალიის სოციალური მოძრაობის" დაშლის შემდეგ, რომელიც ბენიტო მუსოლინის ფაშისტური პარტიის მემკვიდრეს წარმოადგენდა. უკანასკნელ წლებში ფინი ყველანაირად ცდილობდა ფაშისტური პარტიისგან ჩამოშორებას და ერთხელ დიქტატორი მუსოლინის მმართველობის პერიოდს "სამარცხვინო" უწოდა. "ალიანსის" ლიდერის მხრიდან ასეთი საქციელის შემდეგ, პარტიის წევრმა ალესანდრა მუსოლინიმ მისი დატოვება და საკუთარი ულტრამემარჯვენე მოძრაობა "სოციალური ალტერნატივის" შექმნა გადაწყვიტა. ლაციოს ოლქის სააპელაციო სასამართლომ "სოციალური ალტერნატივა" ლაციოს ოლქის არჩევნებში მონაწილეობას ჩამოაშორა. სამართალდამცავმა ორგანოებმა მუსოლინი და მისი თანამებრძოლები ამომრჩეველთა ხელმოწერების გაყალბებაში დაადანაშაულეს. სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, იტალიელი დიქტატორის შვილიშვილმა შიმშილობა გამოაცხადა. ალესანდრამ საპროტესტო აქცია 14 მარტს დაიწყო სასამართლოს შენობის წინ. დღეს, როდესაც მან სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, მან აღნიშნული ვერდიქტი "გამჭვირვალეობის, პლურალიზმისა და დემოკრატიის" გამარჯვებად მონათლა. "დღეს ჩვენ გავიმარჯვეთ, მომავალში - ამომრჩევლებზეა დამოკიდებული," - აღნიშნა ალესანდრა მუსოლინიმ.



# აიათოლა ხამენეიმ ბუში სიმხდალეში დაადანაშაულა

ნოვრუზ-ბაირამისადმი (ახალი წელი, მაჰმადიანური კალენდრით) მიძღვნილ სატელევიზიო გამოსვლაში, ირანის სულიერმა ლიდერმა ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს და მის გუნდს საკმაოდ მკაცრი შეფასება მისცა. აიათოლა ალი ხამენეიმ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას "ომის გამჩაღებლები" უწოდა და სიმხდალეში დაადანაშაულა. "აშშ-ს ლიდერები - პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელები - 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სამი დღე იმალებოდნენ. ჩვენ ასეთები არ ვართ," - განაცხადა ხამანეიმ, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ მეშჰედში გამოსვლისას. ირანის სულიერი ლიდერის სიტყვებით, თუ მის ქვეყანას თავს დაესხმიან, მზად არის სამხედრო ფორმა ჩაიცვას და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს. "მათ ომი სურთ, ჩვენ მზად ვართ, თავი შევწიროთ," - აღნიშნა ხამანეიმ რამდენიმე ათასი კაცისგან შემდგარ მიტინგზე. ხალხმა მისი გამოსვლა შეძახილებით - "სიკვდილი ამერიკას" და "მზად ვართ მსხვერპლისთვის" - შეწყვიტა. აშშ ირანს იმაში ადანაშაულებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა, ამერიკის განცხადებით, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების შენიღბვას ემსახურება. თუმცა ამ დღეებში ვაშინგტონმა თეირანის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა და გადაწყვიტა, ევროპის ქვეყნებთან კომპრომისზე წასულიყო. ევროპა ირანს ეკონომიკურ თანამშრომლობას და სხვადასხვა სახის დახმარებას სთავაზობს, ირანის მხრიდან ურანის გამდიდრებაზე უარის თქმის სანაცვლოდ.



*ასოშიეიტედ პრესი*

# ევროკავშირი ვულფოვიცის კანდიდატურით "შეშფოთებულია"

ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა "ერთგვარი შეშფოთება" გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლ ვულფოვიცი შესაძლოა, მსოფლიო ბანკს ჩაუდგეს სათავეში.

მინისტრებმა მის კანდიდატურას "სერიოზული" უწოდეს და აღნიშნეს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე ვულფოვიცის დანიშვნამდე მასთან შეხვედრა სურთ, რათა გაიგონ, როგორი პოლიტიკის გატარებას აპირებს. ვულფოვიცის კანდიდატურა, რომელსაც თეთრი სახლის "ქორების" წარმომადგენლები ერაყში ომის ერთ-ერთ "არქიტექტორად" თვლიან, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა წარმოადგინა. აშშ, რომელიც მსოფლიო ბანკის უმსხვილეს აქციონერად ითვლება, ტრადიციულად საკუთარ კანდიდატურას აწინაურებს მისი ხელმძღვანელის თანამდებობაზე და როგორც წესი, მის კანდიდატურას ბანკის მმართველთა საბჭო ამტკიცებს. ლუქსემბურგის ეკონომიკის მინისტრმა ჟანო კრეკიემ ერთგვარი წუხილი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, თუ "როგორი პოლიტიკის გატარებას აპირებს ბატონი ვულფოვიცი მსოფლიო ბანკში". გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ჰანს აიხელმა განაცხადა, რომ ვულფოვიცი "მაღალი დონის კანდიდატურაა, თუმცა დამატებით განხილვას საჭიროებს". ფინანსთა მინისტრებს სურთ, რომ ვულფოვიცი ბრიუსელში მანამდე ჩავიდეს, სანამ მისი კანდიდატურა, თვის ბოლოს, დამტკიცდება, რათა საკუთარი პოზიცია განმარტოს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის, მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებისათვის ვალის ჩამოწერა. ევროპის 1300-ზე მეტმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ გამოთქვა თავისი შეშფოთება ვუფლოვიცის მსოფლიო ბანკის თავმჯდომარედ შესაძლო დანიშვნის გამო. "ვშიშობთ, მისი დანიშვნა იმას გამოიწვევს, რომ ბანკს მომავალში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტად გამოიყენებენ," - ნათქვამია ამ ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში, რომლის ტექსტიც საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" გამოაქვეყნა.


# ყურადღება

სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებული - "თბილისის საბანკო-საფინანსო ინსტიტუტი", შაბათს, 26 მარტს, დღის 12 საათზე, უმაღლესი განათლების მიღებისა და ინსტიტუტში გადმოსვლის მსურველთათვის აწყობს ღია კარის დღეს.

**მისამართი: მეტრო მარჯანიშვილი, მიხაილოვის საავადმყოფოს მოპირდაპირე მხარეს, კიევის ქუჩა N4-ში. ტელ: 96-36-41; 95-92-57**






# საკრებულო "გამოსავალს" პოულობს

*გუშინ თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ წინა სხდომების უცვლელი მთავარი თემა - განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის ნატა მაჩალაძის კრიტიკა, შემდეგი სხდომებისთვის შემოინახა და რამდენიმე უმტკივნეულო საკითხი განიხილა.*

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ საგანგებო სიტუაციათა სამსახურის შექმნის იდეა ერთხმად მოიწონა. ეს იდეა კომისიის თავმჯდომარეს სოსო ეგუტიასა და ფრაქცია "დემოკრატების" ლიდერს დავით ხუციშვილს ეკუთვნით. მსგავსი სამსახური (სამაშველო) ქალაქში უკვე არსებობს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი ქალაქს გადასცა, მაგრამ როგორც სოსო ეგუტია განმარტავს, **"სამაშველო სამსახური, ძირითადად, თბილისის ზღვის ტერიტორიით შემოიფარგლება, ჩვენ კი უფრო მასშტაბური სამსახურის შექმნა გვინდა, დაზარალებულ მოსახლეობას ყველა სახის დახმარებას რომ გაუწევს."**

მართალია, პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის ბრძანებულებით, თბილისის მერიის სტრუქტურა უკვე განისაზღვრა და დამატებითი სამსახურის შექმნა შეუძლებელია, მაგრამ სოციალურ საკითხთა კომისიამ გამოსავალი მაინც მოძებნა - ახალი სტრუქტურის სპორტის საქალაქო სამსახურისათვის დაქვემდებარება გადაწყვიტა. ამ საკითხს, სავარაუდოდ, საკრებულოს მომდევნო სხდომაზე გამოიტანენ. სამსახურისთვის ბიუჯეტიდან რა თანხები გამოიყოფა, ეს მას შემდეგ განისაზღვრება, როცა საკრებულო აღნიშნულ სტრუქტურას დაამტკიცებს.

კომისიის წევრები ასევე უმტკივნეულოდ შეთანხმდნენ მერის ფონდიდან სამი გაჭირვებული ადამიანისთვის თანხების გადარიცხვის თაობაზე. ამ საკითხს საკრებულოს ხვალინდელ სხდომაზეც, ალბათ, წინააღმდეგობის გარეშე დაამტკიცებენ.

# თელაველი ვაჭრები საგადასახადო ინსპექციას უპირისპირდებიან

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

თელავის ყოფილი წინდების ფაბრიკის ტერიტორიაზე და ალაზნის გამზირზე გახსნილი ბაზრობების მოვაჭრეებმა რაიონის გამგეობის შენობის წინ დილაადრიან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი რამდენიმე დღის წინ, რაიონის საგადასახადო ინსპექციისგან დაწესებული გადასახადების გაუქმებას მოითხოვდნენ. მოვაჭრეების განმარტებით, აღნიშნული უწყება თითოეულ ადამიანს მოგების 38 პროცენტს სთხოვს. **"თუ სახელმწიფოს ჩვენი მოგების 38 პროცენტს გადავუხდით, ხოლო დაწესებულებას, სადაც ვვაჭრობთ - 45 ლარს, რისთვისღა ვიკლავთ თავს?"** - კითხულობენ ვაჭრები და აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დახმარებას რაიონის ხელმძღვანელობას სთხოვენ.

ნაირა გრძელიშვილი პროფესიით ეკონომისტია, მაგრამ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ორგანიზაციებში შტატების შემცირება განხორციელდა, მან ოჯახის სარჩენად ვაჭრობა დაიწყო. ბიზნესი კი მიკროსაკრედიტო ბანკიდან გატანილი თანხითააწყო. **"ჩვენ, ვინც ბაზრობის ტერიტორიაზე ვვაჭრობთ და მცირე ბიზნესმენები გვქვია, მიკროსაფინანსო ბანკების კრედიტორები ვართ. თუ ასე გააგრძელა ჩვენმა მთავრობამ, შესაძლოა ქუჩაში აღმოვჩნდეთ, რადგან კრედიტის დაფარვას ვეღარ შევძლებთ და ამისთვის ბინების დათმობა მოგვიწევს,"** - ამბობს ნაირა გრძელიშვილი და ქვეყნის ხელმძღვანელობას იმ შეღავათების დაწესებას ახსენებს, რომლის შესახებაც ბრძანება თვით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა და ცოტა ხნის წინათ თელავში ვიზიტის დროსაც გაიმეორა.

**"თუ ვერ შეგვისრულებდნენ დანაპირებს, რაღას გვპირდებოდნენ. კანონის თანახმად კი, იმ შემთხვევაში, თუ 10 კვადრატული მეტრი უკავია მცირე ბიზნესმენს, მას გადასახადები მოხსნილი აქვს. ჩვენ კი თითოეულს 8 კვადრატული მეტრი თუ გვაქვს. პრეზიდენტმა რომ მოუწოდა ყველა ბიზნესმენს, გზა გახსნილი გაქვთო, ეს ვერ გაიგეს საგადასახადოს თანამშრომლებმა?"** - ამბობს ნაირა გრძელიშვილი. ასამდე აქციის წევრის დამშვიდება რაიონის ხელმძღვანელობამ მალევე მოახერხა. აღელვებული ვაჭრები გამგეობის სააქტო დარბაზში შეიყვანეს და ვითარების გარკვევისთანავე პრობლემების მოგვარებას დაჰპირდნენ.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ბაზრის მეწილე თვით თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილია.

# უფასოდ აეროპორტს არავინ აგვიშენებს

*მაქსიმუმ ერთ თვეში ცნობილი გახდება, თუ რომელი კომპანია ააშენებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტს. განაცხადების მიღება 21 მარტს დასრულდა, რომლის მიხედვითაც, ტენდერში მონაწილეობის უფლება ექვსმა კომპანიამ მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო შედეგები ჯერ არ გამოცხადებულა, აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, უამრავი მითქმა-მოთქმა არსებობს. "24 საათი" აეროპორტის გენერალურ დირექტორს, ნიკოლოზ მანჯგალაძეს ესაუბრა.*



*აეროპორტის გენერალური დირექტორი ნიკოლოზ მანჯგალაძე.*

თამარ დვალი

**- როგორც ცნობილია, ტენდერში მონაწილეობას ექვსი კომპანია იღებს, თუ შეგიძლიათ დაგვისახელოთ, რომელი კომპანიებია და რა წინადადებებს გვთავაზობენ?**

- განაცხადების მიღება 21 მარტის 6 საათზე დამთავრდა. ტენდერში მონაწილეობის სურვილი შემდეგმა კომპანიებმა გამოთქვეს: ქართული კომპანია "პალადი პალასი", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროექტის ავტორი გიორგი ბერიძეა, გიორგი თუხარელის პროექტი, გერმანული კომპანია "TAKOM-GLORIYA PIVDEN"-ი, თურქული კომპანია "TAV"-ი, და "CELEBI" და ბელგიურ-ლუქსემბურგული კომპანია "GTS"-ი.

ალბათ, ერთი თვე დაგვჭირდება იმისთვის, რომ საბოლოოდ გადაწყდეს, თუ ვინ ააშენებს აეროპორტს და რა ფორმა მიეცემა, იქნება ეს კრედიტის ფორმა, რომელსაც თავის თავზე აიღებს სახელმწიფო (თუმცა, უფრო სწორია, თუ ვიტყვით, რომ აეროპორტი), ან ბიოთი, რომელსაც კომპანია TAV" და "CELEBI" გვთავაზობს. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, სახელმწიფო მენეჯმენტზე პასუხისმგებლობას აღარ იღებს და კრედიტიც გაცილებით მალე დაიფარება. თუმცა, შეიძლება სახელმწიფომ დაკარგოს ის თანხა, რასაც ამ ორ, სამ წელიწადში ამოიღებდა.

**- რამდენი ადამიანია კომისიაში და ვინ არის კომისიის თავმჯდომარე?**

- კომისიაში 13 წევრია და მისი თავჯდომარე მე ვარ, თუმცა ეს ჩემი სურვილით სულაც არ მომხდარა. ეკონომიკის სამინისტროდან არის 2 წარმომადგენელი, თავისი წარმომადგენელი ჰყავს მერიის დაგეგმარებისა და ურბანიზაციის სამსახურს, ქონების მართვის სააგენტოს, აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურს, ფინანსთა სამინისტროს და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი ხელშეკრულების საკითხს გაუწევს კურირებას. კომისიაში მყოფ ყველა წევრს თავისი განხრით მოუწევს მუშაობა. ბოლოს კი მოხდება შეჯამება. მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენ ყველა კომპანიას გავუწევთ რეკომენდაციას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მთავრობა მიიღებს და არა ჩვენ.

**- სანამ განაცხადების მიღება დასრულდებოდა, თქვენ ერთ-ერთი კომპანიის ლობირებაში გდებდნენ ბრალს. კეთდებოდა ისეთი განცხადებებიც, თითქოს ერთი კომპანია უფასოდ ჩაატარებდა სამუშაოებს, ხოლო თქვენ უპირატესობა სხვა კომპანიას მიანიჭეთ...**

- უფასოდ აეროპორტს არავინ აგვიშენებს. მითქმა-მოთქმა "ტაკომის" გამოჩენამ გამოიწვია, თითქოს მას წინასწარ ჰქონდა გეგმა მომზადებული. მინდა ვთქვა, რომ ასევე ადრე ჰქონდა "პალადი პალასსა" და გიორგი თუხარელს პროექტები წარმოდგენილი. ჩვენ მოვედით აეროპორტის მენეჯმენტში აგვისტოში და ვერ წარმოიდგენთ, რამდენმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი, საკუთარი პროექტი წარმოედგინათ. ერთ-ერთმა 200-მილიონიანი პროექტი შემოგვთავაზა, რაზეც უარი ვუთხარით. გიორგი ბერიძემ ვენეციის კონკურსზე გაიტანა საკუთარი გეგმა და ტენდერის გამოცხადებისთანავე ჩვენ მოგვმართა. მათი ერთადერთი პრივილეგია ის არის, რომ სხვაზე ადრე გამოთქვეს სურვილი, საკუთარი პროექტი მოეტანათ. ეს მათი მარკეტინგის დამსახურებაა და არა ჩვენი ბრალი. გარწმუნებთ, რომ მე არავის ვლობირებ.

**- პარლამენტის წევრების განაწყენება რამ გამოიწვია?**

- პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა ჩათვალა, რომ თბილისის აეროპორტმა თვითნებურად გამოაცხადა ტენდერი. ეს იყო აბსოლუტურად არასამართლიანი ბრალდება. კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა დაურეკა საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარეს ირაკლი ჩოგოვაძეს და ლექსო ალექსიშვილს. იგი იმ განაცხადების მიწოდებას ითხოვდა, რომელიც თავდაპირველად შემოვიდა. მოხდა უცნაური რამ. პარასკევს მე შევპირდი ჩოგოვაძეს, რომ ორშაბათს მივაწოდებდი სრულ პაკეტს, ხოლო შაბათს ბატონ ნიკოს გადასცეს დოკუმენტი, სადაც მოკლედ იყო გადმოცემული ამ კომპანიების შესახებ. ამან ლეკიშვილის გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია. სინამდვილეში ჩვენ მომზადებული გვქონდა სრული პაკეტი, სადაც მითითებული იყო ამ კომპანიების ფინანსური გარანტიები, რა გამოცდილება ჰქონდათ და ა.შ.

**- იყო მეორე ბრალდებაც, რომელიც ტენდერის ვადებს უკავშირდებოდა...**

- ესეც არ არის მართალი, რადგან ჩვენ გვქონდა ესკიზური პროექტები და არა დეტალური ინფორმაცია. ჩვენი მიზანი იყო, ესკიზური პროექტებიდან რამდენიმე აგვერჩია და ფინანსურ საკითხებს შემდეგ ჩავღრმავებოდით. განაცხადების მიღება ერთ თვეს გაგრძელდა. პრეტენზია გამოთქვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომაც, ჩვენ რატომ არ შეგვითანხმეთო. აქ სახელმწიფო თანხები არ მიდის და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩვენთან პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს. არც ერთი მუხლი ჩვენ არ დაგვირღვევია. ჩვენ ვართ კომერციული სტრუქტურა, რომელსაც 100 პროცენტით ფლობს სახელმწიფო. ჩვენ ასევე ვართ კომერციული სტრუქტურა, რომელიც თავის ტარიფს ადგენს. აეროპორტი ერთ-ერთი ყველაზე კარგი გადამხდელია. ჩვენ ერთი თეთრის დავალიანებაც კი არ გვაქვს სახელმწიფოსთან.

**- დაახლოებით რა თანხა დაჯდება ახალი აეროპორტის აშენება და ვინ დაფარავს მის ხარჯებს?**

- სავარაუდოდ, 35 მილიონი. კომპანია "CELEBI"-მ შემოგვთავაზა 34 მილიონ 700 ათასად. ერთ-ერთმა კომპანიამ 33 მილიონ 70 ათასად. ალბათ, 8, 10 წელიწადში შევძლებთ ამ თანხის დაფარვას. ბიოთის პრინციპით თუ ავაწყვეთ მენეჯმენტი, შეიძლება 5, 6 წელიწადშიც დავფაროთ. საერთოდ, ასეთი პროექტების განხორციელებისას, ფულის ამოღება მგზავრებიდან ხდება. მთელ მსოფლიოში არსებობს მგზავრთა მოსაკრებელი. განვითარებულ ქვეყნებში მოსაკრებელი ბილეთის ფასის 50 პროცენტს შეადგენს. ჩვენ ამხელა თანხებზე არ ვსაუბრობთ, ვვარაუდობთ, რომ ეს თანხა 18 დოლარი იქნება, რაც ადრეც იყო, მაგრამ შემდეგ მოიხსნა. პრაქტიკულად, ჩვენ ვართ ერთადერთი აეროპორტი, რომელსაც არ აქვს მგზავრთა მოსაკრებელი. ამიტომაც არ ხდება აეროპორტის განვითარება. თუკი ბიოთი-ს სისტემას შემოვიღებთ, მგზავრთა მოსაკრებელი ნაკლები იქნება.

**- როგორც მე ვიცი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ერეკლე ქიქოძე თავისი ნებით წავიდა სამსახურიდან, თუმცა მის წასვლასაც თქვენ გაბრალებდნენ. რა იყო ამის მიზეზი?**

- არ ვიცი, ერეკლეს წასვლა მე რატომ დამიკავშირეს. ქიქოძე ჩემი ზემდგომი იყო და, აქედან გამომდინარე, ჩემი მითითებით, ან ჩემ გამო ის სამსახურს არ დატოვებდა. ერეკლე მადნეულის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც იყო და, ალბათ, მან ვერ შეძლო ორი ამხელა ობიექტის მართვა. მისი მოსვლა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც აეროპორტში გამოცხადდა ტენდერი, მიმდინარეობდა რეორგანიზაცია, რესტრუქტურიზაცია და ეს ყველაფერი სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველი იყო. როდესაც ტელევიზიით გაიჟღერა ინფორმაციამ, თითქოს ქიქოძე ჩემი გულისთვის წავიდა აქედან, მან მაშინვე დამირეკა და მითხრა, რომ ეს მისი ნათქვამი არ ყოფილა და არც სიმართლეს შეეფერება.

**- რაც შეეხება კადრების საკითხს, თქვენ საკუთარი გუნდის მოყვანაში გადანაშაულებენ.**

- დამისახელეთ დირექტორი, რომელიც მოვიდა ახალ სამსახურში და თავისი კადრები არ მოიყვანა. ეს მხოლოდ მმართველ რგოლებს შეეხება. მასშტაბური შემცირება ჩვენთან არ მომხდარა. რამდენიმე თანამდებობაზე კონკურსის წესით შევარჩიეთ თანამშრომლები, თუმცა ვერავინ მეტყვის, რომ მათ შორის ვინმე ჩემი ახლობელია.

**- ვინ სარგებლობს VIP გასასვლელით?**

- VIP-1 არის სამთავრობო გასასვლელი, რომლითაც პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, კათალიკოს-პატრიარქი, პარლამენტის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები სარგებლობენ. VIP-2 არის დიპლომატიური მისიებისათვის: პარლამენტისა და სამთავრობო სტრუქტურებისთვის, თუმცა ყველას არ აქვს იქ შესვლის უფლება. VIP-3-ის ტერიტორია, ისევე როგორც VIP-1-სა და VIP-2-ის, არის ბუფერული ზონა (ნეიტრალური უსაფრთხოების მიზნით), სადაც ნებისმიერი სახის ტრანსპორტს აკრძალული აქვს შესვლა, აეროპორტის უსაფრთხოებიდან გამომდინარე. VIP-3-ის ამ წესს არეგულირებს აეროპორტის უსაფრთხოების სამსახური, ხოლო პირველ ორს - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. ამ ტერიტორიაზე შესასვლელი ჭიშკარის კარი ჩაკეტილია 11 სექტემბრის შემდეგ. VIP-3 არის კომერციული სტრუქტურა და მგზავრი კომფორტისთვის 30 ლარს იხდის.

**- საჭიროებდა თუ არა თბილისის აეროპორტი რეკონსტრუქციას, თუ მხოლოდ პრეზიდენტის განცხადების შემდეგ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში?**

- მე აქ 12 აგვისტოს დავინიშნე და 13-ში ღამე მოვედი, რათა მანამ გავცნობოდი სიტუაციას, სანამ თანამშრომლები გამიცნობდნენ. რაც მე ვნახე, ეს იყო საშინელება. ჯერ შემეცოდა აქ მომუშავე პერსონალი და მერე შემეშინდა. სანამ პრეზიდენტი ამ საკითხს დააყენებდა, მე უკვე გაგზავნილი მქონდა წერილები სამეთვალყურეო საბჭოს, პრემიერ-მინისტრის, ეკონომიკის მინისტრისა და პრეზიდენტის სახელზე. ანუ შედგენილი იყო მთელი პაკეტი. შემდეგ იყო სამთავრობო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, მითითება მიეცა ლექსო ალექსიშვილს, დაწყებულიყო ეს პროცესი. აქ საშინლად მოძველებული ტექნიკაა. რამდენიმე მანქანა 50-იან, 60-იან წლებშია გამოშვებული. ოდნავ იწვიმებს და დარბაზში წყლის დონე 10 სანტიმეტრით იწევს. მთელი ისანი-სამგორის კანალიზაცია ჩვენთან ჩამოდის. ამის გათვლა თავის დროზე ვერ მოხერხდა. აეროპორტში არ არის ვენტილაცია, ჰაერის ცირკულაცია კარების დახურვა-გაღების დროს ხდება. შენობის რეკონსტრუქცია გაცილებით მეტი დაჯდებოდა და ვერც მოხერხდებოდა, ამიტომაც, ახლის აშენება ვამჯობინეთ.

**- სად იქნება ახალი აეროპორტი და მისი მშენებლობა წარმოქმნის თუ არა გადაადგილების პრობლემას?**

- ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მგზავრთა გადაყვანის ციკლი არ დარღვეულიყო. ახალი აეროპორტი შიდა ტერიტორიაზე, VIP-3-ის გაყოლებაზე აშენდება. ძველთან შედარებით, მას ბევრი განმასხვავებელი ნიშანი ექნება, თუმცა, პირველი და შესამჩნევი - ტელესკოპური ტრაპი იქნება. თბილისის აეროპორტს არ ჰქონდა სატრანზიტო ზონა, რითიც მგზავრებს ვკარგავდით, ამიერიდან ჩვენ სატრანზიტო დატვირთვაც გვექნება. მთლიანობაში, ნაგებობა 18 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. გაფრენა და მოფრენა იქნება ერთ დარბაზში. მგზავრები ბარგს უფრო მალე მიიღებენ, ვიდრე აქამდე ხდებოდა. აქვე გაიხსნება მაღაზიებისა და კაფეების ქსელი. იქნება ბანკი, ფოსტა და ა.შ.


# ინტელექტბანკის პლასტიკური ბარათით უკვე შეგიძლიათ გაზის და წყლის გადასახადის გადახდა

დაარსების დღიდან ინტელექტბანკი მუდამ ზრდის მომხმარებლისადმი შეთავაზებული პროდუქტების ნუსხას და მატებს მათ ახალ დამატებით თვისებებს, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს მაქსიმალურად კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი გახლავთ პირველი ქართული ბანკი, რომელმაც პლასტიკური ბარათის მომხმარებელს შესთავაზა მობილური ტელეფონითა და ინტერნეტით მომსახურება. ინტელექტბანკის კლიენტს საშუალება აქვს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს კომფორტული მომსახურებით, კერძოდ: შეამოწმოს ბარათზე არსებული ნაშთი; მიიღოს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის და გახარჯვის შეტყობინება; დაბლოკოს ან მოხსნას ბლოკი ბარათს; შეიძინოს Magti GSM-ის "მონო" და Geocell-ის "ასტრა" და "ლაი ლაი" ბარათი; გადაიხადოს ელექტროენერგიის, საქართველოს ტელეკომის (8-10), Ayety TV-ის დავალიანება და მრავალი სხვა. ამასთან მოცემულ სერვისზე დარეგისტრირება და მომსახურება უფასოა.

ამჟამად ზემოაღნიშნულ სერვისს ინტელექტბანკმა დაუმატა ახალი ტიპის მომსახურება, კერძოდ პლასტიკური ბარათების მომხმარებელს საშუალება ეძლევა გადაიხადოს გაზის და წყლის გადასახადი მობილური ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით. თქვენ აღარ დაგჭირდებათ გადასახადის გადახდის პუნქტში მისვლა და რიგში დგომა, უბრალოდ დარეგისტრირდით მოცემულ სერვისზე ინტელექტბანკში, მიუთითეთ აბონენტის საიდენტიფიკაციო ნომერი და ისარგებლეთ კომფორტული მომსახურებით.

ინტელექტბანკი კვლავაც განაგრძობს ახალი პროდუქტების დანერგვას და არსებული პროდუქტების თვისებების გაფართოებას, რათა მომხმარებელმა ისარგებლოს სწრაფი, მრავალფეროვანი და კომფორტული მომსახურებით.





# დახურვას გადარჩენილი ბაზარი

*10 მარტიდან თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ სავაჭრო ობიექტებში არსებული სანიტარიული მდგომარეობის გადამოწმება დაიწყო. ინსპექციის თანამშრომლები ყველაზე ხშირად ცენტრალურ სუპერმარკეტს (ე.წ დეზერტირების ბაზარი) სტუმრობენ და იქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს თვალყურს ადევნებენ. შარშან შემოდგომაზე დახურვას გადარჩენილი ბაზარი უკვე ინსპექციის მოწონებას იმსახურებს. თუმცა, თავმოყვარე დედაქალაქს რომ შეეფერება, იმ მდგომარეობამდე ბაზარს ჯერ კიდევ ბევრი უკლია.*

ნანა ქადაგიშვილი

როგორც ინსპექციის ხელმძღვანელი კახა ნაჭყებია აცხადებს, ცენტრალური სუპერმარკეტი უკვე საგრძნობლად არის შეცვლილი. პირველ სართულზე დამონტაჟდა ვენტილაცია; სრულიად შეიცვალა მალფუჭებადი პროდუქტების სარეალიზაციო დახლები; კანალიზაციის გამომპალი სისტემა ახალი, პლასტმასის მილებით შეიცვალა; გაიწმინდა ტრაპები; გაკეთდა ნაგვის ბუნკერი; გარემონტდა ბაზრის შენობის ჭერი, სარდაფში მწნილების სარეალიზაციო რიგი და, რაც ყველაზე მთავარია, ვეტლაბორატორია. ჯერ მხოლოდ ამ ჩამონათვალის მიხედვით მიხვდებით, ბაზარში რამდენად მძიმე მდგომარეობა იყო.

**"ზედა სართულის ჭერიდან და კედლებიდან ბათქაშია ჩამოშლილი, იატაკი კი - დაზინებული, რის გამოც ნარეცხი ჭუჭყიანი წყალი პირველ სართულზე ჩადის; პირველი სართულის აყრილ იატაკზე კი ორმოებია გაკეთებული და ჭუჭყი გროვდება; ონკანებისა და საკანალიზაციო ტრაპების უკმარისობის გამო ხარისხიანი დასუფთავება ვერ ხერხდება; პირველ სართულზე მოშლილია ვენტილაციის სისტემა. ჭერსა და კედლებზე ობია მოკიდებული; ამორტიზირებულია დახლები, გასარემონტებელი - ვეტლაბორატორია,"** - ასეთი იყო გასული წლის შემოდგომაზე სანიტარიული ინსპექციის დასკვნა, რამაც ინსპექციის ხელმძღვანელობას ბაზრის დახურვა გადააწყვეტინა. 2004 წლის პირველ ოქტომბერს ინსპექციამ უპრეცედენტო დადგენილება გამოიტანა და, არსებობის 35 წლის მანძილზე პირველად, ცენტრალური სუპერმარკეტის დახურვა მოითხოვა (სანამ ბაზარი ყველა საჭირო სანიტარიულ ნორმას არ დააკმაყოფილებდა).

თუკი ბაზრის დირექცია ამ დადგენილებას არ დაემორჩილებოდა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, 1500-დან 5000-მდე ლარით უნდა დაჯარიმებულიყო, მაგრამ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის წყალობით, ბაზარი ამ საფრთხეს იოლად გადაურჩა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბეგაშვილი ბაზრის დახურვის იდეას ეთანხმებოდა. **"თუკი ბაზრის ხელმძღვანელობა ინსპექციის დადგენილებას არ დაემორჩილება, ინსპექციას მის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციული სადამსჯელო ღონისძიების გატარებას მოვთხოვთ. ნორმალური ლაბორატორიის შეძენა სანკტ-პეტერბურგში 5 ათას დოლარად შეიძლება. ეს ცენტრალური სუპერმარკეტისთვის არც ისე დიდი თანხაა,"** - აცხადებდა საკრებულოს თავმჯდომარე.

თუმცა, მალე მან აზრი შეიცვალა. საკრებულოს ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ინსპექციის ზემოთ აღნიშნული დადგენილება შეჩერდა და სუპერმარკეტის დირექტორს, საქმიანობის შეუჩერებლად, ბაზრის წესრიგში მოყვანა დაევალა. დირექტორმა თემურ პაპუაშვილმა ქალაქის ხელმძღვანელობის მოთხოვნა ამჯერად ყურად იღო (თბილისში არსებული ბაზრების, მათ შორის - ცენტრალური სუპერმარკეტის, სავალალო მდგომარეობასა და მისი გამოსწორების აუცილებლობაზე საუბარი საკრებულოს სხდომებზე მანამდეც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ საქმე მხოლოდ ბაზრის დირექტორების გამოლანძღვით მთავრდებოდა) და რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, სანიტარიული ინსპექცია ბაზარში ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილი დარჩა. თუმცა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, ბაზრის გადაუხურავ ნაწილში იატაკის ფილები დაზიანებულია და წყალი გროვდება. მოსაწესრიგებელია თევზის სექცია. სუპერმარკეტის დირექცია აპირებს, რომ თევზის სექცია შენობის შიგნით შეიტანოს, მის ადგილას კი ყვავილების სექცია მოაწყოს.

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

## "სელფორდი" საქართველოში ბანკს ყიდულობს

*სკანდალურად ცნობილ "აგრობიზნესბანკს" დღეიდან ახალი მფლობელი ჰყავს. ყოფილი მესაკუთრის, ევროკომისიის ხელმძღვანელობის განცხადებით, ამ გარიგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტი მალე 7 მილიონ 400 ათას ლარს მიიღებს.*



ვახო ხაჭაპურიას ფოტო

*ევროკომისიამ "აგრობიზნესბანკი" გაყიდა.*

მარიამ ჭაჭვაძე

დღემდე "აგრობიზნესბანკს" ევროკომისია მართავდა და, დიდი ხანია, მისი გაყიდვის სურვილი ჰქონდა. გუშინ ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისში ბანკის გაყიდვასთან დაკავშირებით სპეციალური პრესკონფერენცია მოეწყო. როგორც გუშინ გაირკვა, "აგრობიზნესბანკის" ახალი მესაკუთრე ასევე სკანდალურად გახმაურებული, ოფშორში რეგისტრირებული საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია "სელფორდია", რომელმაც ბანკის აქციების ასივე პროცენტი შეისყიდა.

ბანკის გაყიდვის პროცესი 2003 წლის მიწურულს დაიწყო, თუმცა ბოლო დროს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ეს პროცესი, გარკვეულწილად, შეაფერხა.

ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ტორბენ ჰოლცეს განცხადებით, "აგრობიზნესბანკი" გაიყიდა ევროპული კანონმდებლობის მიხედვით და საქართველოში არსებული კანონები ამ შემთხვევაში არ მოქმედებდა, რადგან "აგრობიზნესბანკის" 100-პროცენტიანი მფლობელი ევროკომისია იყო, თუმცა ბანკის მონიტორინგს დღემდე საქართველოს მთავრობა ახორციელებდა.

ტორბენ ჰოლცეს თქმით, ბანკის პრივატიზაციით ქართულ-ფრანგული კონსორციუმიც იყო დაინტერესებული, თუმცა მას შემდეგ, რაც "სელფორდმა" გაცილებით უკეთესი ფინანსური წინადადებები წარადგინა, ევროკომისიამ არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. "სელფორდის" მთავარი ოფისი ლონდონშია განთავსებული, კორპორაციის ძირითადი საქმიანობა კომპანიების ინვესტირება და ამ ინვესტიციების მართვაა.

როგორც "სელფორდის" ერთ-ერთმა მფლობელმა ირაკლი რუხაძემ გუშინ განაცხადა, კომპანია საქართველოს საფინანსო სექტორს დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა, თუმცა, საბოლოო არჩევანი "აგრობიზნესბანკზე" შეაჩერა.

**"ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ბანკში სასოფლო-სამეურნეო პროფილის შენარჩუნება, ასევე ვგეგმავთ, ბანკის საქმიანობა უფრო მრავალპროფილიანი გავხადოთ,"** - განაცხადა რუხაძემ. მისივე ინფორმაციით, ბანკი უახლოეს მომავალში სახელსაც შეიცვლის.

ცნობისათვის: "აგრობიზნესბანკი" შექმნა ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობას შორის 1999 წლის დეკემბერში ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. იმავე თვეში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასცა ლიცენზია, რამაც ბანკს საშუალება მისცა, საქართველოში სრული საბანკო საქმიანობა განეხორციელებინა. მემორანდუმის თანახმად, ბანკი დაარსდა ევროკავშირის სასურსათო დახმარების შედეგად შექმნილი საპარტნიორო ფონდიდან მიღებული 9.9 მილიონი ლარით. ამ თანხიდან 6.9 მილიონ ლარს ბანკის საწყისი კაპიტალი შეადგენდა. 3 მილიონი ლარი კი იყო სესხი, რომელიც ბანკს უშუალოდ ფინანსთა სამინისტროსთვის უნდა გადაეხადა.

"აგრობიზნესბანკის" ძირითადი მიმართულება სასოფლო-სამეურნეო სექტორის დაკრედიტება იყო. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბანკი 12 ათასზე მეტ კლიენტს ემსახურებოდა.

## ფოთი-კავკაზის პირდაპირი სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლა დაიწყო

დღეს 1200 ტონა ხორბლით დატვირთული ბორანი კავკაზის ნავსადგურიდან საქართველოსკენ დაიძვრება. ბორანი ფოთის პორტში, სავარაუდოდ, 24 ან 25 მარტს შემოვა. სამინისტროს განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ კავკაზის ნავსადგური ამ ეტაპზე მზად არ არის აქციზური ტვირთების მისაღებად, ამ ბორნით საქართველოდან რუსეთის მიმართულებით სილიკომანგანუმი, პერლიტის ბენტონიტური თიხები და სხვა არააქციზური საქონელი გადაიტვირთება.

"იმედი გვაქვს, რომ პირველი საცდელი რეისი წარმატებით განხორციელდება და საბორნე მიმოსვლა ორგანიზებულ სახეს მიიღებს, ასევე გაიზრდება მიმოსვლის ინტენსივობა, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას," - აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

*ინტერ-პრესი*

ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე -
www.tbilisicorps.ge
მისამართი: ალმაშენებლის 89/24,
"თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.
ტელ.: 952034**

# 1000-ზე მეტი კანონდარღვევის შედეგად სახელმწიფომ 60 მილიონი ლარი იზარალა

*კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილი 1000-ზე მეტი კანონდარღვევის შედეგად სახელმწიფომ 60 მილიონი ლარი იზარალა. როგორც გუშინ კონტროლის პალატაში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი, დარღვევები გამოვლინდა სააქციო საზოგადოება "თბილგაზის", თბილისის ვეტერინარიის დეპარტამენტის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სააქციო საზოგადოება "დავით სარაჯიშვილი და ენისელის", თელავის რაიონული ბიუჯეტის, შეიარაღებული ძალების 21-ე ქვეითი ბრიგადის, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს, თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის შემოწმებისას.*

დიანა ჩაჩუა

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიამ განაცხადა, შემოწმებულია სახელმწიფო საწარმოებისა და სახელმწიფო უწყებების მუშაობა 2004 წლის სექტემბრამდე. გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებები ჩატარდა 300-ზე მეტ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, აქედან, 251-ში შემოწმებები უკვე დასრულებულია.

**"სამწუხაროდ, აღმოჩენილია სამართალდარღვევათა ფაქტები. 114 ობიექტის შემოწმების აქტი გადაგზავნილია სამართალდამცველ ორგანოებში - პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციაში,"** - განაცხადა ზურაბ სოსელიამ.

პალატის თავმჯდომარის თქმით, ამჟამად კონტროლის პალატა ჯანდაცვის, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებს და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს ამოწმებს. აგრეთვე, მიმდინარეობს ზუგდიდის, ბორჯომის რაიონებისა და ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტების შედგენა-შესრულების შემოწმება. მოწმდება სატელერადიომაუწყებლობა, შპს "საქართველოს რკინიგზა", "არქმშენზედამხედველობა", "თბილისის არქმშენინსპექცია", "საქართველოს ფოსტა", "ენერგოგენერაცია".

კონტროლის პალატა ამოწმებს თბილისთან ახლოს მდებარე კიკეთის, წყნეთის, კოჯრის სახელმწიფო აგარაკების პრივატიზების კანონიერებასაც.

მნიშვნელოვანი დარღვევებია აღმოჩენილი გაზგამანაწილებელ კომპანია "თბილგაზში". საქართველოს კონტროლის პალატის ინფორმაციით, დედაქალაქის გაზგამანაწილებელ კომპანიაში ქონების არამიზნობრივი და არაეფექტური გამოყენების ფაქტები გამოვლინდა. როგორც პალატის თავმჯდომარემ ზურაბ სოსელიამ განაცხადა, "თბილგაზი" ზარალიან ორგანიზაციად ხელოვნურად აქციეს.

**"კომპანიის დებიტორული დავალიანება 42 მილიონ ლარს შეადგენს. ეს განპირობებულია არადამაკმაყოფილებელი მენეჯმენტით, გაზის მეურნეობის ცუდი ტექნიკური მდგომარეობით. ამასთან, არასრულყოფილია აბონენტთა და, შესაბამისად, ბუნებრივი აირის ხარჯვის აღრიცხვიანობა, გამოვლენილია აღურიცხავი ობიექტები, ინკასატორ-კონტროლიორთა მიერ მრიცხველების გაყალბების ფაქტები. მოუწესრიგებელია საანგარიშსწორებო ქვითრების ხარჯვისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვიანობა,"** - განაცხადა სოსელიამ. მისივე თქმით, თბილისში განაწილებული ბუნებრივი აირის 50 პროცენტი იკარგება. **"ყოველ შემთხვევაში, გაზის 50 პროცენტი დანაკარგად არის აღრიცხული. საწარმოს ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, ხელოვნურად იზრდებოდა რეალიზებული ბუნებრივი აირის რაოდენობის მაჩვენებლები ე.წ. არარსებულ აბონენტებზე ბუნებრივი აირის ხარჯვის მიწერით,"** - დაამატა პალატის თავმჯდომარემ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარის თქმით, ე.წ. შეღავათიან აბონენტებზე, რომლებსაც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდებათ, წინსწრების სახით დაფიქსირებულია 4 მილიონ ლარამდე თანხა, რაც ნიშნავს, რომ ზედმეტადაა ნაჩვენები ამ აბონენტების მიერ ბუნებრივი აირის რეალიზაცია.

კონტროლის პალატაში მიაჩნიათ, რომ კომპანია "ახალი მენეჯმენტი", რომელიც "თბილგაზის" მართვას ახორციელებს, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.

**"მოხმარებული აირის საფასურის ამოღების საშუალო თვიური მაჩვენებელი, ხელშეკრულების მიხედვით, 50 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო, რაც არ შესრულებულა. თბილისის მთავრობაში ასევე არ არის წარდგენილი საინვესტიციო პროგრამა, რის გამოც არ განხორციელდა ინვესტიციები,"** - განაცხადა ზურაბ სოსელიამ.

ცნობისათვის: საქართველოს კონტროლის პალატამ "თბილგაზის" საქმიანობა 2004 წლის სექტემბრამდე შეამოწმა.

რაც შეეხება ბოლო პერიოდში სკანდალებში გახვეულ სატყეო დეპარტამენტს, ზურაბ სოსელიას თქმით, ამ უწყების შემოწმებას საქართველოს კონტროლის პალატა ახლა იწყებს. **"ამდენად, უშუალოდ დეპარტამენტის ხელმძღვანელობაზე ვერაფერს ვიტყვი,"** - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ. თუმცა, მისივე თქმით, ახალქალაქის სატყეო მეურნეობაში 10 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე კანონდარღვევებით არის რეალიზებული.

**"ხარისხიანი ნედლეული რომ იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 10 000-დან 7 000 კუბამეტრი დაუმუშავებელი მასალა, ფიცრები, კოჭები გადიოდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რაც დაფიქსირებულია კიდეც საბაჟო გამშვებ პუნქტზე. მნიშვნელოვანი დარღვევა, რა თქმა უნდა, არის ის, რომ ტენდერი არ გამოცხადებულა და მასალის რეალიზება საბაზრო ფასზე დაბალ ფასებში მოხდა,"** - აღნიშნა ზურაბ სოსელიამ.

დარღვევებია აღმოჩენილი საავტომობილო გზების დეპარტამენტშიც. როგორც გუშინდელ ბრიფინგზე გახდა ცნობილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სახელმწიფო ქონების რეალიზაცია ქონების მართვის სააგენტოს ნებართვის გარეშე განახორციელა.

**"საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ქონების მართვის სამინისტროს ნებართვის გარეშე, პირდაპირი მიყიდვის წესით გაყიდა სახელმწიფო ქონება და ამ ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტში არ ჩაურიცხავს. საგზაო ფონდის სამმართველოს შემოწმებით გამოვლინდა მატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელოვანი დანაკლისი. ამასთანავე, დეპარტამენტის მიერ ადვოკატის ხარჯების ასანაზღაურებლად 2002 წელს ზედმეტად გადახდილია 196 ათასი ლარი,"** - დასძინა პალატის თავმჯდომარემ. მისი განცხადებით, იჯარიდან მიღებული თანხები 100 ათას ლარს აღემატება, მაშინ, როდესაც იჯარით გაცემული მანქანა-მექანიზმების ნარჩენი ღირებულება 3 603 500 ლარს შეადგენს, ხოლო მექანიზმების ამორტიზაციის წლიურმა ღირებულებამ 695 900 ლარი შეადგინა. **"ეს კი იმას ნიშნავს, რომ იჯარის თანხით ამორტიზაციის ხარჯების 14 პროცენტზე მეტის დაფარვა ვერ ხორციელდება. შემოწმების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ფართობი კანონიერი საფუძვლის გარეშე აქვს დაკავებული კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც სახელმწიფო ქონებით ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სარგებლობენ,"** - დაამატა სოსელიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლის პალატამ საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო სამი წლის საქმიანობა შეისწავლა.

# ალტერნატივა არსებობს

**თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა თბილისში ენერგოკრიზისს სამუდამოდ აღმოფხვრის**

*„24 საათის" შეკითხვებს „თბილგაზის" გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე პასუხობს*

**- ბატონო დავით, ზამთარი თბილისის გაზმომარაგებაში სერიოზული პრობლემების გარეშე გადავიარეთ. რა გეგმები აქვს კომპანიას და როდის იწყებთ მზადებას მომავალი ზამთრისთვის?**

- განვლილი პერიოდი საკმაოდ მძიმე იყო ჩვენთვის, რადგან ორი ძირითადი მიმართულებით გვიწევდა მუშაობა. ეს არის თბილისის უწყვეტი გაზმომარაგება და კომპანიის მართვის სრულყოფა. პირველი მიმართულებით მუშაობის შედეგი თქვენს კითხვაში უკვე შეაფასეთ. ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას "გაზექსპორტთან".დღეს თბილისს ყველაზე დაბალ ფასად და სტაბილურად მიეწოდება ბუნებრივი აირი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაუვალი სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი. სს "თბილგაზის" ქსელები სარეაბილიტაციოა და ვერ უძლებს დატვირთვებს. ზოგჯერ ტექნიკური მიზეზების გამო, იძულებული ვართ, გამოვრთოთ ცალკეული ობიექტები. თბილისის ქსელი არც მოსახლეობის გათბობით უზრუნველყოფისთვის არის გათვლილი.

შესაბამისად რთულია წნევების სტაბილურობის შენარჩუნება, თუმცა ეს პრობლემაც შარშან ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოყოფილი 3.5 მილიონი ლარით შესრულებული სამუშაოების შედეგად ნაწილობრივ მოვაგვარეთ. თუმცა პრობლემის კარდინალური მოგვარებისათვის ბევრად მეტი არის გასაკეთებელი და რესურსებიც ბევრად სერიოზული უნდა მოიძებნოს.

ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ წინაშე მეორე არანაკლებ რთული ამოცანა იდგა - კომპანიის მართვის სრულყოფა. უფრო სწორად, მართვის ქმედითი სტრუქტურის თავიდან ჩამოყალიბება, ფაქტობრივად კომპანიის თავიდან შექმნა. შევიმუშავეთ დისტრიბუციის ახალი მოდელი, რომლის განხორციელებაც კომპანიამ უკვე დაიწყო. დღეს "თბილგაზი" საინტერესო გახდა ინვესტორებისთვის. ამაში ხელს გვიწყობს სემეკთან კონსტრუქციული ურთიერთობაც.

**- თქვენ ბრძანეთ, რომ "თბილგაზის" ქსელი გათვლილი არ არის მოსახლეობის გათბობით უზრუნველყოფაზე, რაში ხედავთ გამოსავალს?**

- შევეცადოთ სხვა რაკურსით შევხედოთ საკითხს. ბუნებრივი გაზის მიღება მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ეკონომიურად მოხმარებას. "თბილგაზის" ქსელის გამტარუნარიანობა დაბალია, განსახორციელებელია მოხმარების ოპტიმიზაცია. დღეს მოსახლეობა ინდივიდუალური გამათბობელი საშუალებებით იღებს საჭირო სითბოს, რაც გაზის მაღალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, ხშირად ირღვევა ეკოლოგიური და უსაფრთხოების ნორმები.



დროა, გავიზიაროთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ბუნებრივი გაზი გამოვიყენოთ ერთდროულად სხვადასხვა სახის ენერგიის მისაღებად. ეს შესაძლებელია თუ დავნერგავთ თანამედროვე, კოგენერაციულ ტექნოლოგიებს. კოგენერაციის შემთხვევაში გაზი უფრო ეფექტურად მოიხმარება.

**- იქნებ უფრო ზუსტად აგვიხსნათ, რა არის კოგენერაცია?**

- კოგენერაცია ნიშნავს ერთდროულად სხვადასხვა სახის ენერგიის გენერაციას. იმ ტექნოლოგიებით, რომელზეც მე ვსაუბრობ, შესაძლებელია ბუნებრივი აირის წვის ხარჯზე ერთდროულად ელექტრული და სითბური ენერგიების მიღება.

**- რაში გამოვიყენებთ სითბურ ენერგიას?**

- ცხადია ჩვენი აბონენტების სახლების, ოფისებისა და სხვა სათავსოების გასათბობად იმავდროულად სტაბილური ელექტრომომარაგების უზრუნველყოფასასთან ერთად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯამში გარანტირებული და სტაბილური და უსაფრთხო ელექტრო და თბომომარაგება მომხმარებელს იმაზე მეტი არ დაუჯდება, რაც დღეს არასტაბილური და მაღალრისკიანი ელექტრო და თბომომარაგება უჯდება. და ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. იგივე ტექნოლოგია საშუალებას მოგვცემს, მომხმარებელს შევთავაზოთ ჰაერის კონდიცირების ცენტრალური სისტემაც მთელი მრავალბინიანი სახლისათვის.

ასეთი დანადგარების დასაყენებლად შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს 16 ყოფილი საქვაბე, რომელიც ჯერ არ არის პრივატიზებული. თუ ამ საქვაბეებში დავდგამთ სხვადასხვა სიმძლავრის აირტურბინულ დანადგარებს (აირტურბინული ბლოკ-თეცები სულ 250 მგვტ სიმძლავრის), შევძლებთ თბილისის მნიშვნელოვანი ნაწილი დაახლოებით 170 000 ოჯახი დავაკმაყოფილოთ ელექტროენერგიით, გათბობით, კონდიცირებით და ცხელი წყლით. ამ ძველი საქვაბეების გარდა საჭირო იქნება სხვა ტერიტორიების გამოძებნა დამატებითი სიმძლავრეების (სულ 30 მგვტ) შესაქმნელად ვაკის, ვერისა და მთაწმინდის ენერგომოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ქ. თბილისში შესაძლებელია აგრეთვე საქალაქო თბოელექტროცენტრალის (თეც-ი) რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, ვგულისხმობ მისი სიმძლავრის 80-90 მგვტ-მდე გაზრდას, სამი აირტურბინული დანადგარის (თითოეულის სიმძლავრე 26 მგვტ) და სამი ქვაბ-უტილიზატორის გამოყენებით. აქვე აღსანიშნავია, რომ "თეცი" პრივატიზებულია და ამ პროექტის განხორციელება მხოლოდ მის მფლობელთან შეთანხმებით არის შესაძლებელი.

**- როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოს ენერგეტიკაზე და თბილისის მცხოვრებლებზე?**

- საქართველოში არის ე. წ. ბაზისური სიმძლავრეების დეფიციტი (600-700 მგვტ). აირტურბინული დანადგარები სწორედ ბაზისურ სიმძლავრეებს გაზრდიან 280 მგვტ-ით. ეს კი საქართველოს ელექტროენერგოსისტემის ავარიულად გამორთვის ალბათობას და შემთხვევებს სერიოზულად შეამცირებს. თანაც შემცირდება გაზის მოხმარება.

ეს ყველაფერი გაზრდის ჩვენი მომხმარებლების ცხოვრების ხარისხს. თავად განსაჯეთ. გარანტირებული სტაბილური და უსაფრთხო ელექტრო და თბომომარაგება, მუდმივი ცხელი წყალი და ბინის ავტომატური კონდიცირება (კლიმატკონტროლი) ეს ხომ კომფორტის ის დონეა, რაც დიდი ხანია, ოცნების საგნად იქცა თბილისელებისათვის და როცა ეს ყველაფერი ენერგორესურსების ხარჯის შემცირებით გახდება შესაძლებელი, უკეთესი რა უნდა მოიფიქროს კაცმა?

**- რა დროა საჭირო ამ პროექტის განოხრციელებისათვის?**

- ჩვენ პროექტის განხორციელება ეტაპებად გვაქვს დაყოფილი. პირველ ეტაპზე აღნიშნულ საქვაბეებში დამონტაჟებული აირტურბინული დანადგარები იმუშავებენ ძალურ რეჟიმში, ანუ გამოყენებული იქნება მხოლოდ ელექტროენერგია. ამ შემთხვევაში ბუნებრივი გაზის მოხმარების მარგი ქმედების კოეფიციენტი იქნება 32 % და შეიქმნება 250 მგვტ დადგმული სიმძლავრე (შედარებისთვის თბილსრესის დღეს მოქმედი მესამე ბლოკის მარგი ქმედების კოეფიციენტია 25%). მეორე ეტაპზე, როდესაც შეიქმნება სითბოს მიწოდების ინფრასტრუქტურა, გამოყენებული იქნება სითბური ენერგია და არსებულ სიმძლავრეს დაემატება 450 მგვტ, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტი გაიზრდება 85%-მდე. მესამე ეტაპზე საჭირო იქნება 300 მგვტ სიმძლავრის შექმნა პიკური ქვაბების ან დამატებითი წვის კამერების გამოყენებით.

პროექტის განხორციელებას მთელი ქალაქის მასშტაბით დაახლოებით სამი წელი დასჭირდება.

**- სად უნდა განთავსდეს აირტურბინული დანადგარები?**

- როგორც მოგახსენეთ, ამ მიზნით შესაძლებელია, გამოყენებული იქნეს 16 ყოფილი საქვაბე, რომელიც ჯერ არ არის პრივატიზებული.

ჩვენთან თვეზე მეტ ხანს მუშაობდა ცნობილ მეცნიერთა ჯგუფი, და შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ზედმიწევნით სრულყოფილად გვაქვს დამუშავებული. მიმდინარეობდა ყოველკვირეული სემინარები და პროექტის განხორციელების სხვადასხვა ვარიანტი იქნა დამუშავებული. საბოლოოდ შევჯერდით იმ ვარიანტზე, რომელიც მოგახსენეთ.

**- ასეთი ჯგუფის შექმნის შესახებ ინფორმაცია ორი თვეა, რაც ცნობილია. ვინ შედის ამ ჯგუფში?**

- ეს ჯგუფი მართლაც შეიკრიბა ორი თვის წინ. მიზეზი ის გახლავთ, რომ, ჩვენი აზრით, ენერგეტიკული პრობლემების დასაძლევად აუცილებელია სამეცნიერო და სამეწარმეო პოტენციალის გაერთიანება. ჯგუფში შედიან ცნობილი მეცნიერები:

შოთა მესტვირიშვილი - ტექნიკური უნივერსიტეტის, შენობათა მიკროკლიმატის და გაზმომარაგების კათედრის პროფესორი; საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გია არაბიძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

ნელი ვერულავა - არასამთავრობო ორგანიზაცია-ცენტრი "ენერგოეფექტურობა - 21. საქართველო". დირექტორი.

გურამ ჩიტაშვილი - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის პროფესორი, ენერგეტიკის აკადემიის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ირაკლი შეყრილაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; პარლამენტის ექსპერტი.

ნუგზარ მელაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

გურამ ნებიერიძე - "თბილქალაქპროექტის" თბოტექნიკური განყოფილება.

გარდა ამისა, პერიოდულ კონსულტაციებს გავდიოდით ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტთან, ბ-ნ რევაზ არველაძესთან. პროექტის შესახებ ინფორმირებულია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო.

# დროზე ადრე გახმაურებული საიდუმლო ინფორმაცია

*ნარკომანი ჩინოვნიკების გამოსავლენად რამდენიმე თვის წინ დაწყებული ფართომასშტაბიანი შემოწმებები შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. მართალია, ნარკოლოგიური შემოწმებების შემდეგ ათობით თანამდებობის პირი დაემშვიდობა სავარძელს, მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნული სენით დაავადებული მაღალჩინოსნები სხვადასხვა ხერხებით კვლავ რჩებიან ცალკეულ ორგანოში. სამაგიეროდ, თანამდებობას ემშვიდობებიან ის პოლიციელები, რომლებსაც ნარკომანი თანამდებობის პირების გამოვლენა აქვთ დავალებული. ყოველ შემთხვევაში, გუშინ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ოპოზიციონერი კობა დავითაშვილის დახმარებით სწორედ ასეთი ისტორია გახმაურდა.*

თამარ კაციტაძე



ფინანსური პოლიციის მაღალი ჩინოსნები ნარკომანიაში ამხილეს.

პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილისა და მისი გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა და ისინი ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა. დეპუტატისთვის აღნიშნული განცხადების გაკეთების საფუძველი შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მესამე სამმართველოს მეოთხე განყოფილების უფროსის თორნიკე შვანგირაძის დოკუმენტური ინფორმაცია გახდა.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ფინანსური პოლიციის რამდენიმე თანამდებობის პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს "მახეში" მას შემდეგ გაება, რაც სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი კოდუამ, ამავე დეპარტამენტის მესამე სამმართველოს მეოთხე განყოფილებას ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბრების მოსმენა დაავალა.

თორნიკე შვანგირაძის მტკიცებით, სასამართლოს მიერ სანქცირებული მოსმენების შედეგად, გაირკვა, რომ ფინანსური პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზურაბ წეროძე, ფინანსური პოლიციის ზურგის სამსახურის უფროსი ამირან დოლიძე და ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი მიხეილ კობახიძე ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღების მარკეტინგულ ქსელში არიან ჩართულნი. სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე აღნიშნული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებიც გავრცელდა.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, სატელეფონო მოსმენების შემდეგ, შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი კოდუამ ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსს თორნიკე შვანგირაძეს დაავალა, რომ მოსმენების შედეგად გამომჟღავნებული პირები დაეკავებინა. თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. დავითაშვილის განცხადებით, შვანგირაძე უფროსის კაბინეტში დაიბარეს და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. ამის შემდეგ შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მესამე სამმართველოს მეოთხე განყოფილების უფროსის განცხადებით, მის მიმართ მუქარები და ზეწოლა დაიწყო. დავითაშვილის თქმით, თორნიკე შვანგირაძეზე თავდასხმა განხორციელდა და უცნობი პირები მასთან სახლშიც კი შეიჭრნენ.

როგორც შვანგირაძე ირწმუნება, აღნიშნულის თაობაზე არაფერი იცის შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა. თანამდებობის პირების სატელეფონო საუბრების მოსმენების გეგმა, როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ირაკლი კოდუამ დაამტკიცა. შემდეგ კი, თავად ირაკლი კოდუამვე დაავალა მას სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა.

თავის მხრივ, დავითაშვილი ეჭვობს, რომ შესაძლოა ფინანსური პოლიციის უფროსსა და შს სამინისტროს სპეციალური დეპარტამენტის უფროსს, ირაკლი კოდუას შორის შედგა გარიგება და სწორედ ამის გამო დაითხოვეს სამსახურიდან თორნიკე შვანგირაძე.

პარლამენტში გაკეთებული განცხადებით, თავისთავად ცხადია, სამართალდამცველი ორგანოები დაინტერესდებიან. მით უმეტეს, რომ სიმართლის დადგენით ფინანსური პოლიციის უფროსი თავადაც არის დაინტერესებული, რომელმაც გუშინვე საპასუხო პრესკონფერენციაზე გენერალურ პროკურატურას მიმართა და ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების ნარკომანობისა და ნარკობიზნესში მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის დეტალურად შესწავლა სთხოვა.

**"თავად ვარ ერთ-ერთი სამართალდამცავი სტრუქტურის ხელმძღვანელი და მზად ვარ, გამოძიებასთან აქტიურად ვითანამშრომლო. უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე, მიუხედავად იმისა, იგი ჩემი მეგობარია, თუ სხვა,"** - აღნიშნა კეზერაშვილმა, რომელმაც საკუთარი თანამდებობის და სისტემის დასაცავად ფინანსურ პოლიციაში ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმებები და ათობით გათავისუფლებული თანამშრომელიც გაიხსენა.

მიუხედავად ამისა, დღის პირველ ნახევარში კეზერაშვილი დავითაშვილის და შვანგირაძის მიერ მხილებული თანამდებობის პირების სისტემიდან დათხოვნას არ ფიქრობდა - **"ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, არავის დასჯას არ ვაპირებ,"** - ამბობდა ფინანსური პოლიციის უფროსი, თუმცა მოგვიანებით პოზიცია შეცვალა.

**"ჩვენ შევისწავლეთ, გამოქვეყნებული სატელეფონო საუბრები და დავრწმუნდით, რომ ზურაბ წეროძე, ამირან დოლიძე და მიხეილ კობახიძე მართლაც იმხილებიან ნარკოტიკების მოხმარებაში. ამიტომ სამივე პიროვნება გათავისუფლებულია სისტემიდან,"** - ასეთია კეზერაშვილის ვერდიქტი. თუმცა, მისი განცხადებით, გამოძიება აღნიშნული პირების მიმართ გაგრძელდება და ისინი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

მართალია, დეპუტატმა დავითაშვილმა გუშინ კეზერაშვილის პასუხისმგებლობაც დააყენა, მაგრამ მას გუშინვე ფინანსთა მინისტრიც გამოექომაგა. ფინანსთა მინისტრის ვალერი ჩეჩელაშვილის განცხადებით, იგი კეზერაშვილის საქმიანობით ბოლომდე კმაყოფილია.

სამაგიეროდ, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი უკმაყოფილოა თორნიკე შვანგირაძის საქციელით, რომელმაც, მისი თქმით, ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა სატელეფონო მოსმენები დროზე ადრე, გამოძიების დასრულებამდე გაამჟღავნა. მინისტრის მტკიცებით, სატელეფონო მოსმენები სასამართლოს სანქციითა და მისი უშუალო მითითებით ხორციელდებოდა.

**"ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში არასასიამოვნოა, ის არის, რომ ინფორმაცია დროზე ადრე გახმაურდა. ამის მიზეზს შს სამინისტროს გენინსპექცია დაადგენს,"** - აღნიშნა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, გენინსპექცია დაინტერესებულია თავად შვანგირაძის საქმითაც, რადგან მასზე საეჭვო ინფორმაციები ვრცელდება. როგორც მერაბიშვილი აცხადებს, შვანგირაძე, სწორედ ცუდი რეპუტაციის გამო, თავის დროზე სამინისტროდან გიორგი ბარამიძემ დაითხოვა, თუმცა მან სამსახურში დაბრუნება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოახერხა.

შს გენინსპექციის პარალელურად, საქმის შესწავლას გენერალური პროკურატურაც დაიწყებს და, თავისთავად ცხადია, ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების და თორნიკე შვანგირაძის საქმიანობის პარალელურად, აღნიშნულ საქმეში შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კოდუას როლითაც დაინტერესდება.

## მოკლედ

### ფინანსურმა პოლიციამ თაღლითებს ვერ მიაგნო

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ, სპორტის სასახლის დირექციის განცხადების საფუძველზე, თაღლითობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე ეხება გასული წლის აგვისტოში მომხდარ შემთხვევას, როდესაც სპორტის სასახლის დირექციას კონცერტის ჩატარების თაობაზე თხოვნით მოქალაქე იასონ ადამაშვილმა მიმართა. ადამაშვილის სახელით ინდმეწარმე "ლალი ჯიღაურთან" ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, სპორტის სასახლეში რუსულ ჯგუფ "ვიაგრას" შოუ-კონცერტი უნდა გაემართა. ბილეთები გაიყიდა, თუმცა ამის შემდეგ სპორტის სასახლეში არც ადუაშვილი და არც ჯიღაური არ გამოჩენილან. კონცერტის ჩასატარებლად საქართველოში არც "ვიაგრა" ჩამოსულა. კონცერტზე ბილეთებით მისული მაყურებლები კი უკან გააბრუნეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, სპორტის სასახლის ადმინისტრაცია თაღლითების მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. თავის მხრივ, მყიდველები ბილეთების ღირებულების დაბრუნებას სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას სთხოვენ, თუმცა ბილეთები სალაროდან თაღლითების მიერ მიყვანილმა მოლარეებმა გაყიდეს, რადგან ეს პირობა, ადამაშვილის მოთხოვნით, ხეშეკრულებაში იყო ჩადებული.

ფინანსურმა პოლიციამ დაადგინა, რომ ინდმეწარმე "ლალი ჯიღაური" ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციაშია რეგისტრირებული, თუმცა ყალბი მისამართია მითითებული. ფინანსურმა პოლიციამ დასახელებულ მისამართზე ლალი ჯიღაური ვერ აღმოაჩინა. ჯერჯერობით, დაუდგენელია ასევე ადამაშვილის ადგილსამყოფელიც. **ინტერ-პრესი**

### პროკურორმა ლევან კენჭაძისთვის 8-წლიანი პატიმრობა მოითხოვა

ბრალდების მხარემ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელისთვის ლევან კენჭაძისთვის რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. უზენაეს სასამართლოში დღეს პროკურორმა საკუთარი სიტყვა წარმოადგინა. კენჭაძეს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებაში ედება. განსასჯელის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი სასამართლოს საკუთარ სიტყვას პირველ აპრილს წარუდგენს, რის შემდეგაც მოსამართლე განაჩენის გამოცხადების თარიღს დაასახელებს.

ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან კენჭაძე 2004 წლის ივნისში დააკავეს. გამოძიება მას ცენტრის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ჩამოწერას და უტილიზაციას ედავება, რითაც სახელმწიფოს 15 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მიადგა. განსასჯელი ბრალს არ აღიარებს. ადვოკატებმა ბრალდების მხარეს კენჭაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ, თანხის ანაზღაურება შესთავაზეს, რაზეც პროკურორმა უარი განაცხადა. **ინტერ-პრესი**

### მინისტრმა საპატრულო პოლიციის ახალი ნაკადის მომზადების დონე შეამოწმა

საპატრულო პოლიციაში მუშაობის მსურველთა ახალი ნაკადის მომზადების დონე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა შეამოწმა. მომავალი პოლიციელები მინისტრის წინაშე საჩვენებელი ტაქტიკური დავალებებით წარდგნენ. როგორც შს მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, იგი მომავალი პოლიციელების მომზადებით კმაყოფილია, რადგან ამ ნაკადმა მცირე დროში საკმაოდ ბევრი და მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები შეიძინა.

საპატრულო პოლიციის პრეტენდენტთა მე-6 ნაკადის მომზადება პირველ მარტს დაიწყო. თებერვალში ჩატარებული ზეპირი ტესტირების შედეგად, აკადემიის კომისიის წევრებმა 5900 პრეტენდენტიდან 974 შეარჩიეს. მათგან 130-მა ფიზიკური ნორმატივების ჩაბარებისას დადებითი შედეგი ვერ აჩვენა. აქედან გამომდინარე, აკადემიაში სწავლების ექვსკვირიან კურსს მხოლოდ 844 კანდიდატი გაივლის.

შსს აკადემიის სასწავლო ბაზაზე თეორიული კურსის დასრულების შემდეგ საპატრულო პოლიციის სტრუქტურაში მუშაობის დაწყების მსურველები კიდევ ერთ ტესტირებას გაივლიან.

აღნიშნული ნაკადი, მომზადების შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების პოლიციის ქვედანაყოფებში სამუშაოდ გადანაწილდება. რეგიონებში სულ 900 ვაკანსიაა. **24 საათი**

# მოლაშვილის სარჩელი არ მიიღეს, თუმცა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

*გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად სახელმწიფო თანხების მიტაცებაში ბრალდებულის სულხან მოლაშვილის სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ. ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მოლაშვილის მოთხოვნის არდაკმაყოფილებისას ადვოკატები სასამართლოს მიკერძოებულობაზე არ უნდა საუბრობდნენ, თუმცა, საკონსტიტუციო სარჩელის ავტორთ საკონსტიტუციო სასამართლოში განვითარებულმა პერიპეტიებმა, არა არსებითი, მაგრამ გარკვეული ეჭვები მაინც აღუძრათ.*

სოფიკო ჩხაიძე

როგორც ცნობილია, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-11 ნაწილის ანტიკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა და შესაბამისი სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. ამ მუხლის მიხედვით, წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების დასაბუთებულობა არ საჩივრდება. არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების აზრით, ეს მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1 პუნქტს, რომლის თანახმად, ყველა ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა დასაცავად სასამართლოს მიმართოს. გარდა ამისა, სადავო ნორმა "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის" 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთანაც მოდის წინააღმდეგობაში. ამ სამართლებრივი ნორმის თანახმად, ადამიანს მიუკერძოებელი სასამართლო განხილვის მოთხოვნის უფლება აქვს.

თავად სულხან მოლაშვილს საგამოძიებო ორგანოების შუამდგომლობის საფუძველზე წინასწარი პატიმრობის ვადა სამჯერ გაუგრძელდა. მის ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ გამომძიებლის დაუსაბუთებელ და უსაფუძვლო შუამდგომლობებს პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ ერთადერთი მიზანი ჰქონდა - გამოძიების და, შესაბამისად, მოლაშვილის ციხეში ყოფნის განზრახ გაჭიანურება. სულხან მოლაშვილი და მისი ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ამ ბრძანებების თანახმად, იგი დღემდე უკანონო პატიმრობაში იმყოფება.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებმა მოლაშვილის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 27 თებერვალს შეიტანეს. 11 მარტს ჩატარებული განმწესრიგებელი სხდომის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება კი მხოლოდ გუშინ გამოცხადდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განჩინების თანახმად, პარლამენტის წინააღმდეგ კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის სულხან მოლაშვილის სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. როგორც სასამართლოში განმარტეს, აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა და კოლეგიას ერთი და იმავე დავის ორჯერ განხილვის უფლება არ აქვს.

საქმე ის გახლავთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, ოღონდ, მეორე კოლეგიამ, ერთი კვირის წინ, ვინმე ოლეგ სვინტრაძის მიერ შეტანილი ანალოგიური სარჩელი განიხილა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მე-11 ნაწილი, სასამართლოს განჩინების თანახმად, უკვე ანტიკონსტიტუციურადაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, მეტიც, კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოვა, წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელი გახდება.

ეს კი ნიშნავს - მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სულხან მოლაშვილის სარჩელი განსახილველად არ მიიღო, სარჩელის მოთხოვნა მაინც დაკმაყოფილებულია.

**"მოლაშვილის სარჩელის მოთხოვნა, მართალია, დაკმაყოფილებულია, მაგრამ პრეცედენტი იმისა, რომ დაკმაყოფილდა მაინცდამაინც მოლაშვილის სარჩელი, დაშვებული არ არის,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელმა მანანა კობახიძემ. მას იმ ეჭვის საფუძველს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განგებ გააკეთა ასე - უდავოდ ანტიკონსტიტუციური მუხლის შეცვლის მოთხოვნა სხვისთვის და არა მოლაშვილისთვის დაეკმაყოფილებინა, ბევრი რამ აძლევს.

**"თავად განსაჯეთ, ჩვენ სარჩელი 27 თებერვალს შევიტანეთ და 11 მარტს პირველმა კოლეგიამ განმწესრიგებელი სხდომა ჩაატარა. ახლა ირკვევა, რომ ოლეგ სვინტრაძის ადვოკატმა, რომელსაც სარჩელი ერთი წლის წინ ჰქონდა შეტანილი და ჩვენს მიერ სადავოდ გახდილი მუხლი მოხსენიებული საერთოდ არ ჰქონდა, სწორედ 11 მარტს გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელს საპროცესო კოდექსის 243 მუხლის 11 ნაწილის ანტიკონსტიტუციურად ცნობა მოსთხოვა, რაც დაუკმაყოფილეს კიდეც 17 მარტს. ასეთი დამთხვევები აღძრავს ეჭვს, რომ ადვოკატს სასარჩელო მოთხოვნის გაზრდისკენ ვილაცამ უბიძგა,"** - ამბობს მანანა კობახიძე.

მისივე თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო ვერაფრით დახუჭავდა თვალს სადავო მუხლის ანტიკონსტიტუციურობაზე და გარკვეული დროის შემდეგ (როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან მის არსებით განხილვამდე, სულ ცოტა, ერთი წელიწადი მაინც არის ხოლმე საჭირო) მოუწევდა მოლაშვილის სარჩელის დაკმაყოფილება, რაც, როგორც ჩანს, მოსარჩელის ვინაობიდან გამომდინარე, მიუღებელი აღმოჩნდა.

**"ვერ გეტყვით, რატომ შეეშინდა საკონსტიტუციო სასამართლოს, დაეკმაყოფილებინა ის სარჩელი, რომელიც სულხან მოლაშვილის სახელით იყო შესული. თუმცა, ფაქტია, სადავო მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობით საქმე გაკეთებულია და ჩვენც მხოლოდ დრო მოვიგეთ. სასამართლოს ამ განჩინებით მოხდა იმის აღიარება, რომ მოლაშვილი უკანონო პატიმარია. მართალია, ეს გადაწყვეტილება ქართულ სასამართლოში მოლაშვილის საქმის განხილვისას, ალბათ, ვერაფერს შეცვლის - კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს, სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად წაადგება ევროსასამართლოში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, მოლაშვილის სარჩელი უკვე შესულია,"** - ამბობს მანანა კობახიძე.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (ბლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**გულნანა ლაფანაშვილი**

ვარ მარტოხელა პენსიონერი 70 წლის თბილისელი, ვცხოვრობ კოსტავას ქუჩა ნომერ 46/50-ში. ვიღებდი სოციალურ დახმარებას და ვსარგებლობდი ყოველგვარი შეღავათით, რაც მარტოხელას ეკუთვნის. ვალების გამო გავყიდე ბინა და ვცხოვრობ ხან ნაქირავებში და ხან ნათესავთან. შემიწყვიტეს ყოველგვარი დახმარება და შეღავათი. სად ვის არ მივმართე დახმარებისათვის, რომ აღედგინათ ჩემთვის დახმარება, მაგრამ ყველასაგან უარი მივიღე. ბოლოს მითხრეს, ვინმესთან ჩაეწერე და ისევ მოგეცემა ყველაფერიო. მეც ჩავეწერე შორეულ ნათესავთან მე-9 წევრად. შევცვალე პირადობის მოწმობა და შევაგროვე საჭირო საბუთები და ჩავაბარე სოც. დახმარებაში და მაინც უარი მივიღე. პასუხი ასეთი იყო: მარტოხელასთან უნდა ჩაწერილიყავი და მაშინ მიიღებდიო. სად მოვნახო მარტოხელა ან უცხო ჩამწერს კი? გთხოვთ, მირჩიოთ, ვის მივმართო და როგორ მოვიქცე, მე ხომ ისევ მარტოხელა ვარ და ძალიან მიჭირს.

ქალბატონო გულნანა,

სოციალური დახმარების ორგანო, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ამ კოდექსის მიხედვით ვალდებულია პასუხი გასცეს პიროვნებას მის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში, ესეიგი ვალდებულია მის განცხადებას უპასუხოს დეტალურად განცხადებაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ამრიგად, იგი ვალდებულია მიგითითოთ ის კანონი ანდა ის კანონქვემდებარე აქტი, რომლის თანახმადაც თქვენ აღარ ითვლებით დახმარების მიმღებ უფლებამოსილ პირად.

**ლევანი ჯანვაშვილი**

1942 წლის 14 თებერვალს ქალაქ ფოთიდან გამიწვიეს სამხედრო სამსახურში. ვმსახურობდი 662-ე პოლკში, ახალქალაქში, პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით მჭირდება ცნობა აღნიშნულის შესახებ. გთხოვთ, განმიმარტოთ, სად შემიძლია ამგვარი ცნობის მიღება.

ბატონო ლევან,

საქრთველოს კანონის "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას "საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის დამადასტურებელი პირადობის მოწმობის ნიმუშების შესახებ"(1999 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება). ამ ბრძანებულების თანახმად, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებზე აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი პირადობის მოწმობის გაცემის საკითხს წყვეტს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი.

**თამაზი გიორგაძე**

ვარ სამამულო ომის 1-ლი ჯგუფის ინვალიდი და ვღებულობ 45 ლარს პენსიას. ვიყავი სკოლის დირექტორი, მაქვს პედაგოგობის 30 წლიანი სტაჟი, ვარ 88 წლის და მაინტერესებს, რა სახის პენსია მეკუთვნის კიდევ ჩემი ასაკისა და შრომის სტაჟის მქონე ომის ინვალიდს. თუ მეკუთვნის კიდევ სხვა სახის პენსია, ვის უნდა მივმართო და როგორ უნდა მოვიქცე?

ბატონო თამაზ,

საქრთველოს კანონის "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სესახებ" მიხედვით, თქვენ გეკუთვნით პენსია როგორც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, ამასგარდა აგრეთვე გეკუთვნით პენსია საპენსიო ასაკს მიღწევის გამო. ხოლო კიდევ გეკუთვნით თუ არა რაიმე პენსია, შეგიძლიათ გაარკვიოთ ადგილობრივ სოც. უზრუნველყოფის ორგანოში, რომელიც ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თქვენს მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში ვალდებულია გაგცეთ პასუხი აღნიშნულ საკითხზე.

**გიორგი მიქიაშვილი**

მადლობას მოგახსენებთ იურიდიული კონსულტაციისათვის, რომელიც გამოქვეყნდა "24 საათის" 17 მარტის ნომერში, მაგრამ იმ საკითხთან დაკავშირებით მაქვს დამატებითი შეკითხვები. საქმე ეხება გამოგონების პატენტის დაცვას თქვენს პასუხში, ბოლო წინადადებაში ეწერა, რომ უნდა დავამტკიცო ჩემს მიერ წაყენებული მოთხოვნები. მაინტერესებს თუ იდეა ზუსტად ემთხვევა, ასე ვთქვათ მიტაცებულ გამოგონებას, მაგრამ იმ მოწყობილობაში (აპარატში) შეცვლილია რაღაც (არაგადამწყვეტი) ნიუანსები, არის თუ არა მიმტაცებელი დასჯის სუბიექტი? ესეიგი, აპარატი ზუსტად იგივე საქმეს (შედეგს) აღწევს, რასაც პატენტით დაფიქსირებული მოწყობილობა, მაგრამ კონსტრუქციულად არის ოდნავი ცვლილებები: ამასთან მაინტერესებს, რამდენია ის ჯარიმა, რომლითაც ჯარიმდება დამნაშავე-ულირს თუ არა მას, რომ დაანებოს "მოღვაწეობას"?

ბატონო გიორგი,

ჩვენს მიერ მითითებული, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მუხლი ითვალისწინებს რა სასჯელის ერთ-ერთ სახედ ჯარიმას, აღნიშნული წარმოადგენს დამნაშავისათვის სასჯელის ერთ-ერთ ზომას, აღნიშნული სასჯელი სასამართლომ შეიძლება დააკისროს დამნაშავეს თავისი შეხედულებისამებრ, აგრეთვე თვით განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობას დანაშაულის სიმძიმისა და ხარისხის შესაბამისად და დაკისრებული ჯარიმაც გადაირიცხება ბიუჯეტში. ხოლო თქვენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემთხვევაში:

"პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი."

ამრიგად, აღნიშნული უფლება გექნებათ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და თუ დადასტურდება 189-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და მისი ჩამდენი პირი.

აგრეთვე მიუხედავად აღნიშნულისა, თქვენ უფლება გაქვთ, რომ წარადგინოთ სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში. ე.ი. ამ სარჩელის წარდგენის უფლება გაქვთ იმისდამიუხედავად ადგილი აქვს თუ არა დანაშაულს.

რაც შეეხება გამოგონების გამოყენებას ოდნავ უმნიშვნელო შეცვლილი ფორმით, "საქართველოს საპატენტო კანონის" 52-ე მუხლის თანახმად:

პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევად არ მიიჩნევა:

ა) პატენტმფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული ნაწარმის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდგომ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;

ბ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის კერძო წესით გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, როდესაც ამგვარი ქმედება არ ისახავს კომერციულ მიზნებს;

გ) გამოგონების, სასარგებლო მოდელისა ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, საფრენ ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე, მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევით ან დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება, სასარგებლო მოდელი და სამრეწველო ნიმუში უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეწარმეობისათვის;

დ) გამოგონების, სასარგებლო მოდელის ან სამრეწველო ნიმუშის გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიისა და სხვა საგანგებო ვითარების დროს.

ამრიგად, დანარჩენ შემთხვევაში, თუ გამოგონება გამოიყენება გამომგონებლის თანხმობის გარეშე, ეს ჩაითვლება საავტორო უფლებების შელახვად.

**ნანა დევდარიანი**

სოფელში ჩემს საკარმიდამო ნაკვეთზე მოედინება პატარა მდინარე, რომელსაც სოფელი უხსოვარ დროიდან სასმელად იყენებდა და ახლაც იყენებს. ვაპირებ მის სასმელ წყლად სარეალიზაციოდ ჩამოსხმას. მაინტერესებს, რა იურიდიული აქტები განაპირობებენ ნებართვის აღებას და ვის უნდა მივმართო?

ქალბატონო ნანა,

თქვენ უნდა დააფუძნოთ "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი თქვენთვის მისაღები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო(იქნება ეს ინდ.მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება თუ კოოპერატივი). ამის შემდეგ კი საქართველოს კანონის "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" 6-ე მუხლის 6 ქვე/პუნქტის 6.ბ.) ნაწილის თანახმად საჭირო იქნება ლიცენზიის აღება, რომელსაც გასცემს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "საქმინხილწყალი".

**ლევან ბუცხრიკიძე**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში არის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც წერია, რომ "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეული ან დანიშნული იქნეს 65 წელს მიღწეული პირი". ამავე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტი გვამცნობს, რომ "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები.

სპორტის აკადემიაში რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა 72 წლის პირი. რამდენად კანონიერია ეს? აქვე მინდა გითხრათ, რომ როდესაც მინისტრ კ. ლომაიას დაუსვეს ეს კითხვა, მან უპასუხა, რომ ასაკობრივი ცენზი უმაღლესს სკოლებში 2009-2010 წლიდან ამოქმედდებაო. როგორც ყოველთვის მინისტრმა აქაც იცრუა, რადგან ეს მუხლი 90 პ.1-ლი ეხება მხოლოდ აკადემიურ და არა ადმინისტრაციულ თანამდებობებს.

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 40-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად:

მუხლი 40. ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

ხოლო 41-ე მუხლის ე ქვე/პუნქტის შესაბამისად:.

მუხლი 41. ადმინისტრაციული თანამდებობიდან გათავისუფლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ვადამდე გათავისუფლების საფუძვლებია:

ე) 65 წლის ასაკის მიღწევა;

90-ე მუხლი კი ადგენს,რომ:

მუხლი 90. კანონის ძალაში შესვლა

1. აკადემიურ თანამდებობებზე 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვა, ამ კანონის 38-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისიდან.

ამრიგად, აღნიშნული მუხლი ვრცელდება მხოლოდ აკადემიურ თანამდებობებზე.

ამავე კანონის 87-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 87. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა

2. ამ კანონის ძალაში შესვლა იწვევს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორისა და ფაკულტეტების დეკანების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ფორმდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია რექტორის მოვალეობის შესრულება დააკისროს გათავისუფლებულ რექტორს, ან რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნოს ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ვადამდე გაათავისუფლოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

რადგან აღნიშნული მუხლი არის გარდამავალი დებულების თავში შემავალი მუხლი, იგი გამიზნულია დროებითი მოქმედებისათვის. ამდენად, არ არის რა აქ ნახსენები ასაკობრივი ცენზი, შესაძლებელია ასეთი პირი იყოს საპენსიო ასაკისაც.

**ლუიზა ქუმელაშვილი**

1972 წელს ვიყიდე ბინა ე.წ. "ასტსტუპნოით", რაშიც გადავიხადე რვა ათასი მანეთი, ქირას ვიხდიდი თვეში 3 მანეთს. მაშინ ხელფასი მქონდა 130 მანეთი. ახლა კი 37 მანეთს ვიღებ.

კუპონის შემოღების შემდეგ სახლის პატრონმა ქირა აღარ გადამახდევინა, ისე წავიდა საზღვარგარეთ. ახლა მისი შვილი მთხოვს ისევ გადავუხადო ქირა, რამდენი არ იცის. მაშინდელი ხელწერილით თუ მე მოვისურვებ ამ ბინიდან წასვლას-მესამედი რჩება სახლის პატრონს, ძალიან მაინტერესებს რამდენი მეკუთვნის, თუ მე დავტოვებ ბინას; ან რამდენი უნდა გადავუხადო ქირა? უნდა აღინიშნოს, რომ 1972 წელს მანეთი დოლარზე მეტად ფასობდა, ეს ალბათ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თანაც ეს ბინა კეთილ მოვაწყვე და ბევრი ფული დავახარჯე ყიდვის შემდეგ.

ქალბატონო ლუიზა,

საქართველოს კანონის "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" მე-2 მუხლი ადგენს, რომ:

**მუხლი 2**

1. თუ მხარეებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია წერილობითი დოკუმენტით, რომელიც აღიარებს მათ შორის საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მაგრამ მისი ფორმა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემძენი ცნობილ იქნეს მესაკუთრედ.

2. თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, რაც დასტურდება ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადებისა და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა და სხვა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა), მაშინ ასეთი გარიგება წესრიგდება ამ კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხოლო ამ კანონის მე-3 და მე-8 მუხლები განსაზღვრავენ ურთიერთობებს ბინის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის:

**მუხლი 3**

1. თუ მოსარგებლეს უკავია ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე სადგომი, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარგებლის მიერ ნამეტი ფართობის გამოთავისუფლება, თუ:

ა) მოსარგებლემ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

ბ) მესაკუთრეს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება თავისთვის ან ახლო ნათესავისათვის.

2. თუ მესაკუთრეს აქვს ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოსარგებლეს ერთ სულზე ცხრა კვ.მ-ზე მეტი ფართობის გამოთავისუფლება.

**მუხლი 4**

1. ბინის ქირის ოდენობა ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე ნაკლებ საცხოვრებელ ფართობზე თვეში შეადგენს დაუბეგრავი მინიმუმის ერთ პროცენტს თითოეულ კვადრატულ მეტრზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ბინის ქირის ოდენობა ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე მეტ საცხოვრებელ ფართობზე თვეში შეადგენს დაუბეგრავი მინიმუმის სამ პროცენტს თითოეულ კვადრატულ მეტრზე.

3. მოსარგებლე მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა შრომისუუნარო პირები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავისუფლებულნი არიან კომუნალური გადასახადებისაგან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიან ბინის ქირას დაუბეგრავი მინიმუმის ათი პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 5**

მოსარგებლე ვალდებულია დააკმაყოფილოს მესაკუთრის მოთხოვნა სადგომის განთავისუფლებაზე, თუ:

ა) მესაკუთრე მოსარგებლეს საკუთრებაში გადასცემს სხვა საცხოვრებელ სადგომს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, ერთ სულზე არანაკლებ ცხრა კვ. მ-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს იმ ფართობისა, რომელიც ეკავა მოსარგებლეს; ან

ბ) მესაკუთრე მოსარგებლეს მისცემს ამ მუხლის "ა" ქვეპუნქტში მითითებული საცხოვრებელი სადგომის ღირებულების კომპენსაციას.

**მუხლი 6**

1. მოსარგებლეს აქვს საკუთრების უფლება მესაკუთრის თანხმობით, საკუთარი ხარჯებით განხორციელებულ საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე.

2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დათმობისას მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს მოსარგებლის მიერ გაწეული ხარჯები.

**მუხლი 7**

1. მოსარგებლე უფლებამოსილია მესაკუთრის თანხმობის გარეშე გაუკეთოს ქონებას გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტი. მესაკუთრის ინიციატივით გარიგების მოშლის შემთხვევაში მოსარგებლეს აქვს ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

2. თუ საცხოვრებელი სადგომი მწვავეავარიულია, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლის თანხმობის გარეშე ჩაატაროს აღდგენითი სამუშაოები ან დაშალოს ნაგებობა ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

**მუხლი 8**

ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე კერძო საცხოვრებელ სადგომში შესახლებულ პირსა და მესაკუთრეს შესაბამისი კანონის მიღებამდე შეუნარჩუნდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით მათთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობანი.

ამავე კანონის მე-8 პრიმა მუხლის მიხედვით:

"მუხლი 81. "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ქ.თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 1 ივლისამდე მიიღოს ამ კანონში შესატანი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე სასამართლოებმა შეაჩერონ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებული დავების განხილვა, აგრეთვე შეჩერდეს სააღსრულებო მოქმედებები და საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრესა და მოსარგებლეს შეუნარჩუნდეთ შესაბამისი უფლება-მოვალეობანი.".

**გიორგი ჯღარკავა**

ვცხოვრობ ქ. ზუგდიდში, ამჟამად ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველ კურსზე. სამხედრო კათედრა არ გამივლია. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მეხება თუ არა სამხედრო სამსახურში გაწვევა ან ვალდებული ვარ თუ არა გადავიხადო ალტერნატიული სამსახურის თანხა წელიწადში 200 ლარი.

ბატონო გიორგი,

"სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" კანონის 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

"1. წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ:

გ) არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და ჩაირიცხული იყო სამხედრო კათედრაზე-ამ პუნქტის გ პრიმა ქვე/პუნქტის ამოქმედებამდე.

"გ1) არის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი - სწავლის დამთავრებამდე ერთჯერ, 24 წლის ასაკამდე( ეს ქვეპუნქტი ამოქმედდება 2005 წლის 1-ლი აპრილიდან)".

ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით:

"4) სამხედრო სამსახურში გადავადების საფუძვლებს, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა წარმოადგენს:

ბ) 2002 წლის 15 ივლისამდე წვევამდელის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა-სასწავლებლის დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 24 წლის ასაკისა."

ამრიგად, თქვენ გადაგივადდებათ გაწვევის ვადა სასწავლებელში სწავლისას, მაგრამ არა უმეტეს 24 წლის ასაკისა კანონის თანახმად. ხოლო რაც შეეხება სამხედრო მოსაკრებლის გადახდას, ის წარმოადგენს გადავადების წინაპირობის ერთ-ერთ სახეს, სასწავლებელში სწავლის პერიოდში თქვენ არ მოგიწევთ აღნიშნული სამხედრო მოსაკრებელის გადახდა.

**ნინო დარახველიძე**

ვარ მთაწმინდაზე მდებარე, მემკვიდრეობით მიღებული, ძველი სახლის მფლობელი. სახლი ხანძარმა და მიწისძვრამ დააზიანა. დახმარებაზე თხოვნა უშედეგოა. მყავს ორი მდგმური ე.წ. "ასტსტუპნოი" მაცხოვრებელი. საცხოვრებელის უვარგისობის გამო არც ერთი არ ცხოვრობს და წლების მანძილზე არც ქირას იხდიან. ერთ მდგმურს უკავია 60 მეტრ კვადრატი ფართი, რომელიც 67 წლის წინ დაიკავა (1938 წლიდან) მისმა მამამთილმა, მასთან გაწერილია ქალიშვილი და შვილიშვილი. მეორე მდგმურს უკავია დამხმარე სათავსოების გარეშე 11 მეტრ კვადრატი ოთახი 1966 წლიდან.

გთხოვთ, გამარკვიოთ, კანონიერების ფარგლებში, რა ტარიფით მოვითხოვო ბინის ქირის გადახდა? შემიძლია (შედეგიანი იქნება) შევიტანო სარჩელი გასული წლების დავალიანების დაფარვაზე? მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო ფართის დაცლა?

ქალბატონო ნინო,

საქართველოს კანონის "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" მე-2 მუხლი ადგენს, რომ:

**მუხლი 2**

1. თუ მხარეებს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია წერილობითი დოკუმენტით, რომელიც აღიარებს მათ შორის საცხოვრებელი სადგომის ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობას, მაგრამ მისი ფორმა არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემძენი ცნობილ იქნეს მესაკუთრედ.

2. თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, რაც დასტურდება ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადებისა და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა და სხვა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა), მაშინ ასეთი გარიგება წესრიგდება ამ კანონით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხოლო ამ კანონის მე-3 და მე-8 მუხლები განსაზღვრავენ ურთიერთობებს ბინის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის:

**მუხლი 3**

1. თუ მოსარგებლეს უკავია ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე სადგომი, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს მოსარგებლის მიერ ნამეტი ფართობის გამოთავისუფლება, თუ:

ა) მოსარგებლემ თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

ბ) მესაკუთრეს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება თავისთვის ან ახლო ნათესავისათვის.

2. თუ მესაკუთრეს აქვს ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოსარგებლეს ერთ სულზე ცხრა კვ.მ-ზე მეტი ფართობის გამოთავისუფლება.

**მუხლი 4**

1. ბინის ქირის ოდენობა ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე ნაკლებ საცხოვრებელ ფართობზე თვეში შეადგენს დაუბეგრავი მინიმუმის ერთ პროცენტს თითოეულ კვადრატულ მეტრზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ბინის ქირის ოდენობა ერთ სულზე თორმეტ კვ.მ-ზე მეტ საცხოვრებელ ფართობზე თვეში შეადგენს დაუბეგრავი მინიმუმის სამ პროცენტს თითოეულ კვადრატულ მეტრზე.

3. მოსარგებლე მრავალშვილიანი დედები, მარტოხელა შრომისუუნარო პირები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით განთავისუფლებულნი არიან კომუნალური გადასახადებისაგან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიან ბინის ქირას დაუბეგრავი მინიმუმის ათი პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 5**

მოსარგებლე ვალდებულია დააკმაყოფილოს მესაკუთრის მოთხოვნა სადგომის განთავისუფლებაზე, თუ:

ა) მესაკუთრე მოსარგებლეს საკუთრებაში გადასცემს სხვა საცხოვრებელ სადგომს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, ერთ სულზე არანაკლებ ცხრა კვ. მ-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს იმ ფართობისა, რომელიც ეკავა მოსარგებლეს; ან

ბ) მესაკუთრე მოსარგებლეს მისცემს ამ მუხლის "ა" ქვეპუნქტში მითითებული საცხოვრებელი სადგომის ღირებულების კომპენსაციას.

**მუხლი 6**

1. მოსარგებლეს აქვს საკუთრების უფლება მესაკუთრის თანხმობით, საკუთარი ხარჯებით განხორციელებულ საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე.

2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის მიშენება-დაშენებაზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დათმობისას მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს მოსარგებლის მიერ გაწეული ხარჯები.

**მუხლი 7**

1. მოსარგებლე უფლებამოსილია მესაკუთრის თანხმობის გარეშე გაუკეთოს ქონებას გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული კაპიტალური რემონტი. მესაკუთრის ინიციატივით გარიგების მოშლის შემთხვევაში მოსარგებლეს აქვს ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

2. თუ საცხოვრებელი სადგომი მწვავეავარიულია, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლის თანხმობის გარეშე ჩაატაროს აღდგენითი სამუშაოები ან დაშალოს ნაგებობა ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

**მუხლი 8**

ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე კერძო საცხოვრებელ სადგომში შესახლებულ პირსა და მესაკუთრეს შესაბამისი კანონის მიღებამდე შეუნარჩუნდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით მათთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობანი.

ამავე კანონის მე-8 პრიმა მუხლის მიხედვით:

"მუხლი 81. "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ქ.თბილისის მერიის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 1 ივლისამდე მიიღოს ამ კანონში შესატანი ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე სასამართლოებმა შეაჩერონ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის საცხოვრებელ სადგომთან დაკავშირებული დავების განხილვა, აგრეთვე შეჩერდეს სააღსრულებო მოქმედებები და საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრესა და მოსარგებლეს შეუნარჩუნდეთ შესაბამისი უფლება-მოვალეობანი."

ცოცხალი ურთიერთობები

B2

გვინდა ვენეციაში

B3

ევროპის ჩემპიონის დამარცხების ახალი რეცეპტი

B5

ჰოლივუდის გმირები

# "კაი მასტების" მეფე

## სთივ მაქქვინი 75 წლისაა

ირაკლი მახარაძე

2002 წელს ცნობილმა მომღერალმა შერილ ქროუმ სიმღერა მიუძღვნა სახელგანთქმულ ამერიკელ მსახიობს სთივ მაქქვინს. საკვირველია, მაგრამ მსახიობის გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ მას ახალი თაობაც არ ივიწყებს, უფრო მეტიც, ყველანაირად ბაძავს მის ეკრანულ გმირებს, მისი ფილმები ისევ დიდი წარმატებით სარგებლობს... სთივ მაქქვინის ლეგენდა წარმატებით განაგრძობს ცხოვრებას. 24 მარტს მსახიობს 75 წელი შეუსრულდებოდა.

სთივ მაქქვინი 60-70-იანი წლების ყველაზე პოპულარული და ძვირად ღირებული მსახიობი გახლდათ. 1974 წელს ფილმისთვის "ჯოჯოხეთი ცისქვეშეთში" მაქქვინმა იმ დროისთვის ფანტასტიკური ჰონორარი - 12 მილიონი დოლარი მიიღო. ეკრანზე მისი ერთი გამოჩენაც კი აჟიოტაჟს იწვევდა კინოდარბაზში. ქალებს ასეთი მამაკაცი სურდათ გვერდით რომ ჰყოლოდათ, მამაკაცები კი მას ჰბაძავდნენ ყველაფერში. კინოკრიტიკოსი ენდრიუ სარისი მის შესახებ წერდა: "იგი იყო ძალიან საინტერესო და თვითმყოფადი მსახიობი, და ალბათ შეუცვლელი. მსგავსი დღევანდელ დღეს მე არავინ მეგულება. რაღაცით შეიძლება მას რასელ ქროუ შევადაროთ, რომელმაც გამოამჟღავნა მაქქვინისებრი თვისებები "ლოს ანჯელესის საიდუმლოებაში". რეჟისორი ნორმან ჯუისონი კი ამბობდა: "იგი არ იყო ისეთი დიდი მსახიობი, როგორც მაგალითად ლოურენს ოლივიე. თუმცა, როდესაც ოლივიეს ეკრანზე უყურებთ, მაშინვე თვალში საცემია, რომ იგი თამაშობს. მაქქვინი კი ყოველთვის ბუნებრივი იყო, მას თამაში არ სჭირდებოდა, იგი კამერას უყვარდა".

მაქქვინი უმამოდ გაზრდილი ბავშვის კლასიკური მაგალითი არის. ფრანგმა რეჟისორმა ფრანსუა ტრიუფომ, რომელსაც მსგავსი ბავშვობა ჰქონდა, ერთხელ განაცხადა: "თუ ადამიანი არ არის ბედნიერი ბავშვობაში, იგი ვერასოდეს იქნება ბედნიერი, როცა გაიზრდება". მშობლების მიერ მიტოვებული მაქქვინი სამი წელი ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სახლში იზრდებოდა. მოგვიანებით, ბავშვობაში დაგროვილი რისხვა და ბოღმა ხშირად ამოხეთქავდა ხოლმე მის თამაშში... მაქქვინის გმირები, როგორც წესი, ბევრს არ საუბრობდნენ, მაგრამ სტატიკური სცენების დროსაც მისი მიმიკა, თვალები, ერთი გამოხედვაც კი უფრო ბევრს მეტყველებდნენ, ვიდრე რამდენიმე ფურცელი წაკითხული ტექსტისა. იგი ძალზე გულჩათხრობილი მსახიობი იყო, თუმცა კი, მაყურებელი გრძნობდა, როდესაც მის გმირს რაღაც აწუხებდა, სტკიოდა, ამის გადმოცემა კი ბევრ დიდ მსახიობსაც უძნელდება. მაქქვინის სამსახიობო ტექნიკა სანიმუშო მაგალითია ბევრი ჩვენი მსახიობისთვის - თუ როგორ შეიძლება გადმოსცე ვნება, გაბრაზება ან სიხარული და ამისთვის არ არის საჭირო ყვირილი და კიდურების აქეთ-იქით ქნევა.


სთივ მაქქვინი თავის პირველ მეუღლესთან ალი მაქ გროუზთან ერთად


ფილმში "ფარვანა"

როგორც ამბობენ, იგი არასოდეს არ გამოსულა ბავშვობიდან. როცა გაიზარდა და ცნობილი და მდიდარი გახდა, მას ყოველთვის ჰქონდა საკუთარი დიდი სათამაშოები - მანქანები, მოტოციკლები, თვითმფრინავები. იგი რბოლაში ითქვამდა სულს, მაქქვინი პროფესიონალი ავტომრბოლელი იყო, მოგებული ჰქონდა ბევრი შეჯიბრი. საინტერესოა, რომ თავის უკანასკნელ ფილმში "მონადირე" იგი ანსახიერებდა რეალურად არსებულ კერძო დეტექტივს, რომელიც მანქანის ტარებაში მოიკოჭლებდა. იგი ცდილობდა, ყველანაირი ტრიუკი თვითონვე გაეკეთებინა, ცხენზე ჯირითი იქნებოდა ეს, როდეოში მონაწილეობა თუ მოტოციკლეტითა ან მანქანით გიჟური რბოლა. ხშირად ღებულობდა ტრავმებს, ამიტომ ხანდახან რეჟისორები მის დაუკითხავად, ჩუმად იღებდნენ ყველაზე სახიფათო ტრიუკებს. სთივ მაქქვინის მიერ განსახიერებული ზოგჯერ უხეში, ცინიკური, მაგრამ, ამავე, დროს სიცოცხლის მოტრფიალე და ირონიული გმირები საკმაოდ ზუსტად ეხმიანებოდნენ მის ნამდვილ ცხოვრებას ეკრანის მიღმა. მან კარგად გამოსცადა ცხოვრების ის მძიმე ტვირთი, რომელიც ბევრ ეკრანულ მეამბოხე გმირს არც ცხოვრებაში და ზოგჯერ ეკრანზეც კი არ უწვნევია.

მას ჰქონდა მძიმე და უკომპრომისო ადამიანის რეპუტაცია. რეჟისორმა მარქ რაიდელმა ერთხელ თქვა :"მაქქვინი ყველაზე მძიმე მსახიობია, რომელთანაც მე მიმუშავია". მაქქვინი გადაღების ყველა ნიუანსში ერეოდა. ხშირად იგი რამდენიმე ათეულ წვერსაპარს მანქანას ან ჯინსს ითხოვდა. ამაზე პროდიუსერები ბუზღუნებდნენ: რად უნდა ამდენიო, მაგრამ უარს ვერ ეუბნებოდნენ. მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რომ მაქქვინი ამ ნივთებს უგზავნიდა ჩინოს ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სახლს, სადაც ბავშვობა გაატარა. იგი მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში პატრონობდა, დაწესებული ჰქონდა მაქქვინის სახელობის სტიპენდია და ფინანსურადაც მუდმივად ეხმარებოდა.

სთივ მაქქვინი ჩვენი მაყურებლისთვის სამუდამოდ დარჩება როგორც მამაცი და ირონიული ვინი "შესანიშნავი შვიდეულიდან". ეს ფილმი მისი კარიერისთვის ტრამპლინად იქცა, იქამდე მან სახელი გაითქვა სატელევიზიო სერიალში, "იძებნება ცოცხალი ან მკვდარი", მონაწილეობით. მისი პირველი ფილმი იყო "იქ ზევით ვიღაცას ვუყვარვარ", სადაც მთავარ როლს პოლ ნიუმენი ასრულებდა. ზუსტად მაშინ გადაწყვიტა გამხდარიყო ნიუმენზე და საერთოდ, ყველაზე დიდი ვარსკვლავი და მან ეს ჩანაფიქრი განახორციელა.

მაქქვინმა სამსახიობო კურსი გაიარა "ექთორს სტუდიოში". აღსანიშნავია, რომ მაშინ, 1955 წელს, სტუდიაში მოხვედრის 2 ათას მსურველს შორის მხოლოდ ორი ადამიანი იყო არჩეული: მაქქვინი და მართინ ლანდაუ. კინოს მესვეურებმა მას მაშინათვე მიაქციეს ყურადღება. "შვიდეულის" შემდეგ კი მაქქვინმა ყველა აალაპარაკა.

ჟურნალ-გაზეთები მაქქვინს "კაი მასტების მეფეს" უწოდებდნენ. ჟურნალი ლაიფი კი წერდა: "მას აქვს ჯეიმს ქეგნის თავდაჯერებულობა და კადნიერება, ჰამფრი ბოგართის გაბრაზებული გამოხედვა და ჯონ გარფილდივით "ველური" ალმასის სიმხურვალე". ამის საპასუხოდ მაქქვინი ამბობდა:" მე არც თუ ისე დიდი მონაცემები მაქვს როგორც მსახიობს. არის გარკვეული რამ, რაც შემიძლია, კარგად გავაკეთო, მაგრამ როცა რაიმეს უხეიროდ ვაკეთებ, მაშინ ჩემი თავი მეზიზღება".

ყოველი მისი გმირი განსაკუთრებული მაგნეტიზმით და კატისებრი გრაციით გამოირჩეოდა. დაუვიწყარია მისი ამერიკელი ტყვე ჯარისკაცი, რომელიც დღენიადაგ გერმანელთა ბანაკიდან გაქცევას ცდილობს ფილმიდან "დიდი გაქცევა", იტალიელი მუსიკოსი დრამაში "შესაფერისი უცნობის სიყვარული", თავზეხელაღებული მილიონერი "თომას ქროუნის საქმიდან", ბანქოს მოთამაშე "ცინცინატელი ყმაწვილიდან", როდეოს მონაწილე კოვბოი "ახალგაზრდა ბონერიდან", ციხიდან გამოსული მძარცველი "გაქცევიდან", ამ ფილმში იგი თავის მეორე ცოლთან ალი მაქგროუსთან ერთად გამოჩნდა და, რა თქმა უნდა, ყველა დროის ყველაზე ცნობილი დეტექტივი ფილმიდან "ბულითი". ეს ფილმი იმითაც არის გამორჩეული, რომ მასში არის ახლა კლასიკაში შესული 11-წუთიანი მანქანებით დევნის ეპიზოდი სან ფრანცისკოს ქუჩებში. საინტერესოა, რომ ამ რამდენიმე წლის წინ ფირმა "ფორდმა" თავის ერთ-ერთ მოდელს ფილმის საპატივსაცემოდ "ბულითი" დაარქვა.

სთივ მაქქვინი ჰოლივუდში არ უყვარდათ მისი ფეთქებადი და მეამბოხე ხასიათის გამო, იგი ყოველთვის ალმაცერად უყურებდა ჰოლივუდის ისთებლიშმენთს და დასცინოდა მას. ჰოლივუდიც სამაგიეროს უხდიდა: 1966 წელს იგი წარდგენილი იყო "ოსკარზე" მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის ფილმში "ქვიშის მარცვლები". ამ მართლაც ბრწყინვალე და დრამატიზმით სავსე როლისთვის მაქქვინმა ჯილდო ვერ მიიღო, რაც უდიდესი დარტყმა იყო მისთვის. 1973 წელს მან ითამაშა სათავგადასავლო დრამაში "ფარვანა", სადაც კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რა გარდასახვის უნარი გააჩნია ამ დიდ მსახიობს. აკადემიამ ამ შემთხვევაშიც უყურადღებოდ დატოვა იგი, მაქქვინი "ოსკარზე" არც კი წარუდგენიათ. მისი პარტნიორი ფილმიდან დასთინ ჰოფმანი ამბობდა: "მაქქვინი არა მარტო უნდა წარედგინათ, არამედ უნდა დაეჯილდოებინათ "ოსკარით". ეს იყო მწარე გაკვეთილი მაქქვინისთვის. იგი უფრო მეტად განერიდა ჰოლივუდს და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გარდაცვალებამდე შვიდი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ოთხ ფილმში ითამაშა. მსახიობის მეგობარი ფილ ფარსლოუ იხსენებდა: "მის კოლეგებს - მსახიობებს სთივი არ უყვარდათ, ყველა ცდილობდა მისთვის წარმატებისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა. იგი არ უყვარდათ იმიტომ, რომ მაქქვინი იყო მათი ყველაზე დიდი მეტოქე. ფილმში სთივის გამოჩენა საკმარისი იყო მისი წარმატებისათვის. იგი ყველას ჩრდილავდა, დასახული მიზნის მისაღწევად არაფერს უშინდებოდა. ბევრი მსახიობისა და რეჟისორის ცოლები მისი საყვარლები იყვნენ. მას გააჩნდა ყველაფერი, რაც მათ არ ჰქონდათ. მსახიობებს შურდათ მისი. ის, რომ სთივს "ოსკარი" არ მისცეს "ფარვანასთვის", უბრალოდ, სასაცილოა".

სიცოცხლის ბოლო წლებში სთივ მაქქვინი მთელ დროს ოჯახს, თვითმფრინავსა და ავტომობილებს უთმობდა. როგორც ამბობენ, ავტომობილებისადმი სიყვარული, მისი სიკვდილის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. რბოლის დროს იგი იცვამდა სპეციალურ ტანსაცმელს, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით ასბესტს, ამასთან ერთად იგი დღეში დაახლოებით 60 ღერ სიგარეტს ეწეოდა, რისგანაც იგი ფილტვის უკურნებელი სახის კიბოთი დაავადდა.

სთივ მაქქვინი 1980 წლის 7 ნოემბერს 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. "ჩაქრა ჰოლივუდის ვარსკვლავებიდან ყველაზე კაშკაშა" - იუწყებოდნენ ჟურნალ-გაზეთები. კრემაციის შემდეგ მისი ფერფლი წყნარ ოკეანეში მოაბნიეს. მისი უკანასკნელი თხოვნა იყო დახმარებოდნენ ჩინოს ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სახლს. სთივ მაქქვინმა მათ 200 ათასი დოლარი დაუტოვა.


მაქქვინი სერიოზულად იყო გატაცებული რბოლებით


ფილმში "ბულიტი"



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
როსინი
"სევილიელი დალაქი"
კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი
(გენერალური რეპეტიცია)
ფასი: 1-2 ლარი.
დას: 19:00 სთ.

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა-2005"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ფედერიკო გარსია ლორკა
"ბერნარდა ალბას სახლი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"ლიფტში"
კითხულობს მალხაზ აბულაძე
რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე
ფასი: 3 ლარი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"რეი"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"დამალობანა"
დას: 12:00; 22:00 სთ.

"ჰიჩი"
დას: 14:30; 19:45 სთ.

"ფენიქსის გაფრენა"
დას: 17:30 სთ.

## გალერეები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
ვალერი მარგიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა

**ვერნისაჟი**
პროექტი "ახალი ცხოვრების დასაწყისი"
(საერეაბილიტაციო ცენტრების: "ბელურები", "ცისარტყელა" და "ჯეჯილი", "ბილიკი" აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა)

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ცოცხალი ურთიერთობები

## შეუწყვეტილი დიალოგის გასაგრძელებლად

ვერა ნეფარიძე

*ზოგჯერ კულტურა ხმლებითა და ცხენებით შემოდიოდა, მაგრამ ახლა კარზე მიკაკუნებაა საჭირო; ცოცხალი კულტურული და შემოქმედებითი ურთიერთობები ის ძირითადი გზაა, რომელზეც ფრთხილად, მოკრძალებით უნდა გაიაროს ყველამ, ვისაც კულტურათა შეწყვეტილი დიალოგის გაგრძელება სურს. ამ პრინციპით სურს იხელმძღვანელოს ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ-ირანული კულტურული და შემოქმედებითი ურთიერთობების ცენტრს, რომელიც ამ ორ ქვეყანაში პირველი ღონისძიებების ორგანიზებას შეუდგა.*

დასაწყისში დაგეგმილია რამდენიმე შემოქმედებითი კოლექტივის ჩაყვანა ირანში. ამჟამად ირანის მხარე ანსამბლების: "მთიებისა" და "მზეთამზეს" გამგზავრების საკითხს განიხილავს; მათთან ერთად შესაძლებელია ქართველი მხატვრებიც აღმოჩნდნენ. თუმცა, ჯერჯერობით პროექტში მონაწილეთა შემადგენლობა დაზუსტებული არ არის. მთავარია, პროცესის დაწყება, ანუ, როგორც ცენტრის დამაარსებლები ამბობენ, მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომ ორივე ქვეყანაში მზად არიან კულტურული დიალოგისთვის (თუკი მას სწორი მიმართულება ექნება, რასაკვირველია) და, რაც მთავარია, მასში მონაწილეობის მისაღებად, რაშიც ცენტრის ხელმძღვანელები პროექტის მომზადებისას დარწმუნდნენ.

ცენტრში აქცენტს ცოცხალ კონტაქტებზე, ორმხრივ შემოქმედებით ურთიერთობებზე აკეთებენ. ეს უნდა იყოს მხატვრების, მუსიკოსების, მწერლებისა თუ პოეტების ორმხრივი გასტროლები, რასაც კულტურათა ცოცხალი ცვლა ჰქვია. "ჩვენი ცენტრი მიზნად ისახავს საუკუნოვანი კულტურული და შემოქმედებითი ურთიერთობების აღდგენა-განვითარებას. ცივილიზაციათა იმ დიალოგის გაღრმავებას, რომელიც 200 წლის წინ შეწყდა. 70 წლის განმავლობაში ირანსა და საქართველოს შორის "ბერლინის კედელი" აღიმართა და ცხოვრებაც ამ ქვეყნებში სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. აღმოსავლური შემოქმედება და კულტურა საუკუნეთა სიღრმეებიდან მოდის. საქართველო კი არის ოქროს შუალედი, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ღერძად წარმოგვიდგება. სწორედ ამის წარმოჩენა გვსურს", - ამბობს ქართულ-ირანული კულტურისა და შემოქმედებითი ურთიერთობების ცენტრის ერთ-ერთი ინიციატორი, მხატვარი-ფერმწერი ალი ასლანიშვილი.



*მზადდება ქართულ-ირანული კულტურული პროექტები.*

ცენტრის ჩამოყალიბების იდეა ალი ასლანიშვილს კარგა ხანია, ჰქონდა. იგი 1973 წლიდან ცხოვრობს თბილისში, სადაც დაამთავრა სამხატვრო აკადემია (ფერწერის განხრით). ამ ხნის განმავლობაში მას არ შეუწყვიტავს ურთიერთობები ირანთან. ახლა კი ცდილობს, ეს კონტაქტები ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების განახლებისთვის გამოიყენოს. მით უმეტეს, რომ აქამდე არ განხორციელებულა მსგავსი პროექტები, რომლებიც ცოცხალ შემოქმედებით ურთიერთობებზე იქნებოდა დაფუძნებული. თუმცა, გარკვეული ჯგუფები არსებობდა ყოველთვის, რომელთაც საქართველო-ირანის ისტორიულ-კულტურული კავშირები საკუთარი კომერციული მიზნებისთვის წარმატებით გამოიყენეს. ალი ასლანიშვილის თქმით, არჩეული სფერო იმდენად ფაქიზია, რომ გაუთვალისწინებელმა ნაბიჯებმა, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებსა და ირანში მცხოვრებ ქართველებსაც კი.

ქართულ-ირანული კულტურისა და შემოქმედებითი ურთიერთობების ცენტრი (რომლის შემადგენლობაშიც არიან ისტორიულ საგვარეულოთა საკრებულოს წარმომადგენლები, მხატვრები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და ა.შ.) სათანამშრომლოდ იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. ცენტრს დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედიც აქვს (ძირითადად, ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად). მიაჩნიათ, რომ პირველი, გასვლითი პროექტის განხორციელებას გაზაფხულისთვის შეძლებენ; ზაფხულში კი ირანიდან უნდა ველოდოთ სტუმრებს.

# გამოფენა გაჩუქებული ნახატებით

ლელა ბაბუნაშვილი

გუშინ საქართველოს სურათების ეროვნულ გალერეაში ვალერი მარგიანის პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ვალერი მარგიანი (1942-2003) დაიბადა მესტიაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. სადიპლომო ნამუშევარი უჩა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით შექმნა და მშობლიურ სვანეთს მიუძღვნა.

ვალერი მარგიანი საქართველოს მხატვართა კავშირისა და იუნესკოსთან არსებული მხატვართა საერთაშორისო გაერთიანების წევრი იყო. მისი ფერწერული ტილოები საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ არაერთ მნიშვნელოვან გამოფენაზე გაუტანიათ. ნამუშევრები დაცულია სურათების ეროვნულ გალერეაში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. იაპონიაში გამართულ ერთ-ერთ გამოფენაზე მისმა ნამუშევრებმა ოქროს მედალი დაიმსახურა, თუმცა, საგულისხმოა, რომ სიცოცხლეში არ იყო განებივრებული გამოფენებითა და პრეზენტაციებით. სიცოცხლეში არც ერთი პერსონალური გამოფენა არ მოუწყვია. გალერეაში წარმოდგენილი ყველა ნახატი გაჩუქებულია. საგამოფენოდ მისმა ახლობლებმა შეაგროვეს, ოღონდ გარანტიით, რომ ექსპოზიციის დახურვისთანავე ყველა ნახატს პატრონს დაუბრუნებენ. მხატვრის მეუღლე და შვილები დღემდე აგრძელებენ დაკარგული თუ გაჩუქებული ტილოების მოძიებას. როგორც მეუღლე ამბობს, შინ მხოლოდ რამდენიმე ნახატი აქვთ შემორჩენილი.

გამოფენა მოეწყო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის, კერძოდ, დათო ჩოხელის, ნანა დინოაშვილის, იამზე კიკნაძისა და შორენა მახარაძის ხელშეწყობითა და თანადგომით.

სწორედ ამ და სხვა კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება ვალერი მარგიანის სახელობის ფონდის დაარსების იდეაც, რომელიც ავთანდილ მარგიანს ეკუთვნის. ეს იქნება საქველმოქმედო ფონდი, რომელიც იზრუნებს ხელოვნების გადარჩენისთვის.

ხელოვანისთვის უმძიმესი აღმოჩნდა 90-იან წლებში დაწყებული ეკონომიკურ კატაკლიზმებთან შეგუების პერიოდი. მეგობარი მხატვრების მსგავსად, საარსებო გზის ძიებამ ვალერი მარგიანი მშრალი ხიდის მიდამოებში, მხატვართა საძმოს რიგებში ჩააყენა... სამწუხაროდ, დღეს ის ჩვენს გვერდით აღარ არის.

გამოფენა ერთ კვირას გაგრძელდება. სახვითი ხელოვნების მოყვარულთ საშუალება აქვთ გაიცნონ ან კიდევ ერთხელ ისიამოვნონ ვალერი მარგიანის შემოქმედების ხილვით.

# გაატარე ორშაბათი ხალისიანად "ჯეოსელთან" ერთად

ეთერ მამულაშვილი

*თუკი დღემდე ვინმე ფიქრობს, რომ ორშაბათი მისთვის მართლაც მძიმე დღე არის, კომპანია "ჯეოსელი" ამ დღის უფრო მსუბუქად და ხალისიანად გატარების უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. ამისათვის კი რამდენიმე ძალიან მარტივი პირობაა შესასრულებელი. 21 მარტიდან მოყოლებული 16 მაისის ჩათვლით ყოველ ორშაბათს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს უნდა ესტუმროთ ან საღამოს 8 საათის შემდეგ თქვენი ტელევიზორი "მზის" ეთერზე უნდა მომართოთ.*



ბევრი თქვენგანი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ საუბარი 2004 წლის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ პროექტს "ჯეოსტარს" ეხება, რომელიც შარშან იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ სამთვიანი შესვენების შემდეგ "ჯეოსტარმა" სტარტი ორი დღის წინ აიღო და ის მომდევნო ცხრა კვირის განმავლობაში გაგრძელდება, თუმცა ამჯერად ყველაფერი განსხვავებული, ბევრად პომპეზური და სიურპრიზებით დახუნძლული იქნება. მანამ, სანამ "ჯეოსტარი 2005"-ის რამდენიმე საიუდუმლოს გაგიმჟღავნებდეთ, მოდით, ერთხელ კიდევ შევახსენოთ იმათ, ვისაც დაავიწყდა ან მათ, ვისაც ჯერ კიდევ არაფერი სმენია კომპანია "ჯეოსელის" ამ უნიკალური პროექტის შესახებ, თუმცა ვეჭვობ, რომ ასეთი კიდევ შეიძლება მოიძებნოს.

და მაინც; "ჯეოსტარის" მსგავსი პროექტები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება, სადაც ადგილობრივი მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები საკუთარი სახელობის ვარსკვლავს პროფესინალი ჟიურისა და აქტიური აბონენტების დახმარებით ავლენენ. როგორც უკვე გითხარით, "ჯეოსელი" მსოფლიოს ამ პროექტს გასული წლის მიწურულს შეუერთდა და ახალ წლამდე აჩიკო ნიჟარაძის სახით გამარჯვებულიც გამოვლინდა, თუმცა ამ პროექტმა არანაკლები პოპულარობა და წარმატებები მოუტანა "ჯეოსტარში" მონაწილე დანარჩენ შვიდ კონკურსანტსაც.

"ჯეოსტარი 2005" შარშანდელისგან აბსოლუტურად განსხვავებული რომ იქნება, ეს ამ პროექტის 21 მარტის პირველმა გალა კონცერტმა ნაწილობრივ უკვე დაადასტურა. ორშაბათს, ვინც თუნდაც 5 წუთით მაინც მოჰკრა თვალი, თუ რა ხდებოდა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, დამეთანხმება, რომ ეს ყველაფერი კონკურსს ანდა შეჯიბრს ყველაზე ნაკლებად ჰგავდა. "ჯეოსტარის" ათივე მონაწილე რეალურად ერთმანეთის კონკურენტები რომ იყვნენ, ეს აქ პრაქტიკულად არ იგრძნობოდა.

ცოცხალი მუსიკა, გემოვნებიანი ქართული სიმღერა, არაჩვეულებრივი რეჟისურა, ორიგინალური დეკორაციები მოკლედ ყველაფერი ის, რაც წარმატებული შოუსთვის არის აუცილებელი, "ჯეოსელმა" მეგობრებისა და პარტნიორების დახმარებით იოლად მოახერხა. შედეგიც სახეზეა, ფილარმონიიდან გამოსული მაყურებელი, თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მათ ორშაბთს საღამოს მაქსიმალური სიამოვნება მიიღეს. თუმცა, როგორც "ჯეოსტარის" ორგანიზატორები გვპირდებიან, ყველაზე მთავარი და გამაოგნებელი სიურპრიზები "ჯეოსტარზე" ჩვენ ჯერ კიდევ წინ გველოდება.

ყოველი ორშაბათი და "ჯეოსტარის" ყოველი ტური ერთნმანეთისგან ძალიან განსხვავებული და გამორჩეული იქნება. გამარჯვებულ მონაწილეს ხმის ჩამწერი სტუდია "ორფეოსი" განსაკუთრებულ საჩუქარს უმზადებს. მისთვის კომპაქტ-დისკის ჩაწერას სწორედ "ორფეოსი" უზრუნველყოფს. თუმცა არანაკლები საჩუქრები და სიურპრიზები მზადდება ამ პროექტის დანარჩენი მონაწილეებისთვის.

"ჯეოსელმა" განსაკუთრებული საჩუქარი იმათაც მოუმზადა, ვისაც საკუთრი ფავორიტი "ჯეოსტარში" ჰყავს. თუკი თქვენ ჯერ კიდევ არ გამხდარხართ "ჯეოსელის" აბონენტი და გული გწყდებათ, რომ თქვენი რჩეულისთვის ხმის მიცემას ვერ ახერხებთ, იჩქარეთ. "ჯეოსელის" სარეალიზაციო ქსელში მისულ პირველ 700 აბონენტს ამ კომპანიის ქსელში ჩართვა სულ რაღაც 25 ლარად შეეძლება. 25-ლარიანი "ლაი-ლაის" სასტარტო პაკეტი მოიცავს: სიმ ბარათს, ლაი-ლაის 20-ლარიან სასაუბრო ბარათს, 10 უფასო SMS-ს "ჯეოსტარის" ვარსკვლავის გადასარჩენად და "ჯეოსტარის" 2 ბილეთს. იჩქარეთ, რადგან "ჯეოსელის" ეს აქცია კიდევ ხუთი დღე გაგრძელდება.

"ჯეოსტარი 2005"-ის მორიგი მეორე ტური ფილარმონიაში მომავალ ორშაბათს, 28 მარტს ჩატარდება.

# პავაროტიმ ოპერაცია გადაიტანა



ცნობილმა ტენორმა ლუჩანო პავაროტიმ ნიუ იორკში კისრის მალების მდებარეობის შესაცვლელად ქირურგიული ოპერაცია გაიკეთა. მომღერალი მანჰეტენზე ლენოხ-ჰილ-ჰოსპიტალში 9 მარტს გადაიყვანეს. 10 მარტს კი მას წარმატებული ოპერაცია გაუკეთდა. აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მას მერე გავრცელდა, რაც ცნობილი ტენორი ოტელში დაბრუნდა, სადაც იგი მეუღლე ნიკოლეტასა და ქალიშვილ ალისასთან ერთად ცხოვრობს. ყველაფრის მიუხედავად, პავაროტი თავის "გამოსათხოვარ მსოფლიო ტურნეს" არ შეწყვეტს და შემდგომ ეტაპზე ეწვევა იოჰანესბურგს, დუბაის, კიევს, როტერდამსა და პრაღას.

*ინტერ-პრესიზ*

# გვინდა ვენეციაში

## იქ, სადაც მხატვრული ავანგარდია

სოფო კილასონია

ამ რამდენიმე ხნის წინ ახალგაზრდა (და არა მხოლოდ ახალგაზრდა) მხატვართა წრეში მოვხვდი. ჩემი ინიციატივით საუბარი თანამედროვე ხელოვნებაზე, კონკრეტულად, სახვით ხელოვნებაზე წამოვიწყეთ. თუმცა, თავიდანვე უნდა გაგვერკვია, ვინ რას ვეძახდით თანამედროვეს. ზუსტად არ ვიცი, რამ გამოიწვია ჩვენი უინტერესო პოლემიკა: იმან, რომ თანამედროვე ხელოვნება არ გვაქვს, თუ იმან, რომ წარმოდგენაც კი არ გვქონდა, რაზე ვლაპარაკობდით. ზოგადმა მსჯელობამ, რომელიც ძირითადად ინტერნეტის საიტების მწირი ინფორმაციით, ასევე გაურკვეველი წარმომავლობის კატალოგ-ჟურნალებით საზრდოობდა, მოსაუბრენი იქამდე მიიყვანა, რომ დიდი ხნის საუბრის შემდეგ ორი პოლუსი დაინახეს და თამამად დაუპირისპირეს ერთმანეთს. ჩვენ, ანუ ქართული მხატვრული სივრცე და ისინი - მთელი დანარჩენი მსოფლიო, ევროპული თუ ოკეანის გაღმა ხელოვნება. თუმცა, ეს არ ყოფილა ყველაზე საინტერესო იმ საღამოს. მთავარი ამ საუბრის დასკვნითი ნაწილი იყო. ციტირებას მოვერიდები და შინაარსს გავიხსენებ: კარგია, მეტი ვიცოდეთ, თუმცა, ჩვენი ქართული, ჩვენი ტრადიცია მათ "გაქანებულ" კონცეპტუალიზმს გვირჩევნიაო. მოკლედ, გავუფრთხილდეთ და დავიცვათო. მე ამ ფრაზების გაგონებას არ გავუკვირვებივარ. ამ შინაარსის ფრაზები ხომ ყველგან ისმის, სადაც რაღაც-რაღაცების გამო თავდაცვას ვლამობთ, თითქოს რაღაცას ვიცავთ, ამ დროს კი სინამდვილეში ვიმალებით, გვეშინია ვთქვათ და დავინახოთ, რომ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიხარშებით და ხშირად ფსევდოტრადიციულობასა და ფსევდოეროვნულობას ვეფარებით.

არ გვაქვს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი! - მართალია. გვაქვს კი თანამედროვე ხელოვნება? - შესაძლოა, გვაქვს, ოღონდ ბოლომდე განუხორციელებელ იდეაში. გვაქვს დიდი ტრადიციები, უნიკალური პოტენციალი, შთამბეჭდავი მხატვრული სკოლა და ისტორია, მაგრამ განა ზუსტად ვიცით, როგორ უნდა წარმოვაჩინოთ ისინი დღევანდელობაში. მაინც როგორია კულტურის პოლიტიკა, რომელსაც სახელმწიფო წარმართავს, თუ გვაქვს საერთოდ ასეთი, და თუ აქცევს მას ყურადღებას სახელმწიფო. მე არ ვიცი, უბრალოდ, კითხვებს ვსვამ. ერთი რამ კი ზუსტად ვიცი: მრავალი საინტერესო ინდივიდის მიუხედავად, თითქოს გამოცოცხლებული საგამოფენო საქმის მიუხედავად, ჩვენი მხატვრული სფერო ისევე ჩამორჩება, აგერ უკვე რა ხანია, სანატრელ ევროპულს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასავლურს, როგორც თუნდაც ჩვენი ეკონომიკა.

სპორტი რომ ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია, ცხადია. ის, რომ უცხოეთში წასული თითოეული ქართველი სახელმწიფოს სახე და იმიჯია, ვერც ამაში შემედავება ვინმე. მიუხედავად ამისა, ქართული მხატვრობა, ქართული არტი, როგორც ცნება და გარკვეული იერის მქონე ფენომენი, არ არსებობს. ფაქტია, რომ სპორტს, სასცენო და მუსიკალურ სფეროს დამფინანსებელი, ასე თუ ისე, ჰყავს, სახვით ხელოვნებას - არა. ცალკეული მხატვრები და ART-ისტები ევროპასა თუ აშშ-ში გამართულ გამოფენებში იღებენ მონაწილეობას. არიან ქართველები (ცოტანი, მაგრამ მაინც), ვინც მათ ურთიერთობებს აგვარებს და ამით საკმაო სარგებელსაც ნახულობს, თუმცა, ეს საქმიანობა არც ამ კონკრეტულ შემოქმედთ აძლევს რამეს და არც საერთოდ სახელმწიფო კულტურის პოლიტიკას, არც ჩვენი ხელოვნების პოპულარიზაციას ახდენს. არის კიდევ ერთი ფაქტორი: მაშინ როცა ნებისმიერი უცხოელი თვალებგაფართოებული უყურებს ქართველ მხატვართა ნამუშევრებს და მათში იმას ხედავს, რაც მის მშობლიურს დაუკარგავს (ნიჭიერებას, ხატვის სკოლას, ემოციასა და განსაკუთრებულ ხიბლს), პირველი, რასაც მძაფრად შეიგრძნობს დასავლეთში ჩასული ქართველი მხატვარი, საკუთარი თავის გარესამყაროსთან არაადეკვატურობაა. მან ნამდვილად არ იცის, როგორ უნდა გახდეს საინტერესო საერთაშორისო მასშტაბით იმ სივრცეში, სადაც მას, საკუთარი უნიკალური ხასიათისა და ბუნების სახელოვნებო ტრადიციების მიუხედავად, ადგილი არა აქვს. თუ შუა საუკუნეების თვალსაზრისით ქართული ხელოვნება ზოგადად ბიზანტიურ სივრცეში ექცევა, თანამედროვე - საუკეთესო შემთხვევაში პოსტსაბჭოურად მოიაზრება.



მაშინ, როცა "ევროპასთან ინტეგრაცია", "გლობალიზაცია", "ღია საზოგადოება" და სხვა მრავალი სიტყვა და ფრაზა ჩვენთან უკვე პლაკატურია, კულტურისა და ART-ის გატანისა და მოწინავე გამოცდილების გარეშე შორს ვერ წავალთ, მით უფრო, ევროპასთან მიმართებაში. თუმცა, სამწუხაროდ, ამაზე ზრუნვა ჩვენს სახელმწიფოს და კულტურის სამინისტროს ჯერ რიგიანად არ დაუწყია. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ მინდა, მომდევნო აბზაცზე ლოგიკურად გადავიდე.

ხსენებულ მხატვართა თავყრილობა, ჩემდა საბედნიეროდ, ერთადერთი არ არის, სადაც ჩემი თანდასწრებით მსგავს საკითხებზე საუბრობენ. ამ წერილის მიზანიც სწორედ ესაა. ინიციატივა და იდეა, რომელიც ორ მხატვარს - გარმანიაში მოღვაწე გია ეძგვერაძესა და სამხატვრო აკადემიის რექტორს გია ბუღაძეს დაებადათ, ქართველი ART-ისტების ევროპულ მოწინავე მხატვრულ სივრცეში გატანას ისახავს მიზნად და ქვეყნის კულტურის პოლიტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. უფრო კონკრეტულად: მათი პროექტი პირდაპირ კავშირშია ვენეციის ბიენალესთან, სადაც ორ წელიწადში ერთხელ, მორიგეობით, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების თანამედროვე და მოწინავე მიღწევების სხვადასხვა პროექტების სახით წარდგინება ხდება.

ვენეციის ბიენალე ის პლაცდარმია, სადაც თანამედროვე ხელოვნების ისტორია იქმნება და სადაც მისი პრეზენტაცია-დათვალიერება საუკეთესო იმპროვიზებითა და მრავალფეროვანი სპექტრით არის შესაძლებელი.

"ვენეციის დიდი ექსპოზიცია" 1895 წლიდან იღებს სათავეს. მას შემდეგ ვენეციის სამხრეთით არსებული ჯარდინის ბაღი სხვადასხვა ქვეყნების პავილიონებით შეივსო, სადაც ყველა განვითარებული კულტურისა და ხელოვნების მქონე ერი საკუთარ შემოქმედებას წარმოაჩენს. მაგალითად, რუსეთმა 1914 წლიდან გახსნა საკუთარი პავილიონი (აღარაფერს ვამბობთ სხვა ევროპულ ქვეყნებზე). როგორც ბატონმა გია ბუღაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ვენეციის ბიენალე რეალურად ხელოვნების კურატორთა შეჯიბრებაა. არტ-მენეჯერები და არტ-კრიტიკოსები ჯარდინის ბაღში სხვადასხვა პროექტებსა და გამოფენა-აქციებს აწყობენ და ამით პირველ რიგში საკუთარი ერის სახელოვნებო სახეს წარმოაჩენენ, საკუთარი კულტურის დონესა და პოლიტიკას იუწყებიან და ამავდროულად თავიანთ სიტყვას ამბობენ მხატვრულ ცხოვრებაში. ნებისმიერი მხატვრისა და კურატორისთვის ვენეციის ბიენალეზე გამოჩენა დიდი წარმატებაა. რამდენიმე ქართველმა საკუთარი ნიჭი უკვე გაიტანა ამ მსოფლიო მხატვრულ ავანსცენაზე, თუმცა, სხვა ქვეყნის პავილიონში და სხვა ქვეყნის სახელით. მკითხველისთვის ალბათ უკვე გასაგებია გია ბუღაძისა და გია ეძგვერაძის პროექტის მიზანი: გვქონდეს ჩვენი პავილიონი, ამით ერთხელ და სამუდამოდ დავიმკვიდროთ ადგილი ევროპულ სახელოვნებო სივრცეში და მოვიპოვოთ ჩვენი პატარა ნიშა, საიდანაც საკუთარი ხელოვნების საუკეთესოდ წარმოჩენას შევძლებთ, ასევე მივიღებთ და გავეცნობით იმ გამოცდილებას, რომელმაც მთლიანად შეცვალა და დღემდე ამოძრავებს მსოფლიო ART-ისტულ ცხოვრებას. ამ საკითხზე მეტი ინფორმაციის მისაღებად და პროექტის სამომავლო გეგმების გასაცნობად ბატონ გია ბუღაძეს ვესაუბრეთ:

**"არანაირი გასასვლელი არ გვაქვს არტში. ასე თუ ისე, წაიღებ სპექტაკლს, ასე თუ ისე, წავა მომღერალი. მხატვრობის თვალსაზრისით კი რეალურად არ გვაქვს ადგილი. მხატვრები შემთხვევით თუ მოხვდებიან სადმე, რაიმე საერთო გამოფენაში თუ გამოფენენ ნამუშევრებს, ანდა, საერთოდაც რაღაც უცნაურ ბაზრობებში მიიღებენ მონაწილეობას. რეალურად ჩვენ ევროპაში ადგილი არ გვაქვს. დიდი ფიქრისა და გარკვეული შეთანხმებების შემდეგ, გადავწყვიტეთ, დაგვეწყო საერთო სახალხო მოძრაობა იმისთვის, რომ ქართული მხატვრობის, კულტურის ცენტრი არსებობდეს ვენეციის ბიენალეზე. პარკ ჯარდინიში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა მხატვრებისა და არქიტექტორების საერთაშორისო ფესტივალი. იქ ყველა ნორმალურ ქვეყანას აქვს თავისი პავილიონი. იმისთვის, რომ ჩვენც გვქონდეს იქ ჩვენი ადგილი, საჭიროა, პირველი ეტაპისთვის მოვიპოვოთ უფლება. ამისთვის სახალხო მოძრაობაა საჭირო, რის შემდეგაც ეს საქმე ვენეციის მერიის თანხმობით უნდა გადაწყდეს. ცუდი არ იქნება, თუ ეს პავილიონი ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის იქნება. ცუდი არ იქნება, თუ ისინიც მიიღებენ მონაწილეობას. 300-350 კვადრატული მეტრი სრულიად საკმარისი იქნება ამ საქმისთვის. ესაა სამხატვრო სფეროში ქვეყნის პოლიტიკის გატანის ყველაზე რეალური შანსი. ჩვენ შეგვეძლება ფესტივალზე წარვადგინოთ ის ჯგუფი, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ქართულ კულტურულ ცხოვრებაში და რომელსაც იმ კონკრეტულ წელიწადს ყველაზე წარმატებულ პროექტად მივიჩნევთ. ფაქტობრივად, ჩვენ რეალურად დავიმკიდრებთ ადგილს მსოფლიო კულტურის არტისტულ არეალში, სხვა გზა არ არის. არსებობს ერთი გზა - საკუთარ წვენში ვიხარშოთ, მაგრამ როდემდე? ვენეციის ფესტივალისთვის მზადებაში შესაძლებელი იქნება სასწავლო პროექტების ჩართვა. საუკეთესოდ განხორციელებულსა და ყველაზე წარმატებულს ვენეცია იხილავს. იმის გარდა, რომ სახელმწიფოს რეალური შანსი ეძლევა, ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა მართოს და საკუთარი ხელოვნებით კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ევროპაში მიმდინარე პროცესებს, პროექტის განხორციელების შემთხვევაში ახალგაზრდა ხელოვანთ და ხელოვნებათმცოდნეებს მიზანს ვუსახავთ და ბიძგს ვაძლევთ იმისთვის, რათა საუკეთესოდ მოახერხონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ნიჭიერების გამოვლენა და იმ სცენაზე წარმოჩენა, რომელიც უმაღლესია საერთოდ მხატვრულ და არტისტულ სივრცეში. თუ ამას მოვახერხებთ, ეს იმას ნიშავს, რომ მივიღებთ ქართული ხელოვნების წარდგენის ძალიან სერიოზულ ბაზას. სხვა, თუნდაც ევროპაში მოწყობილი ცალკეული გამოფენები, საქართველოს არაფერში არგია. ისინი შეიძლება იყოს ვიღაცის წარმატებული ან წარუმატებელი კარიერის ნაწილი, მაგრამ ქვეყნისთვის ეს თითქმის არაფერს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, ეს მოვლენა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. მით უფრო მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა რევოლუციის შემდგომ პოსტსაბჭოურ სივრცეში დემოკრატიული პრინციპების საწყისებთან მოიაზრება."**

როგორც ბატონმა გიამ გვითხრა, მას და მის კოლეგას, დასავლეთში მოღვაწე მხატვარს გია ეძგვერაძეს გარკვეული კავშირი ვენეციის ბიენალეს მთავარ საკურატორო ცენტრთან უკვე ჰქონიათ. პროექტის ევროპულ ფლანგზე აქტიურად მუშაობს ბატონი გია ეძგვერაძე. რაც შეეხება საქართველოს, აქ სულ მალე დაიწყება ხელოვანთა ART-ისტული მოძრაობა, რომელსაც ოდნავ რადიკალური, თუმცა მეტად გულწრფელი სახელწოდება ექნება. უბრალოდ, **"გვინდა ვენეციაში"**.

რატომაც არა, ოცნებაც შეიძლება რეალობად იქცეს, მით უფრო მაშინ, როცა ხელოვანებთან გვაქვს საქმე და მაშინ, თუ იქნება კეთილი ნება - კიდევ უფრო მჭიდროდ დავუკავშირდეთ ევროპულ ფასეულობებს. ჩვენც შეიძლება აღმოვჩნდეთ იქ, სადაც ყოფნას ნამდვილად ვიმსახურებთ, იქ, სადაც მხატვრული ავანგარდია.

ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს
2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი
3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).
4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 2 ლაი-ლაი
აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.
კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.
სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.
ამოჭერით

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შემელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედრო №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


პაულო კოელიოს სვეტი

# ერთი ჩვეულებრივი დღე წისქვილში



ბოლო დროს ჩემი ცხოვრება სამნაწილიან სიმფონიას ჰგავს. პირველი ნაწილია - "ბევრი ხალხი", მეორე - "ცოტა ხალხი", მესამე - "თითქმის არავინ". თითოეული მათგანი წლის განმავლობაში დაახლოებით ოთხიოდე თვეს გრძელდება. ხდება ისეც, რომ ერთ რომელიმე კონკრეტულ თვეს სამივე ნაწილი სრულდება, თუმცა, ისინი ერთმანეთში მაინც არ მერევა.

"ბევრი ხალხი" - ეს პერიოდი მაშინ დგება, როცა მე უშუალოდ ვკონტაქტობ პუბლიკასთან, გამომცემლებთან და ჟურნალისტებთან. "ცოტა ხალხის" დროს ბრაზილიაში მივდივარ ხოლმე, ძველ მეგობრებს ვხვდები, კოპაკაბანას პლაჟზე ვსეირნობ, თავყრილობებსაც ვესწრები შიგადაშიგ, მაგრამ ძირითადად მაინც სახლში ვზივარ.

"თითქმის არავინ" - დღეს სწორედ ამ კონდიციის შესახებ მსურს ვრცლად საუბარი. ახლა, როცა ამ სვეტს ვწერ, ბინდდება. ღამის წყვდიადში იძირება პირენეებში ეს პატარა, 200-კაციანი სოფელი, რომლის სახელიც მირჩევნია საიდუმლოდ დარჩეს. რამდენიმე ხნის წინ მე აქ წისქვილი შევიძინე.

დილაობით მამლის ყივილზე ვიღვიძებ, ვსაუზმობ და სასეირნოდ მივდივარ. დავაბიჯებ სიმინდის ყანებში და თივის ზვინებით სავსე მინდვრებზე, აქა-იქ ძროხები და ცხვრები ცოხნიან ბალახს. გავყურებ მთებს და "ბევრი ხალხის" კონდინციისგან განსხვავებით აზრადაც არ მომდის, ვიფიქრო, თუ ვინ ვარ მე. ამ დროს არც კითხვები მიჩნდება და არც პასუხების ძებნის სურვილი მაწუხებს. ამ დროს აბსოლუტურად მთელი არსებით ვეკუთვნი აწმყოს, იმ წუთებს, რომელთაც მთელი სისავსით შევიგრძნობ. ერთადერთი ხელშესახები ცოდნა, რომელიც ამ დროს გამაჩნია არის ის, რომ წელიწადის ოთხი სეზონი არსებობს (ეს ისედაც ყველამ იცის, მაგრამ ყოველდღიურობაში ჩაფლულებს ხშირად გვავიწყდება ხოლმე), და მეც ისევე ვიცვლები და ვსუნთქავ, როგორც სოფლის ბუნება ჩემ გარშემო.

ამ წუთებში დიდად არ მაინტერესებს, ავღანეთიდან და ერაყიდან ახალი ამბების მოსმენა. სოფლად მცხოვრები ყველა დანარჩენი ადამიანივით, მეც, პირველ რიგში, ამინდის პროგნოზის გაგებას ვესწრაფვი. ყოველმა თანასოფლელმა იცის, როდის მოვა წვიმა, როდის აცივდება, როდის ამოვარდება ქარი. ეს ცოდნა მათთვის აუცილებელია, რადგან ბუნებას და ბუნებრივ მოვლენებს მათ ყოფაზე, მათ გეგმებსა და მოსავალზე პირდაპირი გავლენა აქვს.

ვსეირნობ და ვხედავ, როგორ ამუშავებს მიწას ფერმერი. მერე თავს მაღლა წევს და მშვიდობის დილას მისურვებს. ერთი-ორ სიტყვას ამინდზეც ვამბობთ და მერე ჩვენ-ჩვენ საქმეს ვუბრუნდებით, ფერმერი - თოხნას, მე - სეირნობას.

შინ დაბრუნებული, საფოსტო ყუთს ვამოწმებ, ადგილობრივ გაზეთს ვიღებ და ვკითხულობ, რომ მეზობელ სოფელში ცეკვის საღამო გაიმართება, ტარბში კი, უახლოეს დიდ ქალაქში 40 ათასი მაცხოვრებლით - ლექცია. იქვე ერთი ცუდი ცნობაც წერია: წუხელ, სანაგვე ყუთში ხანძარი გაჩენილა და სახანძრო მანქანა გამოუძახებიათ. ყველაზე შემაშფოთებელი ამბავი კი, რომელიც მთელ რეგიონს აწუხებს კრიმინალურ დაჯგუფებას ეხება. ჯერაც დაუდგენელი ვინაობის ადამიანთა ჯგუფი, თურმე, დარწმუნებულია, რომ ერთი მოტოციკლეტისტის სიკვდილის მიზეზი გზის განაპირას მდგარი ხეები ყოფილა, რის გამოც ისინი ღამით დადიან და ხეებს ჭრიან. ამ "საიდუმლო ბანდას" ადგილობრივ გაზეთში უზარმაზარი წერილები ეთმობა.

მერე წისქვილის გადაღმა, პატარა წყაროს ნაპირზე ვწვები. ავყურებ ამ საშინელი ზაფხულის უღრუბლო ცას - მარტო საფრანგეთში პაპანაქება სიცხემ ხომ 5 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და ვფიქრობ. მერე კიუდოს სავარჯიშოდ მივდივარ. კიუოდო მედიტაციის ის ფორმაა, რომელიც მშვილდოსნობით მიიღწევა. ერთი საათის განმავლობაში ვისვრი ისრებს. უკვე შუადღე მოდის, მსუბუქად ვსადილობ და სახლის ძველ ნაწილში, ერთ ოთახში შევდივარ. სწორედ იქ თვალში მხვდება ერთი უცნაური ნივთი, რომელსაც ეკრანი და კლავიატურა აქვს და შეერთებულია საოცრებათა საოცრებასთან - უსწრაფეს ხაზთან, რომელსაც სხვანაირად DSL-ს უწოდებენ. ვიცი, რომ საკმარისია ღილაკზე თითის ერთი დაჭერა, რომ მთელი სამყარო ჩემთან შესახვედრად წამოვა.

ცდუნებას სადამდეც შემიძლია, ვუძლებ, მაგრამ მერე დგება წუთი, როცა თითი ღილაკისკენ მაინც გამექცევა და კავშირიც მსოფლიოსთან უმალ მყარდება: ბრაზილიური გაზეთები, წიგნები, ინტერვიუები, ახალი ამბები ერაყიდან, ავღანეთიდან, თხოვნები, შეკვეთები, ცნობა იმის შესახებ, რომ თვითმფრინავის ბილეთს ხვალ მივიღებ, გადაწყვეტილებები - აღსასრულებელი, გადაწყვეტილებები - გასაუქმებელი...

რამდენიმე საათის განმავლობაში ვუზივარ კომპიუტერს. ვუზივარ ძალდაუტანებლად, რადგან ეს ჩემი პირადი არჩევანია, ჩემი ცხოვრებაა, რადგანაც სინათლის რაინდმა კარგად უწყის, მას პასუხისმგებლობები აწევს ზურგზე, მისია აქვს აღსასრულებელი. მოკლედ, საქმეებში ვარ ჩართული, მაგრამ ეს ხომ "თითქმის არავინ"-ის მომენტია და სწორედ ამიტომ მეც კომპიუტერის ეკრანზე ყველაფერი შორეულად და მიუწვდომლად მეჩვენება; თითქმის ისევე შორეულად, როგორც ეს წისქვილი ჩანს ხოლმე სხვა მხრიდან - "ბევრი ხალხის" და "ცოტა ხალხის" სიტუაციებიდან.

მზე ჩადის. კომპიუტერს ვრთავ. სამყაროს მასშტაბებიც მცირდება. მსოფლიო ჩემთვის კვლავაც პატარა სოფლის ზომამდე დადის, ცინცხალი ბალახის სუნით, ძროხის ბღავილით, ბეკეკების კიკინით სავსე, რომლებიც დედა-ცხვრებს ჩემი წისქვილის მახლობლად, ფარეხში მიჰყავთ.

მხოლოდ ახლაღა მიჩნდება კითხვა: როგორ შემიძლია არსებობა ორ ერთმანეთისგან ასე განსხვავებულ რეალობებში? პასუხი არ მაქვს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს ორბუნებოვანი არსებობა განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს. მართლაც საოცრად ბედნიერი ვარ, ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ.

*ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

ინფოთეკა

### ჰუთს "ჩელსის" დატოვება არ უნდა

ლონდონის "ჩელსის" მცველმა რობერტ ჰუთმა განაცხადა, რომ სეზონის დასასრულისთვის კლუბიდან წასვლას არ აპირებს. თუმცა, ცნობილია, რომ ლონდონელებს ფეხბურთელის გუნდიდან გაშვება უნდათ. სავარაუდოდ, მომავალ ზაფხულს ჰუთს ან გაყიდიან, ან იჯარით გასცემენ. თავად ფეხბურთელი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, არსად წასვლას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეძენით დაინტერესებულია გერმანული "ბავარია".

"ამ კლუბში მოსვლის პირველივე დღიდან ჩვენი მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ გუნდს ვჭირდები. რა თქმა უნდა, ტრავმების გამო, რომელსაც ვიღებდი, გუნდთან ისე ახლოს არ ვიყავი, როგორც საჭიროა, თუმცა, "ჩელსის" დატოვება არასოდეს მიფიქრია", - განაცხადა ფეხბურთელმა.

### მორატი ფიგუსადმი ინტერესს კატეგორიულად უარყოფს

იტალიური კლუბის "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი მადრიდის "რეალის" ნახევარმცველის ლუიშ ფიგუს შეძენითაა დაინტერესებული. როგორც ამბობენ, ფიგუ ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელიც მზადაა, დატოვოს მადრიდის კლუბი. გუშინწინ კი ბრიტანულ პრესაში განაცხადეს, რომ მორატი, რომელიც ფიგუს დიდი თაყვანისმცემელია, მზადაა ეს ფეხბურთელი ედგარ დავიდსში გაცვალოს.

"ამჟამად ეს ვარიანტი არ მაინტერესებს. ჩემს კლუბში საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან. შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებ", - განაცხადა მორატიმ.

გარდა ამისა, მორატიმ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "მილანთან" მატჩის შესახებაც ისაუბრა (მატჩი 6 აპრილს გაუმართება). პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ადრიანოს არყოფნის მიუხედავად, გუნდი მაინც წარმატებით ითამაშებს.

შეგახსენებთ, ადრიანომ იტალიის ჩემპიონატში "რომას" წინააღმდეგ მატჩში მიიღო ტრავმა.

"მოდით, ვნახოთ, რა გამოვა. ვფიქრობ, ყველანაირი შანსი გვაქვს იმისა, რომ წარმატებას მივაღწიოთ," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

### ამბრამოვიჩს ძამბროტას შეძენა უნდა

ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი აპირებს, რომ "იუვენტუსს" ჯანლუკა ძამბროტასთვის 23 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზოს. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობას ჯერჯერობით ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს. კლუბის გადაწყვეტილებაზე შეიძლება იმოქმედოს იმ ფაქტმა, რომ კლუბს სურს "ფიორენტინას" ფეხბურთელის ჯორჯო კელინის შეძენა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ძამბროტას შემცვლელად მოიაზრებს.

### ვან ბომელემი ცალი ფეხით "ბარსელონაშია"

"ბარსელონას" ხელმძღვანელობამ წინასწარი შეთანხმება გააფორმა ჰოლანდიის "პესვეს" ნახევარმცველთან მარკო ვან ბომელემთან. ფეხბურთელი ახალ კლუბში ამ ზაფხულს გადავა. სავარაუდოდ, "ბარსელონასა" და ვან ბომელემს კონტრაქტის ვადა სამ ან ოთხ წელიწადს ითვალისწინებს.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება.

### პლატინის ბეკენბაუერთან კონკურენცია არ სურს

"როიტერსის" ცნობით, ლეგენდარულმა ფრანგმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ არ უნდა ასევე ლეგენდარული ბეკენბაუერის კონკურენტი იყოს 2006 წლის უეფას პრეზიდენტის პოსტზე ბრძოლის დროს.

"ამჟამად ბეკენბაუერი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს. შემდეგ კი ყველაფრის გაკეთებას შეძლებს, რასაც მოინდომებს. თუმცა, თუ ის თავის კნადიდატურას წამოაყენებს უეფას პრეზიდენტის პოსტზე, მიუხედავად იმისა, რომ ეცოდინება, ამ პოსტისთვის კენჭისყრას მეც ვაპირებ, ეს დიდი სირცხვილი იქნება. ჩემი აზრით, ეს ბეკენბაუერს ჯერ კიდევ 10 წლის წინათ უნდა გაეკეთებინა," - განაცხადა პლატინიმ, რომელიც ზუსტად 10 წლით უმცროსია თავის პოტენციურ კონკურენტზე.




# გამარჯვების "მათემატიკური მოლოდინი"

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*რუბრიკის დღევანდელი თემა, ბუნებრივია, საქართველოსა და საბერძნეთის ნაკრებების მომავალ შეხვედრას მიეძღვნა; ჩვენი სტუმრების - თემურ ღლანიძისა და დათო ჭელიძის საუბარი თურქეთთან მოსალოდნელ თამაშსაც შეეხო და, ზოგადად, ქართული ფეხბურთის პრობლემებსაც...*

**თემურ ღლანიძე:**"საქართველოს ნაკრები ორი გადამწყვეტი მატჩის წინ დგას და, ალბათ, ყველამ უნდა გააცნობიეროს, თუ ვის ვეთამაშებით - საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში პირველად უნდა შევხვდეთ ევროპის მოქმედ ჩემპიონს და, ასევე - მსოფლიო ჩემპიონატის მოქმედ პრიზიორს. ახლა იმაზე ლაპარაკი, თუ რა ტრადიციები აქვს ქართულ ფეხბურთს და რა - ბერძნულს, ყოვლად მიუღებელია; საბერძნეთმა შეუძლებელი შეძლო; პოტუგალიაში დაამარცხა პორტუგალიის ნაკრები და ჩემპიონატს გამოთიშა ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი - ჩეხეთის ნაკრები; ჩვენც აქედან უნდა განვსაზღვროთ, რა შანსები გვაქვს. საქართველოს ნაკრებს უმძიმესი მატჩები ელის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ უშანსოდ მაინც არ ვართ არც საბერძნეთთან და არც თურქეთთან; არის პრობლემები, თუნდაც ის, რომ ჩვენი სათადარიგო სკამი არც ისე გრძელია - ჩვენს ნაკრებში იმდენი მაღალი კლასის გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელი არ არის, რამდენიც თურქეთის და საბერძნეთის ნაკრებებში. თუნდაც საკლუბო დონეზე ავიღოთ; საბერძნეთის ორი კლუბი - "ოლიმპიაკოსი" და "პანათინაიკოსი" ევროპის წამყვანი კლუბები არიან და ჩემპიონთა ლიგაში ფინალურ ეტაპებზეც იღებენ მონაწილეობას, ასევე - თურქეთის "გალათასარაი", "ფენერბახჩე","ბეშიქთაში"; საქართველოს პირველობის დონე კი ყველას კარგად მოგვეხსენება. მაგრამ, ცალკეული ფეხბურთელების დონეს თუ ავიღებთ - კალაძე, კობიაშვილი, არველაძე და სხვებიც - მათ მაინც აქვთ გამოცდილება დიდ ფეხბურთში მონაწილეობის, ბრძოლის და წამყვან გუნდებთან ურთიერთობის; ასე რომ, სწორედ ცალკეული ფეხბურთელების კლასია ამჯერად ჩვენი მთავარი კოზირი და იმედი. ვერ ვიტყვი, რომ კობიაშვილზე და კალაძეზე მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობდეს დღეს ან თურქეთის ან საბერძნეთის ნაკრებში. რა თქმა უნდა, ის ბალანსი, რაც საერთო ჯამში გუნდს ქმნის, გვაკლია; ევროპის ჩემპიონი მაინც ევროპის ჩემპიონია და მსოფლიოს პრიზიორი - მსოფლიოს პრიზიორი"...

**დათო ჭელიძე:**"აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საბერძნეთის ნაკრების წარმატებაში ლომის წილი მათ არაჩვეულებრივ მწვრთნელს ოტო რეჰაგელს მიუძღვის, რომელმაც, თითქმის, არაფრისგან შეძლო ასეთი გუნდის გაკეთება. რაც შეეხება იმას, თუ ჩვენი ნაკრები რა წარმატებას მიაღწევს, ამაზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დღეს მე ჩვენს გუნდს უკვე ვატყობ გარკვეულ პროგრესს - მეტ გამბედაობას, მეტ მონდომებას; დარბიან, არ დგანან, ფეხებს არ მალავენ, ისე როგორც ეს ადრე ხდებოდა; თითქოს უფრო ევროპულად დაიწყეს თამაში. მოკლედ, ჟირესის დადებით გავლენას გუნდში უკვე ვამჩნევ.

ვფიქრობ, ფსიგოლოგიური ფაქტორი ჩვენებზე მაინც მოახდენს გავლენას, მაგრამ ერთი რამ ცხადია - რომც წავაგოთ, ამისგან ტრაგედიის შექმნა არ არის საჭირო"...

**თემურ ღლანიძე:**"ჟირესი, ჩემი აზრით, საუკეთესო მიგნებაა - ევროპელი, თან სამხრეთელი, თავის დროზე სამხრეთული ყაიდის მოთამაშე; ვისაც მისი თამაში ახსოვს, ისიც ემახსოვრება, რომ იგი პლატინის თანაგუნდელი იყო და მათ გუნდს ყველა პლატინის გუნდს ეძახდა; თან მწვრთნელი იყო - მიშელ იდალგო. მაგრამ, ჟირესი იმ ცნობილ გუნდშიც კი გამოირჩეოდა თავისი პეწიანი, ლამაზი თამაშით.

თავად ჟირესის მიგნება გახლავთ საქართველოს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი; ის ხომ მოსკოვის "ლოკომოტივში" ცენტრალური დამცველის ამპლუით თამაშობს, საქართველოს ნაკრების ბოლო ორ თამაშში კი - დანიასთან და ლიტვასთან - იგი უკვე ბოლომდე გაიხსნა, როგორც თამაშის წამყვანი, "ფლეიმეიკერის" ტიპის ნახევარმცველი. ვფიქრობ, ის კიდევ უკეთესად წარმოჩინდება საქართველოს ნაკრებში. ჩემი აზრით, ფეხბურთელს, რომელიც ცენტრალურ დამცველს თამაშობს, როდესაც მწვრთნელი მას ორ თვეში ერთხელ მეტ თავისუფლებას მისცემს, ის მეტი სილაღით და აღტაცებით იწყებს ამ ახალ ამპლუაში თამაშს; შეიძლება, სულ სხვა მუზებიც მოუვიდეს"...

**დათო ჭელიძე:**"ეს რაც შეეხება ჩვენს ვარსკვლავს; საბერძნეთის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი და კოზირი კი, ისევ ვიმეორებ, მათი მწვრთნელია; საბერძნეთის ნაკრები მწვრთნელის შექმნილი გუნდია. თუმცა, ევროპაში წარმატების შემდეგ საბერძნეთსაც ჰქონდა ჩავარდნა"...

**თემურ ღლანიძე:**"ეს სამხრეთული გუნდებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, როდესაც დიდი წარმატების შემდეგ ნეტარებას მიეცემიან და დუნდებიან ხოლმე; ამის გამო, მერე ისჯებიან კიდეც. ასეთი სასჯელი იყო, ალბათ, საბერძნეთისთვის ალბანეთთან შეხვედრა. სამწუხაროდ, მათ ეს ჩავარდნა უკვე დაძლეული აქვთ. ამაზე მეტყველებს დანიასთან მოგებული მატჩი და ფრე უკრაინაში. ვისაც ეს უკანასკნელი მატჩები ნანახი აქვს, დამეთანხმება, რომ არავითარ ჩავარდნაზე აღარ შეიძლება ლაპარაკი"...

**დათო ჭელიძე:**"ჰო, თანაც ამის იმედად ყოფნა არც შეიძლება...

და, საერთოდ, ქართულ ფეხბურთს მეტი ზრუნვა სჭირდება. ახლა სხვა დროა - ფეხბურთი ნამდვილი კომერციული საქმიანობა გახდა; ფული უნდა ჩაიდოს და რაღაც დონეზე მოწესრიგდეს საერთო მდგომარეობა. მხოლოდ ლეგიონერების იმედად ყოფნა შეუძლებელია. ამბობენ, - საკლუბო ფეხბურთი დანიაშიც კი არ აქვთო; სამაგიეროდ, იქ რაღაც ბაზისი მაინც არსებობს; ბავშვთა ფეხბურთის მაღალ დონეზე მაინც ზრუნავენ; ასე რომ, ფეხბურთელების საერთო დონე გაცილებით მაღალია. ქართველებს ძალიან მალე უნდათ ხოლმე მოგების ნახვა ყველა საქმიდან - მოთმინება არ გააჩნიათ. არადა, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთში ჩადებული ფული რაღაც დროის მერე აუცილებლად მოიტანს მოგებასაც და თავად ფეხბურთს ხომ სასიკეთოდ წაადგება. ამის გარეშე, წარმოუდგენელია, ქართულ ფეხბურთს რამე ეშველოს."

**თემურ ღლანიძე:**"მე ისეთი გულშემატკივარი ვარ, რომელიც ყველა ტურში ერთ-ორ თამაშს მაინც ესწრება და უნდა აღვნიშნო, რომ რაც ეს ახალი ფორმატი შემოვიდა (ათგუნდიანი ოთხი წრე), საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობს ზოგიერთი თამაში; ხუთი-ექვსი გუნდი უკვე გამოიკვეთა, რომელთა შორის შეხვედრები საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს; თუნდაც ანგარიშებს გადავხედოთ - აღარ არის ეს შვიდით ნოლი ან რვით ორი. გუნდებში მარკეტინგული სამუშაო და მენეჯმენტი, ალბათ, მართლაც მისახედია და ამაზე დაფიქრება ღირს. მე ჩემს აზრს არავის თავს არ ვახვევ, მაგრამ მიმაჩნია, რომ, მაგალითად, ზესტაფონის გუნდის შექმნას ბევრად აჯობებდა, ის თანხა ქუთაისის "ტორპედოს" მოხმარებოდა და იქაურ ფეხბურთელებს პირობები გაუმჯობესებოდათ"...

**დათო ჭელიძე:**"ახლა ისევ მოსალოდნელ შეხვედრას დავუბრუნდეთ; საინტერესოა, ბერძნები თავიანთი ჩვეული ტაქტიკით ითამაშებენ თუ არა - ორი-სამი პასი და ჯარიმა"...

**თემურ ღლანიძე:**"შეიძლება ბერძნებს ემოციამაც სძლიოს და შეტევა დაგვიწყონ. აი, შეტევა თუ დაიწყეს, მაშინ უფრო მეტი შანსი გვექნება მოგების"...

**დათო ჭელიძე:**"არავინ იცის, რა იქნება მერე თურქეთთან - ძალიან მცირე შუალედია"...

**თემურ ღლანიძე:**"მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა, თამაშის მერე ფეხბურთელების დაღლილი და დასიებული ფეხები ახლოდან მენახა და, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ,რომ აღდგენით პროცესს, დასვენებას ასე ცოტა დრო არ ეყოფა. სამწუხაროდ, ჩვენი სათადარიგო შემადგენლობაც არაა იმ რანგის, რომ ამ მხრივ მშვიდად ვიყოთ".

**დათო ჭელიძე:**"მოკლედ, მახო ასათიანის იმედი მაინც გვაქვს"...

**თემურ ღლანიძე:**"სხვათა შორის, ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ასათიანი თავდაპირველად დათო ყიფიანმა აღმოაჩინა და გუნდში მიიყვანა; მაშინ სულ პატარა იყო. ვინც ყიფიანს ვიცნობდით, კარგად გვახსოვს, რა იმედებს ამყარებდა დათო ამ ფეხბურთელზე და რა მომავალს უწინასწარმეტყველებდა...

შაბათის მატჩს რაც შეეხება, ჩემთვის მთავარია, არ წავაგოთ - მოგება ან ფრე; ეგრეთ წოდებული ღირსეული წაგება არ არსებობს. თუმცა, წაგება ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ; კიდევ ვიმეორებ, საბერძნეთს დღეს შეუძლია გერმანიასაც მოუგოს. აი, თუ მოვიგებთ, ეს შემთხვევას არ უნდა მივაწეროთ; უნდა გაგვიხარდეს და ვიდღესასწაულოთ. არადა, სულ მცირე, ორი გოლის გატანა მაინც უნდა მოგებას. საბერძნეთი და თურქეთი ის გუნდები არ არიან, რომ გოლის გარეშე წავიდნენ აქედან. საერთო ჯამში, ხუთ გოლს თუ გავიტანთ, ეს, მინიმუმ, ოთხი ქულა იქნება"...

**დათო ჭელიძე:**"ჰო, რა თქმა უნდა, ჩვენ ის გუნდი არ ვართ, ერთით ნოლი რომ გვეყოს. ერთით ნოლის მოგებას ცოდნა უნდა - ეს "ბავარიას" და "მილანს" შეუძლიათ, ჩვენ - არა."

**თემურ ღლანიძე:**"ისე, საბერძნეთს ჩვენ ერთხელ შევხვდით და, წესით, უნდა მოგვეგო კიდეც, მაგრამ, რაღაც ბედის უკუღმართობით, ბურთი დამცველს მოხვდა, აიჭრა და კარში შევიდა; მოკლედ, ერთხელ გაუმართლა საბერძნეთს ჩვენთან და ახლა, ლოგიკით, ჩვენ უნდა გაგვიმართლოს. მეცნიერულად ამას "მათემატიკური მოლოდინი" ჰქვია და, თუ გაამართლებს, ამას რა აჯობებს"?!...

ინფოთეკა

### სანიოლი შეიძლება "მანჩესტერ იუნაიტედში" აღმოჩნდეს

შესაძლებელია, ამ ზაფხულს გერმანული კლუბის "ბავარიას" მცველი ვილი სანიოლი "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს. ბრიტანული პრესა იტყობინება, რომ ინგლისური კლუბი დიდ ინტერესს იჩენს ამ ფეხბურთელის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შეეძლო ინგლისში გადასვლა, მაგრამ, ზოგიერთი ინფორმაციით, ლონდონის "ჩელსიმ" გერმანელებს 25 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდაზე უარი უთხრა.

ფრანგ ფეხბურთელს ახლანდელ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება. სავარაუდოდ, კლუბმა ფეხბურთელს წასვლაში ხელი არ უნდა შეუშალოს.

### ნესტა ნაკრებს ვერ დაეხმარება

იტალიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ალესანდრო ნესტა ვერ შეძლებს გუნდის დახმარებას 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტურში შოტლანდიის წინააღმდეგ თამაშში. "მილანის" ფეხბურთელმა ვერც სერია A-ს უკანასკნელი ტურის "რომას" (2:0) წინააღმდეგ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის ნესტას ეროვნულ ნაკრებში.

ინგლის-შოტლანდიის მატჩი შაბათს მილანში გაიმართება.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 24 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. უეფას თასი. მეორე წრე. "დინამო" (რუსეთი) - "დაროჟნიკი" (ბელარუსი)
13:30 "ფეხბურთი ჭრილში"
14:00 ლიბერტადორესის თასი. "კობრელოა" (ჩილე) - "ონსე კალდასი" (კოლუმბია)
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
17:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - პსვ
19:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:25 "2:1". ტოქშოუ
21:25 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი. 1/8 ფინალი. "ლივერპული" - "ბაიერი". შესვენებისას (22:15) - თავისუფალი დარტყმა
23:35 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
00:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:15, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი კორეაში
11:15 კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
12:15 "სპორტისიმო"
13:30 როდეო. "Bull Riders"
14:15 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე მესამე
16:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
17:00 "2:1". ტოქშოუ
18:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
18:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი ბაჰამის კუნძულებზე. გადაცემა მესამე
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
20:00 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე მეოთხე
21:30 "მოტოვებული კვირა"
22:15 სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ასპარეზობა. ჟურნალის "ქალთა სამყაროს" პრიზზე. კომბინირებული პროგრამა. სოლო. მხატვრული პროგრამა
00:15 ახალი ამბები
00:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**

10:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
11:00 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შოტლანდიაში. შვეიცარია - შოტლანდია
12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შოტლანდიაში. კანადა - ნორვეგია. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
17:00 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შოტლანდიაში. ქალები. შვედეთი - შვეიცარია. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში. საჩვენებელი გამოსვლა
22:00 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ახალი ამბები
01:15 მებრძოლთა კლუბი
03:15 ახალი ამბები

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:
სახელი, გვარი
ასაკი
ტელეფონი(ები)
საკონტაქტო ტელეფონი (აუცილებელი არ არის)
ელექტრონული ფოსტის მისამართი

1. კვირაში რამდენ რეისს განახორციელებს ბრიტიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. კვირაში ერთ რეისს
2. კვირაში სამ რეისს
3. ყოველდღიურ რეისებს

2. კვირის რომელ დღეებში განახორციელებს ბრიტიშ ეარვეისი რეისებს თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?

3. დღის რომელ მონაკვეთში შესრულდება ბრიტიშ ეარვეისის რეისები თბილისსა და ლონდონს შორის?

4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში მოფრინავს ბრიტიშ ეარვეისი თბილისიდან?

5. რომელი ტიპის თვითმფრინავებით ხორციელდება თბილისი-ლონდონი - თბილისის რეისები?
1. აერობუსი 320
2. ბოინგ 747
3. კონკორდი

6. კვირაში რამდენი დღის განმავლობაშია ღია ბრიტიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?

7. სად მდებარეობს ბრიტიშ ეარვეისის თბილისის ოფისი?

8. დაასახელეთ რეისის ხანგრძლივობა თბილისსა და ლონდონის ჰითროუს აეროპორტს შორის.

9. რამდენი სამგზავრო კლასია აეროფუს 320-ის სალონში თბილისი-ლონდონი-თბილისი რეისებზე?
3. ორი ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)

10. დაასახელეთ ბრიტიშ ეარვეისის პარტნიორი ავიაკომპანია, რომელიც უშუალოდ ახორციელებს თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისებს.
1. BMED
2. GB
3. კომაირი

ფეხბურთი

# ევროპის ჩემპიონის დამარცხების ახალი რეცეპტი: დეზორგანიზაცია

მიხეილ აბაიშვილი

რა გახდა ეს მაღრაძე? საბერძნეთის მასშტაბითაც კი უსახელო გუნდში, "ქსანტში" მოასპარეზე ნაკლებად ცნობილმა დავით მაღრაძემ კიდევ ერთხელ უგანა საქართველოს ეროვნულ გუნდს და ჟირესის მორიგ გამოძახებაზე არ ჩამოვიდა. შეგახსენებთ, რომ მაღრაძე ერთი თვის წინ, ლიტვის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისათვისაც იყო გამოძახებული, მაგრამ არც მაშინ ეახლა ჟირესს. ამ გარემოებამ ყველა ვითარებაში საკმაოდ მშვიდი ჟირესიც კი წონასწორობიდან გამოიყვანა.

"ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მაღრაძე ნაკრებში არ ჩამოდის. ჩემთვის ამჯერადაც უცნობია მიზეზი, თუ რატომ უარობს ის ეროვნულ გუნდში თამაშს. ჯერ ისიც არ გაგვირკვევია, ნაკრების შეკრებაზე გამოუცხადებლობა პირადად მაღრაძის კაპრიზია თუ კლუბი არ უშვებს. სატელეფონო საუბარში მაღრაძე ადასტურებს, რომ მას საქართველოს ნაკრებში თამაში ძალიან უნდა. თუ ასეა, გამოდის, რომ მის ჩამოსვლას "ქსანტი" უშლის ხელს. თუ დადასტურდა, რომ ჩვენი ფეხბურთელის ჩამოუსვლელობაში ბერძნული კლუბის ხელი ურევია, პირადად მე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ყველა მექანიზმს ავამოქმედებ ამ კლუბის წინააღმდეგ სერიოზული სანქციების გასატარებლად. აუცილებლად მივმართავთ ფიფას შესაბამის კომიტეტს და "ქსანტს" დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს", - განაცხადა აღშფოთებულმა ჟირესმა გუშინ სასტუმრო "ბატესტაში" გამართულ მორიგ პრესკონფერენციაზე.

თუმცა, თავი დავანებოთ მაღრაძეს, მით უმეტეს, თუ მისი წილი ამ დანაშაულში უმნიშვნელოა და ისევ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს დავუბრუნდეთ. ჟირესის გამგებლობაში ამჟამად გამოძახებული ოცდასამის ნაცვლად ოცდაერთი ფეხბურთელია, რადგან ტრავმის გამო ვერც გახოკიძემ მოახერხა ჩამოსვლა. თუმცა, საბერძნეთთან მატჩში მწვრთნელს მხოლოდ ოცი ფეხბურთელის იმედი შეიძლება ჰქონდეს, რადგან გოგიტა გოგუა დისკვალიფიცირებულია და იგი ჩვენებს თურქეთის ნაკრებთან თუ დაეხმარება.

"ტრავმის გამო გახოკიძეც დაგვაკლდა. ალანიელი ქართველები - კვირკველია, შაშიაშვილი და ბურდული უკვე შემოგვიერთდნენ. ჩამოვიდა ცქიტიშვილიც, რომელიც ტრავმირებული იყო, თუმცა, ახლა სრულიად ჯანმრთელია. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არ უვარჯიშია. ნაკრებში სხვა ისეთი ფეხბურთელებიც არიან, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. იმისთვის, რომ დანარჩენებს წამოეწიონ, მათთვის შემუშავებული გვაქვს დამატებითი ვარჯიშების ციკლი", - თქვა ჟირესმა.

საბერძნეთის ნაკრებსაც აქვს საკადრო პრობლემები. ბერძენთა ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, იტალიის "რომას" ცენტრალური მცველი ტრაიანოს დელასი ტრავმის გამო საქართველოსთან მატჩს გამოტოვებს. შესაძლოა, ოტო რეჰაგელმა ძირითადი შემადგენლობის კიდევ ორი-სამი ფეხბურთელი მოისაკლისოს, რითაც, შეიძლება ითქვას, ჟირესი ნამდვილად არ არის უკმაყოფილო.

"ის, რომ დელასი ჩვენს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, ბერძნების შანსებს საკმაოდ ამცირებს. დელასი საბერძნეთის ნაკრების დაცვის ხაზის წამყვანი ფიგურაა და მისი არყოფნა გარკვეულ არეულობას შეიტანს ამ გუნდის უკანა ხაზის მოქმედებაში. დელასის სრულფასოვანი შემცვლელის მონახვა რეჰაგელს გაუჭირდება, თუმცა, ბერძნები სათადარიგოთა სკამის სიმოკლეს ნამდვილად არ უჩივიან", - აღნიშნა ნაკრების მწვრთნელმა.

რა იქნება მთავარი ფაქტორი საბერძნეთის დასამარცხებლად? რამდენიმე დღეა, ჟირესს ამ შეკითხვას უმეორებენ და პასუხი არ იცვლება.

"იმისთვის, რომ საბერძნეთის ნაკრები დაამარცხო, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მათთან შედარებით ერთით მეტი გოლის გატანაა. ეს ხუმრობით, რეალურად კი, ყველამ კარგად იცის, რომ ევროპის ჩემპიონის მთავარი ღირსება თამაშის უმაღლესი დონის ორგანიზაციაა. უნდა მოვახერხოთ და ბერძნების თამაშში დეზორგანიზება შევიტანოთ. ეს ძნელი ამოცანაა, თუმცა, არა შეუძლებელი. უკრაინის ნაკრებიც გამოირჩევა თამაშის კარგი ორგანიზაციით. მართალია, ამ გუნდთან დავმარცხდით, მაგრამ უკრაინელთა დეზორგანიზება საკმაოდ კარგად მოვახერხეთ და არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით. სხვა საქმეა, რომ საგოლე მომენტი უნდა გამოიყენო", - ამ სიტყვებით დაასრულა პრესკონფერენცია მწვრთნელმა და ნაკრები მორიგ ვარჯიშზე წაიყვანა.




გოგიტა გაბაიძის ფოტო

*ჟირესი შეეცდება, ოტო რეჰაგელის აწყობილი მექანიზმის დეზორგანიზაცია მოახდინოს.*


სახელი ____ მისამართი ____
გვარი ____
ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____
სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____ თარიღი ____

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ექებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო




## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

# აცხადებს კონკურსს

## ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

**1. საინფორმაციო-საცნობარო პორტალის სისტემის დიზაინერი**
**2. საინფორმაციო-საცნობარო პორტალის ვებ-პროგრამისტი**

**3. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი**
**4. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პროგრამისტი**

**5. ინტრანეტის სისტემის დიზაინერი**
**6. ინტრანეტის პროგრამისტი**

**7. მთავარი პროგრამისტი**
**8. პროგრამისტი**
**9. ოპერატორები (3)**

საქართველოს მთავრობა პროექტის "ილია ჭავჭავაძე" (პროექტი) ფარგლებში გეგმავს ძირითადი მიდგომებისა და მართვის პრინციპების შეცვლის გზით ქვეყნის განათლების სისტემის რეფორმას ცენტრალურ, რეგიონალურ, რაიონულ დონეზე და სკოლებში. პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტით.

პროექტის B2 ქვეკომპონენტის (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) მოვალეობაში შედის მონაცემთა ახალი სისტემის შემუშავება, დიზაინი, კონტროლი და აღნიშნული სისტემის ინტეგრაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (გმსს).

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს შესაბამისი, სანდო და დროული საგანმანათლებლო მონაცემების შეგროვებისა და დინების გაუმჯობესების მთავარ რგოლს. იგი უზრუნველყოფს განათლების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან (სკოლა, რეგიონალური და რაიონული განათლების განყოფილებები, ადგილობრივი თვითმართველობები და სხვა სამთავრობო სტრუქტურული ერთეულები) განათლების მენეჯერებისადმი, ადმინისტრატორებისადმი, დაგეგმვის სპეციალისტებისადმი, პოლიტიკის ანალიტიკოსებისადმი და კვლევის სპეციალისტებისადმი აღნიშნული მონაცემების მიწოდებას.

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ქვეკომპონენტის მიზნები ძალზედ მომთხოვნია, რაც გულისხმობს ახალი, ხარისხიანი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ქვეკომპონენტის საქმიანობა შემდეგი ოთხი მიმართულებით წარიმართება:

- სასკოლო აღწერა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ძირითადი მონაცემთა ბაზა;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (გსს) და სასკოლო დარუკება;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინტრანეტი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საინფორმაციო-საცნობარო ვებ-პორტალი.

ამგვარად, ქვეკომპონენტს ესაჭიროება გამოცდილი პროგრამისტების დახმარება. აღნიშნული პროგრამისტების მოვალეობაში შევა მოკლე დროში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციფიკური მოდულების შემუშავება.

**1. საინფორმაციო-საცნობარო პორტალის სისტემის დიზაინერი**
**2. საინფორმაციო-საცნობარო პორტალის ვებ-პროგრამისტი**

საქართველოში განათლების საინფორმაციო საცნობარო პორტალის კონცეფცია (რომელიც შემუშავდა ჰარვარდის საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით) განსხვავდება სხვა ქვეყნებში არსებული სისტემებისაგან. სწორედ ამიტომ არ არსებობს გამზადებული პროგრამული უზრუნველყოფა. საქართველოსათვის სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება უნდა მოხდეს საერთაშორისო ვებ-სტანდარტების (W3C's AA რეიტინგი ხელმისაწვდომობისათვის და XHTML და CSS ვებ-სტანდარტების) საფუძველზე და ასევე ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაზე, როგორიცაა SQL server და ა.შ. ამასთან, უნდა შემუშავდეს ახალი პროგრამა მოკლე დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისათვის.

**1. საინფორმაციო-საცნობარო პორტალის სისტემის დიზაინერი**

**ძირითადი მოვალეობები:**
- პორტალის ზოგადი კონცეფციისა და პრინციპების შემუშავება;
- პორტალის ზოგადი ფუნქციონალური სქემის შემუშავება;
- საინფორმაციო-საცნობარო პორტალის ძირითადი მოდულების განსაზღვრა;
- პორტალის სტრუქტურისა და ინტერფეისისა და სტანდარტული ანგარიშების ფორმების განსაზღვრა;
- მონაცემთა ხელმისაწვდომობის დონისა და პრიორიტეტების განსაზღვრა;
- მოდულების დეტალური აღწერისა და მათი ფუნქციონალური პრინციპების შემუშავება;
- დოკუმენტაციის მოდულების გვერდებისა და შინაარსის შემუშავება;
- აღწერისა და განათლების მონაცემთა ბაზის მოდულის გვერდებისა და შინაარსის შემუშავება;
- სტატისტიკური მონაცემთა მოდულის გვერდებისა და შინაარსის შემუშავება;
- ელექტრონული ცხრილებისა და ანგარიშების შემუშავება;
- ელექტრონული დამხარების სისტემის შემუშავება პორტალის მომხმარებელთათვის;
- საწყისი ტრენინგი;
- საინფორმაციო-საცნობარო პორტალის საწყისი ადმინისტრირება;
- მონაცემთა დაცვის, დივერსიფიკაციისა და დაარქივების მექანიზმების განსაზღვრა.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**:
- მინიმუმ 3 წლის გამოცდილება ინტერნეტ გვერდის განვითარებასა და დიზაინში;
- მინიმუმ 1 წლის გამოცდილება მონაცემთა ბაზის შემუშავებაში;
- მეთოდების ცოდნა და სამუშაო გამოცდილება ინტერნეტ გვერდის ადმინისტრირებაში;
- ინტერნეტ პუბლიკაციების ტექნოლოგიების ცოდნა (SQL Server, HTML, DFTML, ASP, PFP და ა.შ.);
- გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ოფისის ტექნიკისა და Microsoft Office-ის პროდუქტების;
- ბრწყინვალე საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. შემოქმედებითობა და მოქნილობა სამუშაოზე.

**2. საინფორმაციო-საცნობარო ვებ-პროგრამისტი**

**ძირითადი მოვალეობები:**
- პორტალის ზოგადი კონცეფციისა და პრინციპების რეალიზება;
- პორტალის ზოგადი ფუნქციონალური სქემის რეალიზება;
- საინფორმაციო-საცნობარო პორტალის ძირითადი მოდულების რეალიზება;
- პორტალის სტრუქტურისა და ინტერფეისისა და შესაბამისი მოდულებისა და გვერდების რეალიზება;
- მოდულების ფუნქციონირების რეალიზება;
- დოკუმენტაციის მოდულების შემუშავება;
- აღწერისა და განათლების მონაცემთა ბაზის მოდულის გვერდებისა და შინაარსის შემუშავება;
- სტატისტიკური მონაცემთა მოდულების შემუშავება;
- ელექტრონული ცხრილებისა და ანგარიშების შემუშავება;
- კომენტარისა და დისკუსიის მოდულების შემუშავება;
- მონაცემთა ელექტრონული გადაცემის მექანიზმების რეალიზება;
- ელექტრონული ძიებისა და გაფილტვრის მეთოდების რეალიზება;
- ელექტრონული ცხრილებისა და ანგარიშების შექმნის რეალიზება;
- მომხმარებელთა ელექტრონული რეგისტრაციის მექანიზმების რეალიზება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მონაცემთა დაცვის, დივერსიფიკაციისა და დაარქივების მექანიზმების განსაზღვრა.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**:
- მინიმუმ 3 წლის გამოცდილება ინტერნეტ გვერდის განვითარებასა და დიზაინში;
- მინიმუმ 1 წლის გამოცდილება მონაცემთა ბაზის შემუშავებაში;
- მინიმუმ 3 წლის გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვებ-პროგრამირებაში (SQL Server, HTML, DFTML, ASP, PFP და ა.შ.);
- გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ოფისის ტექნიკისა და Microsoft Office-ის პროდუქტების;
- კომუნიკაბელურობა.

**3. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი**
**4. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პროგრამისტი**

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემისა და სასკოლო დარუკების კონცეფცია (რომელიც შემუშავდა ჰარვარდის საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით) განსხვავდება სხვა ქვეყნებში არსებული სისტემებისაგან. სწორედ ამიტომ არ არსებობს გამზადებული პროგრამული უზრუნველყოფა. საქართველოსათვის სპეციფიკური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება უნდა მოხდეს სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების საფუძველზე, როგორიცაა, Visual Basic, SQL server, MS.Net და ა.შ. ამასთან უნდა შემუშავდეს ახალი პროგრამა მოკლე დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისათვის.

**3. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორი**

**ძირითადი მოვალეობები:**
- საქართველოსათვის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ზოგადი კონცეფციის შემუშავება;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ზოგადი ფუნქციონალური სქემების შემუშავება;
- მონაცემთა ბაზის სტრუქტურისა და ინტერფეისის განსაზღვრის პროცესში მონაწილეობის მიღება და ანგარიშის სტანდარტული ფორმების განსაზღვრა;
- მონაცემთა ელემენტების კოდირების საერთო სისტემის შემუშავება;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ძირითადი მონაცემთა ელემენტების განსაზღვრა;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის სტანდარტული ლეგენდების შემუშავება;
- არსებული მონაცემთა ბაზების გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემაში ინტეგრირება;
- ძირითადი ფენების შემუშავება;
- ახალი აუცილებელი ფენების შექმნა;
- სასკოლო დარუკება;
- პოლიტიკის ანალიზისათვის სამუშაო ცხრილების შემუშავება;
- მონაცემთა ძიებისა და გაფილტვრის მოდულების შემუშავება;
- ანგარიშების შემუშავება ნახვის, ბეჭდვისა და ექსპორტ/იმპორტის შესაძლებლობებით;
- მონაცემთა რუკების შემუშავება ნახვის, ბეჭდვისა და ექსპორტ/იმპორტის შესაძლებლობებით;
- საოპერაციო სასხელმძღვანელოსა და პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებელთა სახელმძღვანელოს შემუშავება;
- საწყისი ტრენინგი;
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის საწყისი ადმინისტრირება.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**:
- უმაღლესი განათლება;
- მინიმუმ 5 წლის გამოცდილება გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შემუშავებაში;
- მინიმუმ 3 წლის გამოცდილება მონაცემთა ბაზის შემუშავებაში;
- მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებისა და სტანდარტული ფორმების შემუშავების მეთოდების ცოდნა და სამუშაო გამოცდილება;
- გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ოფისის ტექნიკისა და Microsoft Office-ის პროდუქტების;
- კომუნიკაბელურობა.

**4. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის პროგრამისტი**

**ძირითადი მოვალეობები:**
- გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალური სქემების რეალიზება;
- მონაცემთა ბაზის სტრუქტურისა და ინტერფეისის რეალიზება და ანგარიშის სტანდარტული ფორმების განსაზღვრა;
- მომხმარებელზე ორიენტირებული ინტერფეისის შემუშავება;
- ანგარიშების შემუშავება;
- მონაცემთა რუკების შემუშავება;
- პოლიტიკის ანალიზისათვის გამოკითვის ფორმების რეალიზება;
- მონაცემთა ძიებისა და გაფილტვრის მოდულების რეალიზება;
- ანგარიშების შემუშავება ნახვის, ბეჭდვისა და ექსპორტ/იმპორტის შესაძლებლობებით;

n მონაცემთა რუკების შემუშავება ნახვის, ბეჭდვისა და ექსპორტ/იმპორტის შესაძლებლობებით;

- საოპერაციო სასხელმძღვანელოსა და პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებელთათვის დახმარების სისტემის შემუშავება;
- საწყისი ტრენინგი.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**:
- უმაღლესი განათლება, სასურველია საინფორმაციო ტექნოლოგიებში;
- მინიმუმ 5 წლის გამოცდილება მონაცემთა ბაზის განვითარებაში;
- მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებისა და ფორმების შემუშავების მეთოდების ცოდნა და სამუშაო გამოცდილება;
- მინიმუმ 3 წლის სამუშაო გამოცდილება პროგრამირებაში C++ და/ან Visual Basic-ში, Microsoft SQL Server-ში და 2 ან მეტი წლის გამოცდილება Microsoft.NET-ის ტექნოლოგიებში;
- გამოცდილება და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ოფისის ტექნიკისა და Microsoft Office-ის პროდუქტების;
- კომუნიკაბელურობა.

**5. ინტრანეტის სისტემის დიზაინერი**
**6. ინტრანეტის პროგრამისტი**

